ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ეპონომიკური ობიექტების „მდგრადი გზა“ პოსტკომუნისტურ  
საქართველოში: რეტროსაექტივა და პერსაექტივა**

**გრცელი რეზიუმე**

რამდენიმე ათეული წელი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენდა ქ.წ. ერთიანი სახალხომეცურნეობრივი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. ჩვენთან წარმოებული პროდუქციის 26% იგზავნებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო იქ წარმოებული პროდუქციის 28% შემოდიოდა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური განვითარებაში 1950-იანი წლების შემდეგ 1990-იანი წლების დასაწყისამდე გამოიყოფა ორი პერიოდი. პირველი პერიოდი (1950-1970-იანი წლები) აღინიშნებოდა საქართველოში ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამორჩენით საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისგან. მეორე პერიოდში ეს ჩამორჩენა ძირითადად დაძლევული იქნა. საქართველოს ეკონომიკაში 1970-იან-1980-იან წლებში ტარდებოდა გარკვეული რეფორმები, რომლებიც ორიენტირებული იყო მართვის ეფექტიანობის ამაღლებაზე, თუმცა მათ შეზღუდული ხასიათი პქონდა და სასურველი შედეგები არ მოუტანია.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილს) საქართველოს წინაშე ორი უმნიშვნელოვანები ამოცანა დადგა: დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება. სხვადასხვა არახელსაყრელი ფაქტორების გამო (კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან სამურნეო კავშირების გაწყვეტა და სხვ.) ამ ამოცანების შესრულება ძალიან რთული აღმოჩნდა. ამასთანავე, ძირითადად სოფლის მეურნეობაში დაიწყო რეფორმები, რომელიც გულისხმობდა გლეხების კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვითების გადაცემას. ეროვნული მთავრობა ეკონომიკის რეფორმირების გრადუალისტურ მოდელს ანიჭებდა უპირატესობას, რაც გამოიხატა სახელმწიფო კაპიტალიზმის, როგორც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური საბჭოური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზის თეორიულ დასაბუთებაში. რეფორმირების ფართო მასშტაბით განხორციელებას ხელი შეუშალა სამხედრო გადატრიალებამ. ახალმა ხელისუფლებამ ეკონომიკის რეფორმირების „შოკური მეთოდი“ აირჩია და 1992 წლიდან 2003 წლამდე განხორციელებული რეფორმები თუ ეტაპად შეიძლება დაიყოს. პირველი მოიცავს 1992-1995 წლებს, მეორე - 1996-2002 წლებს. პირველ ეტაპზე განხორციელდა ფასების სახელმწიფო კონტროლიდან განთავისუფლება, რასაც თან ახლდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. პირველი ეტაპის ისტორიული შედეგი იყო სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და მისი აღდგენის ხებისმიერი შესაძლებლობის გამორიცხვა. ამასთანავე, ეს იყო ყველაზე რთული პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში: ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა ქვეყნის მშპ-ს 34%-ზე მეტს და იფარებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტებით. დიდი მასშტაბებით ხორციელდებოდა წარმოების სუბსიდირება. კერძოდ, 1993 წელს დოტაციები წარმოადგენდა ბიუჯეტის დანახარჯების

57%-ს, 1994 წელს კი 60%-ს. შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტის სუროგატი კუპონი, რომელმაც სწრაფად განიცადა კატასტროფული გაუფასურება. მკვეთრად გაუარესდა სოციალური ფონი და გაიზარდა მოსახლეობის როგორც შემოსაფლებში ასევე ქონებრივ მდგომარეობაში უთანასწორობა.

1994 წლიდან ქვეყანაში აქტიურად დაიწყო ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება, რომელებშიც ჩართული იყვნენ ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ორგანზაციები - საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. გატარდა წარმატებული ფულადი რეფორმა და შემოღებული იქნა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა - ლარი, რომელიც საქმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებდა სიმყარეს. რეფორმის წარმატებულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1996-1997 წლებში მშპ-ს ზრდის ტემპი 10-11%-ს შეადგენდა.

1998 წელს საქართველოს ეკონომიკაში ახალი პროდლემები გაჩნდა, რომლებსაც პირველ რიგში მწვავე საბიუჯეტო კრიზისი შეიძლება მივაკუთვნოთ. ასევე აღსანიშნავია 1998-1999 წლებში განვითარებული სავალუტო კრიზისის შედეგად ლარის მკვეთრი გაუფასურება. ეკონომიკურმა პრობლემებმა და სოციალური დაბადებულობის ზრდამ ქვეყანაში ხავერდოვანი ეწ. „ვარდების რევოლუცია“ გამოიწვია, რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდა და ეხერგიული პოლიტიკოსები. მათ დაიწყეს ქვეყნის მოდერნიზაციის რთული პროცესი და ამ საქმეში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს: დაამყარეს ფინანსური დისციპლინა, ადმინისტრირების საგრძნობი გაძლიერებით გაზარდეს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი, დაფარეს საბიუჯეტო სფეროს მუშაკების და პენსიონერების მრავალობითი დავალიანება, თითქმის მთლიანად ამონირებულ ეწ. „ყოფითი კორუფცია“ და ა.შ. ამასთანავე, სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ხშირად ადგილი პქნიდა ადამიანის უფლებების, მათ შორის კერძო საკუთრებაზე უფლების უხეში დარღვევის ფაქტებს, გავრცელებული იყო ეწ. კლიტარული კორუფცია და ა.შ. „ვარდების ხელისუფლების“ მმართველობის ცხრაწლიანი გამოცდილება საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ავტორიტარული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ეკონომიკაში პოზიტიური ძრების განხორციელება, თუმცა გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ეფექტური ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუციები, ადამიანის პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა და მოქალაქეთა მადალი პოლიტიკური კულტურა.

დემოკრატიული და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების შედეგად 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“, რომელმაც შეიმუშავა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“. ამ დოკუმენტის თანახმად, განისაზღვრა საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებლი ეკონომიკური პოლიტიკის სამი მთავარი პრინციპი:

- ეკონომიკის რეალურ სექტორზე ორიენტირებული დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა;
- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა;
- ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მთავრობამ გაატარა ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერის შემდეგი ღონისძიებები:

- შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი;
- გლეხებს და ფერმერებს დაურიგდა ვაუჩერები;
- მიღებული იქნა განონი კოოპერაციის შესახებ;

- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩამოყალიბდა შეღავათიანი ქრედიტების სამდონიანი პროგრამა.
- განხორციელდა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, მაგალითად, ყურძნის წარმოების სუბსიდირება.

მთავრობა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ნოვაციები: ე.წ. ესტონური საგადასახადო მოდელის დანერგვა და მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო ტვირთის საგრძნობი შემსუბუქება.

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მეტად აქტუალურია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- იმპორტშემცვლელი და საექსპორტო წარმოების პარალელურ რეზიმებში განვითარება;
- ფინანსური ნაკადების პერეორიენტაცია უპირატესად ფინანსურ-სპეც-ლაციური ოპერაციებიდან და ვაჭრობიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში;
- მეცნიერების და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკური სისტემის შექმნა;
- ეკონომიკის სოციალური მიმართულების გაძლიერება;
- ეკონომიკის დემონოპლიზაცია და სამეურნეო სუბიექტებისთვის თანაბარი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა;
- ეკონომიკის საყოველთაო კაპიტალიზაცია და ამ გზით ე.წ. „საშუალო კლასის“ აღმოცენებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საქართველოს ეკონომიკა, გარკვეული სირთულეების მიუხედავად, სწორი მიმართულებით ვითარდება, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

## 06 გლუხიშრი ზრდის ჟამშტორები და საქართველოს ეკონომიკის აინაშე არსებული გამოწვევები

### რეზიუმე

შემოსავლების განაწილების უთანაბრობა ბოლო პერიოდში როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერ-ეკონომისტების კურადღების ცენტრშია. საერთაშორისო ორგანიზაციები, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, მ.შ. საქართველოს მთავრობა, ცდილობს განახორციელოს პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც ეკონომიკური ზრდისაგან სარგებლოს უფრო ძეგლი ადამიანი მიიღებს, ასეთი ტიპის პოლიტიკა ცხობილია, როგორც ინკლუზიური ზრდის პოლიტიკა. ამგვარი პოლიტიკის განხორციელების მიზნით შემუშავდა ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტატეგია - საქართველო 2020. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად გამოვლენილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი კველა ხე კრიტიკული პრობლემები და მათი დაძლევის მიმართულებები. კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენციურიანობა, არასათანადო განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური ზრდა, უთანაბრობა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, კრიზისი, კონკურენციურიანობა

### შესავალი

თანამედროვე მსოფლიო, განვითარების საინტერესო ეტაპს გადის. მიუხედავად ფინანსური კრიზისის შემდგომი აღმავლობისა, მსოფლიო ეკონომიკაში პრობლემები მრავლდადა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება შემოსავლების განაწილებას და ეკონომიკური ზრდის შედეგების მოსახლეობის კველა ფენისათვის ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით მსოფლიოს კეთილდღეობა 2014 წლისათვის 1995 წელთან შედარებით, 66%-ით გაიზარდა და 2014 წლის ფასებში 690 ტრლნ. აშშ დოლარიდან 1 143 ტრლნ დოლარი შეადგინა, სამწუხაროდ უთანაბრობის დონე ისევ მაღალია, ასე მაგალითად, OECD ქვეყნებში კეთილდღეობა 52-ჯერ აღემატება დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მაჩვენებლებს [იხ. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)], ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება შემოსავლებისა და კეთილდღეობის დონე არა მარტო ქვეყნების, არამედ ქვეყნის რეგიონებსა და რაც მთავარია, მოსახლეობას? შორის.

\* \* \*

ნობელის პრემიის ლაურეატი ჯონეფ სტიგლიცი თავის ნაშრომში „დიდი დაყოფა“ აანალიზებს რა შემოსავლების განაწილებაში არსებულ პრობლემებს 2007 წლის „დიდი რეცესიის“ ფონზე [Stiglitz, 2015], მიდის დასკნამდე, რომ აღნიშნული რეცესია, რომელმაც ყველაზე მეტად დააზარალი დარიბი და საშუალო კლასის მოსახლეობა, დიდწილად ხელოვნური იყო. შემოსავლების განაწილებაში არსებული უთანაბრობა, შესაძლოა, მომავალში უფრო მძიმე შედეგებით დასრულდეს, მ.შ. ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

თუმცა ცხადია, რომ ეკონომისტთა შორის ამ საკითხზე კონსენსუსი მიღწეული არ არის, მაგალითად ჯეისონ ფურმანი (Jason Furman), პარვარდის კენედის სკოლის პროფესიონალი, პეტერ სონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუ-

ტის უფროსი მკვლევარი, რომელიც პრეზიდენტ ბარაკ ობამას ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობდა 2013-2017 წლებში, თვლის რომ უთანაბრობა უფრო სოციალური მოვლენაა და მას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ზრდაზე [Furman, 2018].

შემოსავლების განაწილებაში არსებული პრობლემების შესახებ ბევრს წერენ მეცნიერები, როგორც სამეცნიერო, ისე პუბლიცისტურ გამოცემებში, თუმცა ბევრი მათგანი ასევე მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელიც შესაძლოა პოპულიზება წარმოქმნას. რეალურად არსებობს საფრთხე, რომ პოლიტიკოსებმა, ნაცვლად პრობლემის საფუძვლისა, მისი ფორმის შეცვლა მოინდომონ, რამაც შესაძლოა ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ურავნილოვების“ აღორძინების იღუზია შექმნას, რაც ცხადია ეკონომიკის განვითარებისთვის უძიდესი ბარიერი იქნება.

პრობლემა იმდენად რთული და ყოვლისმომცემია, რომ მასზე არა მხოლოდ მეცნიერ-ეკონომისტები, არამედ პრაქტიკოსი ეკონომისტები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მუშაობენ. ასე მაგალითად, მსოფლიო ბანკი საკუთარ მისიად ორი უმთავრეს მიზანს აღიარებს: უკიდურესი სიღარაკის აღმოფხვრა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასათვის [იხ. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)]. ხოლო მსოფლიო ბანკის სათაო ოფიციში შესასვლელში ბანკის დევიზია გამოსახული „ჩვენი ოცნებაა სამყარო სიღარიბის გარეშე<sup>1</sup>“. ამავე დროს, საერთაშორისო საგალუტო ფონდმა, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, ფინანსური კრიზისის შემდგომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელახალ გააზრებაზე, მათ შორის შემოსავლების განაწილებაში არსებული პრობლემების შესახებ, უკვე სამი კონფერენციაა ჩაატარა<sup>2</sup> და მასალები კრებულების სახით გამოსცა [იხ. საერთაშორისო საგალუტო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.imf.org](http://www.imf.org)]. აღნიშნულ საკითხზე მუშაობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2017 წელს, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის ექსპერტთა მიერ მომზადდა საკითხები ზრდა და გლობალური განვითარება 2017 წელს“ [იხ. <https://medium.com>], აღნიშნულ მოხსენებაში ავტორები მიიჩნევენ, რომ „ინკლუზიური ზრდა არის სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც ეკონომიკური ზრდისაგან სარგებლის იღებს ადამიანთა დიდი რაოდენობა - შემოსავლებისა და უსაფრთხოების ზრდითა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებით“. ინკლუზიური ზრდისათვის მნიშვნელოვანია 6 ძირითადი ფაქტორი: განათლება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოქადაქთა საბაზო საჭიროებების დამაყოფილება, კორუფციასთან ბრძოლა და შემოსავლის დაბალანსებული განაწილება, საფინანსო სისტემის ინკლუზიურობა, ეფექტური საბინაო მშენებლობა, შრომითი მოწყობა და უმუშევრების დახმარება, გადასახადების განაწილება და სოციალური დაცვა“. აღნიშნული მონაცემების შესაბამისად მუშავდება ინკლუზიური განვითარების ინდექსი - The Inclusive Development Index (IDI) [იხ. [www.weforum.org](http://www.weforum.org)].

პრობლემის სიმწვავეზე მოწმობს საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგრმარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წელს 2003 წელთან შედარებით მშპ საბაზისო (2010 წლის) ფასებში 106,5%-ით (11,95 მლრდ ლარიდან 24,68 მლრდ ლარამდე) გაიზარდა, უმუშევრობა 2005 წლის 13,8%-დან, 2016 წელს 11,8%-მდე შემცირდა (პიკი იყო 2009 წელს - 16,9%), საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2004 წლის 156,6 ლარიდან,

<sup>1</sup> Our dream is world without poverty;

<sup>2</sup> აღნიშნული სამი კონფერენციიდან ორის მუშაობაში, 2013 და 2015 წლების აპრილში პირადად გმონაწილეობდნ, როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2016 წელს 940 ლარამდე გაიზარდა, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 2004 წლის 73 ლარიდან 2018 წელს 155,3 ლარამდე გაიზარდა, ფარდობითი სიღარიბე (ანუ მედიანური მოხმარების 60%-ზე ნაკლები) 2004 წლის 24,6%-დან, 2016 წლის 20,6%-მდე შემცირდა (თუმცა იგივე მაჩვენებელი სოფლად, 26,2%-დან 26,5%-მდე გაიზარდა), სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2004 წლის 32,6%-დან 2016 წელს 21,3%-მდე შემცირდა, ჯინის კოეფიციენტები კი 0,38-დან (2006 წელს) 0,39-მდე (2016 წელს) გაიზარდა, პიკი იყო 2011 წელს, როცა მან 0,42 ჟეადგინა [იხ. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)].

პრობლემის სიმწვავის გამო, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020, რომელიც ასევე ინკლუზიური ზრდის თემატიკას შექმნას და მისი გათვალისწინებით, რომ პირადად ვმონაწილეობდი (და როგორც ფინანსთა მინისტრი, ვხელმძღვანელობდი) აღნიშნული ღოკეუმენტის შექმნის პროცესს, შევეცვდები, იმ საკითხების პრიორიტეტიზაცია გავაკეთო, რომლებიც აისახა სტატეგიაში და ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

თეორიაში ცნობილია, რომ ინკლუზიური ზრდის პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს წარმოების განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ზრდას (რაც არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევის განაპირობებს), ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას (მოსახლეობის საყოველოთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის, მათი სოციალური თანასწორობისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება) და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი უზრუნველყოფასა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილებას (ეწ. მდგრადი განვითარება).

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის საქართველოში გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადო განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. სტრატეგია მიზნად არ ისახავდა ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზს ან მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას.

საქართველოს მიერ დამტკიდებლობის ადდგენას ეკონომიკური რეფორმების სამი ტალღა მოჰყვა. რეფორმები, რომელთაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნეს, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ განხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება განაპირობა, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა.

2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ რეფორმების მესამე ტალღა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება და საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფაში, სრულ დეპოლიტი-

<sup>3</sup> აღნიშნული პროგრამული ღოკეუმენტის პროექტი ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მომზადდა, თუმცა მისი შექმნისა და განხელვის პროცესში სამთავრობო დაწესებულებების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ექსპერტები, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, ფინანსთა მინისტრის სათაობირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს წევრები;

ზაფიასა და პუმანიზაციაში, ასევე ეპროპული ტიპის მარეგულირებელი ინსტიტუტების აღდგენაში გამოიხატა.

2004-2012 წლების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და საშუალოდ 1,6%-იანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 2,8%-ს შეადგენდა<sup>4</sup>.

ლოგიკურად ჩნდებოდა მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რომლის პიკი 2007 და 2017 წლებში იყო, ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის მიღებასა და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. ოუმცა ეს მოლოდინი არ გამართდა, რადგან, მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში (უფრო ნათლად კი, უძრავი ქონების შეძენაში), რომლებშიც მცირეა დასაქმების მოცულობა.

იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას, რამაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდა გამოიწვია - ეს ქვეყნისთვის სერიოზული მაკროეკონომიკური რისკია, რაც კიდევ უფრო ზრდის გაცვლით კურსზე დაწოლას.

გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში, როგორც უპმშ ზემოთ აღინიშნა, სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი ყველაზე კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და დაძლევა. სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი (Growth Diagnostic Method), რომელიც კრიტიკული პრობლემების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კრიტიკულ პრობლემათა შორის, როგორც უპმშ აღინიშნა გამოიკვეთა პერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეპროგავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ეკონოკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ანალოგიურად დღეისათვის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები უკვე მოქმედებს ჩინეთთან, საქართველოს ყველა მეზობელთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ჯამში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ ისარგებლონ 2,2 მილიარდ მომსმარებლიან ბაზებზე.

2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები დაიწყო. ამ რეფორმების განხორციელებამ ადმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შეამცირა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business 2018) მიხედვით საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ამჟამად ქვეყანას

<sup>4</sup> სტატიაში გამოყენებული მონაცემები, თუ მითითებული არ იქნება განსხვავებული წარო, აღებულია საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან - საქართველო 2020;

ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-9 ადგილი უკავია და ნორვეგიასა და შვედეთს შორისაა [იხ. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org)].

მიუხედავად ამისა, ყველა ვთანხმდებით, რომ ცალკეულ სფეროებში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენციარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღესთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა<sup>5</sup> ასევე გადახდისუნარობასთან, კომერციული დავის გადაწყვეტასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. არსებული სირთულეები, მთლიანობაში, აუარცებებს სამეცნიერებლოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად უფარციანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. მიზიდვები სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა-ყოფად აცილებელია საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცელილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობა.

თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, რომელიც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების ფაქტორია, აუცილებელია საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება და საქართველო-ეგროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საკუთესო ეგროპული პრაქტიკის დანერგვა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კარტელური გარიგებების, კონკურენციის შემზღვდავი შეთანხმებების და ღომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. ამავე დროს აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის. ქვეყნაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად ხელი უნდა შეეწყოს სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გადრმავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს კონკურენციის სააგენტომ უკვე წელიწადებზე მეტია (2017 წლის გაზაფხულიდან) მიმდინარეობს ევროკავშირის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლებების ზრდას და ჩვენთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს ლიტვის კონკურენციის საბჭო. იმედია, რომ ამ მიმართულებით ბიზნესი რეალურ წინსვლას იღრმნობს.

თუმცა ცხადია, რომ ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვის პროცესის გამარტივებაც. ბიზნესის დახურვის გამარტივება აადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად უფარციანი სფეროდან უფრო ეფექტიან სფეროში, და შესაბამისად, ხელს უწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

არსებულმა და მომავალმა რეგულაციებმა არ უნდა შეზღუდოს ბიზნეს-საქმიანობა მისთვის დამატებითი პრობლემის შექმნით. ამისთვის საჭიროა რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემა, რომლის მიზანს როგორც ახალი

<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვხელმძღვანელობ კონკურენციის სააგენტოს, რომელიც არარეგულირებად სფეროებში (საბანკო სექტორის, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სფეროების გარდა), პასუხისმგებელია თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფაზე, უნდა გადიაროთ, რომ ახალგაზრდა სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების გარეშე, ამ ამოცანის შესრულება გაჭირდება.

საკანონმდებლო ინიციატივების, ასევე არსებული საკანონმდებლო აქტების ბიზნესგარემონტე გავლენის შეფასება წარმოადგენს.

ზემოაღნიშვნულმა უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც წაახალისებს ბიზნესის წამოწყებას, არსებული ბიზნესის გაფართოებასა და დივერსიფიკაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას, მწარმოებლურობის დონის ამაღლებას, ასევე შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებას.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტურანი გამოყენება წარმოადგენს.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

„საქართველო 2020“ ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სისტემების უზრუნველყოფა.

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა.

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დაბმარებაზე ბევრად ეფექტურანი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართვა ეკონომიკურ პროცესებში.

უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალია განათლების მიღწეული დონე (სამწესაროდ აღბათ არა განათლების, არამედ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის), მით უფრო მეტი სიმწვავით იხენს თავს უმუშევრობის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ განათლების სისტემა ვერ პასუხობს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს.

საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მსგავსი შედეგები აჩვენა სხვადასხვა ორგანიზაციის (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) კალევებმაც.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და, შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის საჭირო ტემპის მისაღწევად. თუმცა ამ მიმართულებით დღეისათვის ორი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს: 1) ეროვნული დანაზოგების დაბალი დონე, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო შიდა რესურსს ინვესტიციებისთვის; 2) ფინანსური შეამავლობა არაეფექტურიანია და მიუხედავად ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში არსებული ჭარბი ლიკვიდურობისა, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სტიმულირებისთვის საჭირო რესურსებს. შესაბამისად, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებს სტირდებათ განვითარება, სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ასპექტების გათვალისწინებით.

სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად, ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა უნდა შეადგენდეს მშპ-ს, მინიმუმ 30%-ს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შიდა დანაზოგების მობილიზაციით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით და შიდა ფინანსური ბაზრების განვითარებით.

პრობლემას წარმოადგენს არა მარტო შიდა დანაზოგების სიმწირე საინვესტიციით რესურსების უზრუნველსყოფად, არამედ დარში რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობა და გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივ ვალუტაში ფინანსების ხელმისაწვდომობა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის გაფართოებისთვის და სამუშაო ადგილების შექმნისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა. გრძელვადიანი დაფინანსება აუცილებელია საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ფირმის მწარმოებლურობისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ტექნოლოგიური მოდერნიზების ხელშეწყობას.

საქართველოს ფინანსურმა ბაზრებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი დაფინანსება და ამით უასეუბონ სხვადასხვა ტიპისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი საწარმოების საჭიროებას. შესაბამისად, ქვეყნის განვითარების სტრატეგია გულისხმობს შესაბამისი ფინანსური ბაზრების და ინსტრუმენტების განვითარებას კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ინსტიტუციების გაძლიერებით. ამავე დროს სახელმწიფოს ეკისრება ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ინვესტორებისა და დეპოზიტარებისთვის საჭირო წახალისებისა და მათი დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა, ფისკალური ხარჯების შემცირება და კერძო კაპიტალის გამოდევნის თავიდან აცილება.

ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად აუცილებელია, სახელმწიფომ განახორციელოს დონისძიებები როგორც დანაზოგების ზრდის ხელშეწყობის, ისე უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისების მიზნით. ამასთან, დანაზოგების ზრდისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობებია ერთი მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მათ შორის, დანაზოგების მსყიდველობითი უნარის სტაბილურობის უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმები ინვესტიციებისა და დანაზოგების დასაცავად.

კერძო დანაზოგების სტაბილირების მიზნით უკვე დაინერგა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რამაც უნდა შეამციროს საბანკო სისტემაში ფულის განთავსების რისკი. სისტემა უნდა უკრძალოდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. მართალია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ჯერ მხოლოდ სიმბოლურ დეპოზიტებს აზღვევს, მაგრამ შესაძლოა ეს კარგი სიგნალი გახდეს საბანკო სისტემის ნდობის ამაღლებისათვის.

საპენსიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს შეუწყობს ქვეყანაში დანაზოგების მოცულობის ზრდას. აღნიშვნული რეფორმა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის.

## დასკვნა

იმისათვის, რომ დაგროვებითმა საპენსიო სისტემაში გამოიწვიოს საინვესტიციო რესურსების ზრდა, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში განვითარდეს კაპიტალის ბაზრები და ასევე, ხელი შეეწყოს კერძო დაზღვევის ოპერაციების სრულყოფას.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი კაპიტალის ბაზრები. ნაკლებად განვითარებული საფონდო ბაზარი შეიძლება დავხასიათოთ

კომპანიების ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების სიმცირით და ადგილობრივი, განსაკუთრებით, კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის განუვითარებლობით. ფაქტობრივად არ არსებობს არც გირაოთი და სხვა გარანტით გამყარებული ობლიგაციები. საფონდო ბაზრის განვითარებას უფრო დიდი დრო დასჭირდება. თუმცა ეს რეფორმები უნდა დაიწყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების განვითარებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანით ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) პრინციპებთან.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება განაპირობებს ბაზრის გამჭვირვალობის და ინვესტორთა ნდობის გაზრდას; კორპორატიული მართვის გაძლიერებას და ინვესტორების, მათ შორის, უმნიშვნელო წილის მქონე ინვესტორების ინტერესების უკეთ დაცვას; ბაზარზე პოზიციების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის, მათ შორის, სპეციალაციური და ინსაიდერული გარიგებების შემცირებას და საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის გაზრდას.

ცხადია, უთანაბრობის შემცირება ბევრ კომპლექსურ ღონისძიებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ერთი უნდა ითქვას, მსოფლიოში უამრავი მაგალითია იმის, თუ როგორ შეძლეს ქვეყნებმა თავი დაედწიოთ სიდარიბისათვის და მაქსიმალურად გამოყენებინათ ის უპირატესობანი, რომლებიც მათ აქვთ. უპირატესობა კი ყველას აქვს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020. [www.mof.ge](http://www.mof.ge).
2. **Blanchard** Olivier (ed), Rajan Raghuram, Rogoff Kenneth, and Lawrence H Summers, Progress and Confusion. The State of Macroeconomic Policy. The IMF, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, London, England 2016;
3. **Blanchard** Olivier (ed.), Romer David, Spence Michael, and Stiglitz Jozeph. In the Wake of the Crisis. Leading Economists Reassess Economic Policy. The IMF, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, London 2013;
4. **Furman**, Jason., The Right Question About Inequality and Growth, 2018;
5. **Furman**, Jason., Should Policymakers Care Whether Inequality is Helpful or Harmful For Growth?. IMF, Harvard Kennedy School & Peterson Institute for International Economics, 2018;
6. **Greenspan**, Alan., The Map and The Therritory. Risk, Human Nature, and the Future of Forecasting, The Penguin Press, New York, 2014;
7. **Kaletsky**, Anatole., A “Macroeconomic” Revolution?. July 2017. <https://www.project-syndicate.org>.
8. **Kaushik** Basu., Inequality in the Twenty-First Century. December 2017. <https://www.project-syndicate.org>.
9. **Lagarde**, Christine, Building a More Resilient and Inclusive Global Economy (A speech), April 12, 2017. [www.imf.org](http://www.imf.org);
10. **Laidi**, Zaki., Populism’s Second Wind. Feb. 2018. <https://www.project-syndicate.org>.
11. **Rogoff**, Kenneth., Economists vs. Scientist on Long-Term Growth, march 2018. <https://www.project-syndicate.org>.

12. Stiglitz, Jozeph E., The Great Divide: Unequal Societies and What We can Do About Them, WW. Norton & Company, 2015;
13. veb-resursebi:
14. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge);
15. [www.mof.ge](http://www.mof.ge);
16. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org);
17. [www.imf.org](http://www.imf.org);
18. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org);
19. [www.weforum.org](http://www.weforum.org);
20. [www.medium.com](http://www.medium.com);
21. [www.project-syndicate.org](http://www.project-syndicate.org);

**Nodar Khaduri**

*PhD in Economics, Professor*

## **FACTORS OF INCLUSIVE GROWTH AND CHALLENGES FACED BY THE ECONOMY OF GEORGIA**

### **Expanded summary**

Currently, the world is going through a very interesting stage. Despite the post Financial Crisis progress, there are a lot of problems in the world economy. First of all, these problems are related to income distribution and availability of economic growth impact to all layers of human population.

According to the World Bank, from 1995 to 2014, Population Prosperity grew up by 66%, from 690 trillion US dollars to 1 143 trillion US dollars; however, inequality level is still high. For example, in OECD countries prosperity is 52 times higher than in low income countries [see. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)].

The scientists write a lot about the problems of income distribution in scientific essays as well as articles, however a lot of them emphasize the threats that might arise from populism.

The problem is so complicated and all-embracing that not only scientists but practicing economists and international financial institutions work on it. For example, the World Bank has two main goals in its mission: End extreme poverty and building shared prosperity [see. The World Bank official webpage, [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)]. Also, the mission of the World Bank is carved in stone at its headquarters – “Our dream is a world free of poverty”.<sup>6</sup> At the same time, in accordance to contemporary challenges, the International Monetary Fund held three conferences on rethinking macroeconomic policy, including the problems related to income distribution, and published the collection of materials.<sup>7</sup> [see. International Monetary Fund official webpage

---

<sup>6</sup> Our dream is a world free of poverty

<sup>7</sup> Out of three, I participated in two conferences (in 2013 and 2015) as a Minister of Finance of Georgia.

[www.imf.org](http://www.imf.org)]. The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) has been also working on this very issue.

It has to be considered that in 2017, Davos World Economic Forum's experts prepared special report “The Inclusive Growth and Development Report [see. <https://medium.com>],” where the authors consider that “Inclusive growth can be thought of as a strategy to increase the extent to which the economy's top-line performance is translated into the bottom-line result society is seeking, i.e., Broad-based expansion of economic opportunity and prosperity.” 7 important factors are crucial for inclusive growth: education and skills, basic services and infrastructure, corruption and rents, financial intermediation of real economy investment, asset building and entrepreneurship, employment and labor compensation, and fiscal transfers. These are the main factors in calculating the Inclusive Development Index (IDI) [see. [www.weforum.org](http://www.weforum.org)].

Because the problem is pressing, the Government of Georgia approved a social-economic development strategy, “Georgia 2020” in 2014, which focuses on Inclusive growth<sup>8</sup> as well. Considering that I was leading (and participating in) the process of composing the mentioned document, I will try to prioritize in this article the most important issues for the economy of our country.

Policy of inclusive growth must be based on the economic growth oriented on development of entrepreneurship (this will ensure resolving economic problems, creating jobs, and overcoming poverty), implementation of economic policy supporting inclusive economic growth (comprehensive involvement of society in the process of economic development (diaspora, migrants, ethnic minorities and other groups), prosperity of each member of society resulted from economic growth, social equality and raise of living standards) and rational expenditure of natural resources in the process of economic growth, ensuring ecological security and sustainability, and avoiding risks of natural disasters.

On the basis of analysis, the following critical problems interrupting economic development in Georgia were outlined: lack of competitiveness in private sector, improper development level of human capital, and limited availability of finances.

---

<sup>8</sup>The project of program document was mainly prepared in the Ministry of Finance of Georgia.

Vakhtang Charaia

PhD in Economics, Invited Lecturer at Tbilisi State University  
Associated Professor at Business and Technology University (Georgia)

## FDI MOTIVATION AND BENEFITS FOR GEORGIA<sup>9</sup>

### **Summary**

Article is devoted to the FDI motivations of foreign investors and the benefits brought by them. Based on the research goals study was based on well known Scott-Kennel's model of local industry upgrading, which draws on the Investment Development Path (IDP) and OLI paradigm. The model applies the framework of the IDP at the micro level by proposing a typical process of local asset augmentation, as well as the contribution of inward FDI to industrial development as a continuum from enclave to full integration. Research was done based on deep interviews with the top management of companies listed in top 200 FDI making companies in Georgia.

**Keywords:** Investments, MNE, FDI Motivations, Georgian Economy.

### **Introduction**

Attractive investment climate is a key instrument for countries economic development, especially in developing and poor countries which are not able to develop their economy with the local resources. However, not always foreign investments are unilaterally leading to prosperity of local economies as it is expected. Employment, technologies, tax generation, import substitution and competition, these are the most important aspects of FDIs, which are expected to be brought by foreign companies, as well as development and support of local businesses, including local industry upgrading [Scott-Kennel, 1998]. One of the most important aspects is also competitive salary generation [Krugman, 2008: 103-137].

During last 20 years FDIs has played a tremendous role in the process of Georgian economic transformation. However, many questions still exist about what are the motivations and what is the impact of those FDIs for the host economy? Are FDIs promoting development and modernization of local industries and at what extent? How deeply they are integrated into the different fields of Georgian economy? Or on the other hand are the rights of those investors protected [Sachs, Johnson, 2017] and what is the real case for business making in Georgia? Is there a manipulation of interests, from the business side or is there manipulation with businesses from the government side?

### **Motivations and Benefits of FDI**

At the best possible scenario, investments of those Multinational Enterprises (MNEs) and even individual investments can significantly contribute to sustainable and inclusive economic development of the host country [OECD, 2010: 10]. Especially in developing ones, it is up to the local governments to build a healthy business environment through responsible business practices.

Unlike the past, in the beginning of XXI century international business environment has significantly modernized, especially in the last years and faced real structural changes worldwide, as well as in Georgia. Different states in all continents started to open their markets, businesses embraced new opportunities, FDIs are welcomed and supported (until the particular government has intention to control some sectors of the economy). However do they really bring the benefits expected by host economies? Are businesses manipulating with their

---

<sup>9</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation Of Georgia (SRNSFG) [YS-2016-66207, The Impact of MNE Motivation on Georgian Economy].

position? [Akerlof, 2015]. That is a question which is more important than just the number and amount of foreign investments.

Foreign Direct Investments by MNEs, as well as investments by smaller organization, through job creation, human capital development, efficient capital distribution, knowledge, technology, skills transfers and many other – have significantly contributed to global development and economic growth of both home and host countries [Corrado, 2006: 331-360], though increasing global economy and bringing closer geographical proximity for the most distant places.


Dividing investments by local market seeking and efficiency seeking ones is one of the most important aspects of FDI evaluation [dunning, 1993], since there is a huge difference in their motivations and benefits the host economy can get. One can say that Georgia has already proved its top positions in different aspects and foreign investors should be looking after Georgia not just for cheap labor force and availability of local natural resources, but for the possibility of transparent business making process with stable economic and political environment. However, let's see what the results are showing.

MNE motivations and the driving force could be different in different countries, as well as they could be different even in the separate sectors of the same economy. Relatively higher added value production (such as: electronics and engineering) is characterized by geographic concentration, proximity to the customers and high quality control demand. These fields are attracting Efficiency oriented FDIs. While, areas as: textile, food processing and other relatively low-tech service oriented fields.

FDI's has the possibility to improve the competitiveness of the host economy, but its impacts are different based on local countries potential, such as: a) In host economies with unfavourable characteristics, such as lower GDP per capita or low educational skills, higher total FDI stocks tend to be associated with lower subsequent growth. Generally it seems to be much easier to attract FDI than to derive macroeconomic benefits from FDI; b) Countries with highly qualified human recourses will benefit more from transmitting MNE's business related modern technologies; c) transfer of technologies is widely depended on the institutional development of the host economy.

Particular factors are closely related to the FDI motivations and have different growth effects on the host economy [Jensen, 2009]. For instance, Market-Seeking FDI is providing the host economy with technological assistance and staff trainings. Also modern technologies and import of intermediate products provide additional benefits for the local economy. Finally, rising competitiveness is pushing local firms to innovation. Otherwise the “crowed out” effect is expected, since foreign firms are highly competitive. Market-Seeking FDIs oriented on concurring local markets are less involved in export-oriented activities. In a long run it could result a crisis for balance of payments, since such FDIs cannot provide inflow of financial assets from the export-oriented activities. It should be interesting to mention that share of companies created with the foreign investments in total exports is equal to 66 percent, which is impressive and shows that foreign companies are playing important role not only in exports but the whole macroeconomic stability of the country (see table). These results could be further improved taking into a consideration the fact of free trade possibility with EU [Charaia, 2013: 95-110], which can bring relief not only for trade but also for new investments; the same goes for free trade regime with china [Papava, Charaia, 2017a: 122-137].

## SHARE IN TOTAL GEORGIAN EXPORTS, BY COMPANIES CREATED WITH FDIs



Source: GEOSTAT and Authors Own Calculations

Before we go to more details, let's have a look on Georgia and its progress for the last period. Georgia is the aspiring economic center of the Caucasus. It boasts years of robust economic growth, liberal tax and labor legislation, business friendly practices, low corruption, high security and openness to foreign investment [Deloitte, 2016]. Georgia signed the association agreement with the EU in 2014 [EU/Georgia, 2014: 1] and gets visa free regime starting from the first half of 2017 year [Secrieru, 2017: 2]. Georgia has state and private investment funds that welcome foreign investments to implement joint large scale projects. According to 2018 report The World Bank rated Georgia as the 9th easiest place in the world for doing business [WB, 2018: 4] and also named it as a Top Global Improver [WB, 2016].

Heritage Foundation ranked Georgia 13th (among 180 countries) for its economic freedom in 2017 year's country ranking [Tradingeconomics, 2016]. Standard and Poor and Fitch Ratings has affirmed Georgia's Long-Term Foreign and Local Currency Issuer Default Ratings at 'BB-' with Stable Outlooks, for 2017 year [RIA, 2016: 45]. According to the Global Competitiveness Index Georgia is one of the best performers for the last decade. In addition to simplified tax code with only 5 taxes with one of the lowest rates in the world, the so called Estonian Model of Income Tax was introduced since January first 2017, thus corporate income tax is paid only in case of profit sharing. If a company reinvests its income no income tax is paid. According to the Frazer Institute's Economic Freedom of the World 2016 Report, Georgia got 8th place [EFW, 2016].

These and many other achievements have contributed to Georgia's leap to a dimension drastically different from that of the 1990s. Although, some indicators suggest that the problem also exists in Georgia mainly related to the conflict territories [Charaia, 2016a: 1] which are not only hindering the economy, but also costs billions of USD [Charaia, 2016b: 46-51]. However, orientation is taken toward the the progress. Nevertheless the questions still exists, if it is enough for foreing investors to have motivations for investing in Georgia [Charaia, 2014a], not only for the sake of their own business, but for the sake of host country as well [Charaia, 2014b: 425-428].

### Case Study Results for Georgia

Research done with involvement of companies from the list of top 200 companies created with FDIs, shows some expectable, as well as unexpected results challenging Georgian economy and its progress. Here we offer some interesting details of the research.

**The role of international rankings for investment.** As we already read foregin investors should be proud of investing in such a progresive country as Georgia is, investors should value the transparency and openness of this economy. However, according to our research more then half of the top foreign investor company's top managers say that they did

not realy invested in this country because of just interesting international indexes, only 40 percent of respondents declare that - yes international ranking were important while concidering Georgia as a country for investment.

Three main problems of doing business in Georgia. Different answers where offered by different business representatives, but what was mutual problem for the 90% of respondents are related to the – lack of qualified labor force, expensive bank loans and instability of exchange rate. Expensive loans usually makes perspectives of any business dull [Ocampo, Stiglitz, 2008], but it should be noted that FDI companies we questioned are able to attract fund from the cheaper sources from abroad as well. Exchange rate instability ruins down all the progress business and individuals have achieved [Anguridze, Charaia, Doghonadze, 2015]. Also, it should be mentioned that the roots of exchange rate problem, are closely related to the policy of inflation targeting by the National Bank of Georgia [Charaia, Papava, 2017b: 96-103], which (N BG) do not consider the exchange as an important element of financial stability of the country [Charaia, Papava, 2017c].

**Three main advantages of doing business in Georgia.** As in case of main problems, main advantages of doing business in Georgia very based on business type, however main achievements of the country are equally important and appreciated by 9 investor out of ten and this factors are: Low criminal and corruption rate, transparency and easiness of cooperation with officials, Estonian model of income distribution which allows investors to reinvest their income without being taxed.

FDI policy influence on the way firms operates in Georgia. Based on international experience different countries tries to protect or in other words try to prevent foreign companies from investing in certain legal areas of business making, such as Telecommunications in France, Medicine in Japan, Oil industry in United Arab Emirates and other, but Georgia is one of the unique countries in the world where you don't have any restrictions for investment in any legal industry [Lashkhi, Charaia, 2017]. Therefore foreign investors are more than happy with the local governments FDI policy, which do not make problems for the businesses as it can be seen in different fields in different countries [Crandall, 1981].

თუმცა, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ამჟამად სეპარატიზმის საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპა ბოლომდე არ აღუდგა წინ ყოფილი იუგოსლავის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დანაწევრებას. ერთა თვითგამორკვევის ლოტუნგით განხორციელებული სეპარატიზმი პროექტების აქტიურ-პასიური მხარდამჭერით თუ ნეიტრალიტეტით, მათ საერთაშორისო სამართლისთვის და თავისი მომავლისთვისაც უაღრესად საშიში პრეცედენტების დამკვიდრებას შეუწყეს ხელი. ასე რომ, დასავლეთ ევროპელები და რუსები, დიდი ალბათობით, მალე მოიმკიან იმას, რაც 90-იან წლებში კავკასიაში და ბალკანეთზე დათეხეს.

რეგიონების სეპარატიზმი მოძრაობებს, იქნება ეს საქართველოში, ესპანეთსა თუ დიდ ბრიტანეთში, ერთი შეხედვით, სხვადასხვა მიზეზი აქვს. ეს არის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური ფაქტორები. თუმცა, მკვლევარების უმეტესობის აზრით, ყველა მათგანს აერთიანებს ერთი საერთო მიზეზი - ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ამასთან, ამგვარი ეკონომიკური სეპარატიზმი, თუ მას ეთნოპოლიტიკური „შეფერილობაც“ გმატება, განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იდებს. ამერიკელი მკვლევარები ტ. რ. გური და უ. მორი მწვავე ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტს განმარტავენ, როგორც ისეთი პოლიტიკური დაჯგუფებების დაპირისპირებას, რომლებიც თავს, გარკვეული კომბინაციით ერთიანი წარმოშობის, სერთო ისტორიული წარსულის, მათვის ფასეული კულტურული ნიშნების მქონედ მიიჩნევენ და თავიანთ კოლექტიურ ინტერესებს სახელმწიფოზე ან მასში მცხოვრებ სხვა ჯგუფებზე მაღლა აყენებენ [Ted Robert Gurr and Will H. Moore.1997].

ინტერესების პრიმატები ამერიკელი მკვლევარების მიერ გამოთქმულ აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს კატალონიის გენერალიტეტის ყოფილი მეამბოხე

პრეზიდენტის, ხორდი პუხოლის სიტყვები: „ენა არის მნიშვნელოვანი, დროშაც მნიშვნელოვანია, კულტურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მთავარი ფულია“ [3].

### „დარიბების“ და „მდიდრების“ სეპარატიზმი

სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის პირობებში კოლექტიური ეკონომიკური ინტერესები პირველ რიგში ცალკეული რეგიონების - ფედერაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან ეთნიკურ-აგრონომიური სუბიექტების ფისკალურ ინტერესებში ვლინდება. ამით ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში (განსაკუთრებით თუკი ცენტრისა და რეგიონების უფლებამოსილებები ბოლომდე მკვეთრად არაა გამიჯნული) წარმოშობა რეგიონული ეკონომიკური ინტერესების ადგილობრივი ელიტების მხრიდან ლობირების აუცილებლობა. არსებობს ორგანიზაციური ფისკალური სეპარატიზმი - „დარიბების“ და „მდიდრების“.

ფისკალური სეპარატიზმის ერთი სახეობაა „დარიბების“ სეპარატიზმი, რაც ადგილობრივი ელიტების მიერ ცენტრიდან რაც შეიძლება მეტი საბიუჯეტო სახელების იძულებით დათმობას ან შანჩავის გზით წართმევას გულისხმობს.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ „დარიბების სეპარატიზმის“ გაღვივებაზე მნიშვნელოვან გავლენას ორი ძირითადი ფაქტორი ახდენს: რეგიონისადმი მძლავრი უცხო სახელმწიფოს მხარდაჭერა და ცენტრის დიქტატი რეგიონზე. ასეთი სეპარატიზმი უფრო რადიკალურია, რადგანაც დარიბები, როგორც წესი, მდიდრებზე გაცილებით რადიკალურად მოქმედებენ თუნდაც იმიტომ, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ.

„დარიბების“ სეპარატიზმის მაგალითი იყო 90-იანი წლების დასაწყისის საქართველო. ამ დროს ქვეყანაში სხვადასხვა რეგიონის განვითარებას შორის სხვაობა იმდენად მკვეთრი არ იყო, როგორც სხვა ქვეყნებში. თუმცა ჩამოყალიბდა ორი პარალელური პოლუსი - ეკონომიკური და კულტურული თბილისი, ანუ ცენტრი, და დარიბი რეგიონები. ამასთან, მაშინდელი საქართველო ძალზე სუსტი სახელმწიფო იყო, სადაც უცხოური ეკონომიკური დახმარება ცენტრიდანული მოძრაობის გაძლიერებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. შედეგად, ცენტრის სისუსტის გამო, სეპარატისტები მისი კუთვნილი ფინანსების წართმევას ცდილობდნენ. მართალია, ამ საუკუნის დასაწყისში სეპარატისტული რეგიონები ქვეყნის ჩრდილოეთში „გაყინული კონფლიქტების“ ფაზაში რჩებოდნენ, მაგრამ ეროვნული თვალსაზრისით საქართველო გაცილებით შეკრული იყო, ვიდრე ბევრი სხვა ახალგაზრდა სახელმწიფო. თუმცა მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს - როდესაც წინააღმდეგობები გროვდება, ქვეყნაში და მის ფარგლებს გარეთ წნდებიან ძალები, რომლებიც იწყებენ მუშაობას მათ გაღრმავებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში ძლიერი სეპარატისტული პროექტის წარმოქმნით სრულდება.

სწორედ ასე მოხდა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აჭარის ავტონომიაში, რომელშიც რეგიონის მხარდაჭერილი სეპარატისტული რეჟიმი ფედერალური ცენტრის კუთვნილი ფისკალური შემოსავლებით საქართველო პარამილიტარულ შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნიდა. ამ დროს ადგილობრივი ელიტა ფარისევლურად ამტკიცებდა, რომ ფისკალური დამოუკიდებლობა მას ცენტრიდან მიუღებელი ტრანსფერებით გამოწვეული „სიღარიბის დაძლევისთვის“ სჭირდებოდა. 2000-2003 წლებში აჭარის ავტონომიიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების მიუღებლობა ხეგატიურ „ტრადიციად“ იქცა. ეს ცენტრს ყოველთვიურად 2-3 მილიონ ლარს აკლებდა, რაც ხელისუფლებას ხარჯვით პოლიტიკის გატარებაში პრობლემებს უქმნიდა. მაშინდელი აჭარა „დარიბების“ სეპარატიზმის ტიპური

წარმომადგენელი იყო. წესით აჭარასა და ცენტრს შორის საბიუჯეტო პრობლემები არ უნდა წარმოქმნილიყო, ვინაიდან საქართველოს პარლამენტი ყოველ წელს (მიუხედავად „საბიუჯეტო კოდექსის“ ახლანდელი ფორმით არარსებობისა) იღებდა შესაბამის ნორმატიულ აქტებს. ასე მაგალითად, 1996-2003 წლებში მიღებულ იქნა კანონები, რომლებითაც დადგენილი იყო ცენტრსა და ავტონომიებს შორის ფედერალური და ადგილობრივი გადასახადების გრძელვადიანი ნორმატივები, ანუ საქართველოში დაიწყო საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბება [4].

თუმცა, ავტონომიის მაშინდელი ხელისუფლება აღნიშნული კანონმდებლობის ხშირ იგნორირებას ახდენდა და ცენტრალური ხაზინის ნორმატივებით მიკუთვნებულ თანხებს რეალურად აჭარაშივე ტოვებდა. აჭარის ავტონომიის მაშინდელი ლიდერების არგუმენტები მარტივი იყო: ავტონომია ცენტრალურ ბიუჯეტში არ რიცხავდა იმ ფულს, რომელიც შემდგომ ტრანსფერების სახით ისევ რეგიონებს, მათ შორის, აჭარას უნდა მიეღო. 1998-2004 წლების განმავლობაში აჭარის საბიუჯეტო ”ურჩობა“ ცენტრალურ ბიუჯეტს რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაუჯდა [5]. თუმცა, ცენტრს რომ მოქნილი პოლიტიკა გაეტარებინა, კონსენსუსი, სავარაუდოდ, მიიღწეოდა. ამაზე პროფესორი დადო პაპავა მუჟოთებს, რომ ფედერალური პრინციპებით მოწყობილ ფისკალურ სისტემაზე გადასვლამდე, ცენტრსა და რეგიონებს შორის გარკვეული პერიოდის მანძილზე შესაძლებელია გადასახადების ისეთი პროპორციით გადანაწილება, რა პროპორციითაც არ ხდება რეგიონიდან ცენტრის კუთვნილი შემთხველობების გადმორიცხვა. ასეთ პრინციპს ის „საგადასახადო კონსენსუსის დოქტრინას“ უწოდებს [6].

„დარიბების“ სეპარატიზმის აღმოცენების მნიშვნელოვანი წინაპირობა სტრუქტურული პრობლემებია, რომლებსაც რეგიონების არათანაბარი განვითარება წარმოშობს. სწორედ ფედერალური ცენტრიდან მიუღებელ ტრანსფერებს ასახელებდა აჭარის ავტონომიის მაშინდელი ხელისუფლება ფისკალური დამოუკიდებლობისკენ, თვითუზრუნველყოფისკენ მისწრაფების მიზეზად. ამავდროულად, პრობლემების სათავე საქართველოს მეზობელი ძლიერი სახელმწიფოს მიერ სეპარატისტების პოლიტიკური წაქეზება იყო. თუმცა, მოვლენათა ზედაპირზე ეს ავტონომიის თბილისთან ფისკალური დაპირისპირების გამწვავებაში გამოვლინდა, რაც 2004 წლის მაისამდე გრძელდებოდა. საბეჭინეროდ, აღმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე მდ. ჩოლოქის საავტომობილო ხიდის და რეინიგზის გახსნის შემდეგ აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელობის სეპარატიზმი დასრულდა და ესკალაცია არ მომხდარა. ანუ კონფლიქტი გადაიჭრა არა ფისკალური ბერკეტებით, არამედ გზების გასხინით.

აჭარის ავტონომიის მსგავსად, საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყო შედარებით ნაკლები სიმწვევის პრობლემები, მაგრამ სეპარატისტული მოძრაობები ამ დაპირისპირებებმა რუსეთის მოსაზღვრე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოქმნა. ამ რეგიონებში სეპარატისტული მისწრაფებები არ იყო დაკავშირებული ფისკალურ ფედერალიზმთან და ის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მოსკოვის ხელშეწყობით ჩაისახა. აფხაზეთში ამ პროცესებს გასული საუკუნის 70-იან წლებში ენგურებების გამომუშვებული ელექტროენერგიის „კავკასიონის“ მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზით რუსეთში გატანა უძღვდა წინ. ამ დროს უკავშირდება გუდაუთა-ოჩამჩირეს შელფზე ნავთობის პირველი საბაზოების აღმოჩენა, მოსაზღვრე რუსულ ქალაქ სოჭში აფხაზეთიდან ელექტროენერგიის მიწოდების დაწყება და სოჭიდან სოხუმში ბუნებრივი აირის მილსადგნის, აგრეთვე ჩერქეზეთიდან სოხუმში საავტომობილო გზის კავკასიონის გადმოკეთით შემოყვანაზე საუბარის დაწყება. ამავე დროს დაიწყო ნოვოროსისკიდან აფხაზეთის გავლით რუსული მაგისტრალური ნავთობსადენის თურქეთში გაყვანის პროექტის

განხილვაც, რაც სოხუმს მრავალმილიონიანი სატრანზიტო შემოსავლების მიღებას უქადა.

ანალიზიურად ვთარდებოდა მოვლენები მაშინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიაშიც. ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების წინააღმდეგობის მიუხედავად და რუსეთის დაუინგბული მოთხოვნით, 1985 წელს გაიყვანეს როგის გვირაბი, ე.წ. „ტრანსკამი“. ამავდროულად, მოსკოვის დაფინანსების წყალობით, საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია კვასას პოლიმეტალების საბაზოს მოპოვებამ. დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ ალაგირი-ცხინვალის რეინიგზის, მამისონის უდელებებილზე სააგენტომობილო გზის გახსნის და როგის გვირაბით მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი საზის შემოვანის პროექტების განხილვა. ამ დროს კი თბილისთან დაახლოებისთვის არაფერი კეთდებოდა.

ამრიგად, ცენტრიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევამ დიდად შეუწყო ხელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული ტენდენციების გაჩენას.

სამწუხაროდ, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება დაბაბულობის შესაქმნელად დღესაც ხდება საქართველოს ქისტებით დასახლებულ რეგიონში, პანკისში. ასე მაგალითად, დაღესტნებით მეწარმე ვინმე მაგომედ გებედოვი „საპუთარი“ სახსრებით და ტექნიკით უკვე 27 წელია აშენებს 54 კმ სიგრძისა და 4 მეტრი სიგანის გრუნტის გზას დაღესტნის სოფ. ბექტადან ვანტლიაშის უდელტებილის გავლით. მისი მიზანია ქართულ სოფ. ახალსოფლამდე გზის მოყვანა, ვითომდა დაღესტნის აგარიელებით დასახლებული რაიონების კახეთთან, ჯერ კიდევ მეტის რუსეთის დროს დაწყებული ეკონომიკური კავშირების აღსაღვენად. სინამდვილეში, გზის მიზანია სომხეთის ევრაზიულ სივრცესთან სახმელეთო კომუნიკაციით „მიბმა“ და ამით საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკურ ვაქტორზე გავლენა [7].

ამიტომ ცენტრსა და რეგიონებს შორის დაბაბულობის შესამცირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ფისკალური გადანაწილების, ანუ ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების სწორად გამოყენებას.

ასე მაგალითად, ჩინეთის ხელისუფლება უზარმაზარ თანხებს ხარჯავს აღმოსავლეთ რეგიონების განვითარებისთვის, რომელიც ქვეყნის მდიდარ ზღვისპირა ზოლს ეკონომიკურ განვითარებაში ჩამორჩებიან. მართალია, პეკინის მხრიდან არსებული დღვევანდებით მაცრი აღმინისტრაციული კონტროლის პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩინეთის რომელიმე პროვინცია გამოყოფას დააპირებს, მაგრამ ცენტრში მიიჩნევენ - იმისთვის, რომ რაღაც დროის შემდეგ პრობლემები არ წარმოიქმნას, ცენტრი უკვე დღეს უნდა გააქტიურდეს. სწორედ ამიტომ ბანდებება მილიარდები ტიბეტის, შიდა მონაბეჭდებისა და სინმიან-უიდურის აგრონომიების ინფრასტრუქტურულ პროგრამებში და ჩამორჩენილი რეგიონების კულტურული დონის ამაღლებაში.

რა ფისკალური მიზნების მიღწევას ცდილობენ სეპარატისტული ადმინისტრაციული ან ავტონომიური რეგიონები? ამ რეგიონების ელიტები უმთავრესად ლობირებენ: 1. პრიორიტეტულ დაფინანსებას; 2. შეღავათებს გადასახადების აკრეფისას; 3. ფედერალურ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას იმ მიზნით, რომ მეტი უფლებები მიიღონ რეგიონული მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოებმა [შ. მაცაბერიძე, 2004].

ამასთან, ფისკალური პრეფერენციების ლობისტებს შორის ცოტამ თუ იცის, რომ სეპარატისტული რეგიონებისათვის საერთო სარგებლის გაყოფის გარდა, ქვეყნებს ვალდებულებების დანაწილებაც მოუწევთ. მაგალითად შოტლანდიას, გამოყოფის შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ვალის ნაწილი დაეკისრება. ამჟამად გაერთიანებული სამეფოს ტრანსფერების 10 პროცენტამდე შოტლანდიაზე მოდის, რაც გულისხმობს, რომ გამოყოფის შემთხვევაში, ამ

რეგიონს ვალის დაფარვა მიღებული თანხების პროპორციულად მოუწევს. გარდა ამისა, შოტლანდიულებს გირვანქა სტერლინგის შენარჩუნება სურთ, რაც შესაძლოა მათვის დამოუკიდებლობის ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აქ სეპარატისტული მოძრაობა ამ მომენტისათვის ამოწურულია. 2014 წლის 18 სექტემბერს რეფერენდუმის დროს შოტლანდიულთა 55%-მა დიდ ბრიტანეთში დარჩენა ისურვა. შოტლანდიულთა ამ გადაწყვეტილების უპირველესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ფაქტორია. მათ არ უნდათ უარი თქვან იმ ეკონომიკურ სარგებელზე, რასაც დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში ყოვნით იღებენ. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ ირლანდიაზე, რომელშიც ეთნოპოლიტიკური დაბატულობის აერიოდული ზრდა რატომდაც საბიუჯეტო პროცესის დაწყებას „ემთხვევა“ ხოლმე. გაერთიანებულ სამეფოში ამ რეგიონების დარჩენის ეკონომიკური სარგებელი ორმხრივია. ამჟამად აქ აქვს ადგილი „ფისკალურ ძარცვას“. ხშირ შემთხვევაში შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მეტს იღებენ, ვიდრე იქ რიცხვავენ.

ბოლო რამდენიმე წელია შოტლანდიაში ტრადიციული საწარმოები - ქანახშირის მადაროები და მეტალურგია, აგრეთვე გემთმშენებელი ვერფები, რეცესიაში არიან. მართალია, ქვეყანას წარმატებით შეუძლია გააგრძელოს ბუნებრივი აირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ალკომოლური სასმელების ექსპორტი, მაგრამ კატალონიასთან შედარებით შოტლანდია „დარიბია“ - ბოლო წლებში ამ რეგიონის მშა 140 მლრდ გირვანქა სტერლინგის ფარგლებშია და დიდი ბრიტანეთის მთლიან შიდა პროდუქტში ყოველწლიურად მისი წილი მხოლოდ 10%-ს შეადგენს [9], ანუ გაერთიანებულ სამეფოში შოტლანდია, მიუხედავად ნავთობისა და გაზის დიდი რაოდენობით მოპოვებისა, ამჟამად შედარებით „დარიბი“ რეგიონად ითვლება და მისი ახლანდელი სეპარატიზმი „დარიბების“ სეპარატიზმის წიპურ მაგალითს წარმოადგენს. თუმცა, რამდენიმე ათწლეულის წინ შოტლანდიის სეპარატიზმი სიმდიდრიდან წარმოიქმნა.

საქმე ისაა, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მოხმარებული ბუნებრივი აირის და ნავთობის 90%-ის მიმწოდებელი სწორედ შოტლანდია იყო. გარდა ამისა, შოტლანდიაში მდლავრი ჰიდრო-ელექტროსადგურები, რომლებიდანაც დანარჩენი გაერთიანებული სამეფო მარაგდება და შოტლანდიის გამოყოფის შემთხვევაში ბრიტანელები იმულებულნი იქნებიან, დენის იმპორტი დაიწყონ. ამ შემთხვევაში მათ გაცილებით მეტის გადახდა მოუწევთ, ვიდრე ახლა შოტლანდიას უხდიან.

იმ პერიოდში შოტლანდიის პოლიტიკური ელიტა არა „დარიბების“, არამედ „მდიდრების“ სეპარატიზმს უფრო განასახიერებდა. ამას ხელი შეუწყო ნახშირწყალბადებმა (ბუნებრივმა აირმა და ნავთობმა), რომლებიც ამ რეგიონის ჩრდილოეთის ზღვის შელფზე 1970 წლიდან მოიპოვება. 1973-1974 წლების ენერგეტიკული კრიზისის ფონზე ნავთობის და გაზის დირებულება ევროპის ბაზარზე 2-ჯერ გაიზარდა. ამის შემდეგ ნახშირწყალბადები შოტლანდიულთა ხელში მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღად იქცა. პარალელურად გაიზარდა სეპარატიზმი მათი მხრიდან. კერძოდ, თუ 1970 წლის არჩევნებში შოტლანდიის ნაციონალისტურმა პარტიამ, რომლის მთავარი საპროგრამო დაპირება გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფაა, ხმათა მხოლოდ 11% მოაგროვა, უკვე 1974 წელს, ანუ ცნობილი გლობალური ენერგეტიკული კრიზისის და ნახშირწყალბადების გაძირების შემდეგ, იმავე პარტიამ ხმათა 30%-ზე მეტი მიიღო. ამის საპირისპიროდ, 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, შოტლანდიაში ძალზე იკლო დამოუკიდებლობის მომხრეთა, ანუ „დარიბი“ სეპარატისტების რიცხვმა, რაც გლობალურ ბაზრებზე ნახშირწყალბადების მკვეთრ გაიაფებას დაემთხვა. საინტერესოა, რომ

2009 წელს გაერთიანებული სამეფოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ შოტლანდიის ბანკებს საერთო ჯამში 37 მლრდ გირვანქა სტერლინგი საკრედიტო რესურსი გამოუყო.

შედეგად, 2014 წლის 18 სექტემბრის რეფერენცუმზე შოტლანდიელების 55%-მა მხარი დაუჭირა რეგიონის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენას. შოტლანდიელთა ამ გადაწყვეტილებას ჸპირველესად ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა. კერძოდ: 1. შემცირდა ჩრდილოეთის ზღვის შოტლანდიის აკვატორიაში მოპოვებული ნახშირწყალბადების რაოდენობა და გაერთიანებული სამეფოს მოხმარებაში მათი წილი, ანუ მათი მნიშვნელობა საკუთრივ შოტლანდიისათვის. გეოლოგიური კვლევებით დადასტურებული ფაქტია, რომ ჩრდილოეთის ზღვაში მარაგები სწრაფად ილევა - მოპოვებამ 40%-ით იკლო. სპეციალისტების ვარაუდით, 1970 წლიდან დღემდე ჩრდილოეთის ზღვის ნახშირწყალბადების 2/3-ზე მეტი უკვე ამოწურულია; 2. შოტლანდიელთა გადაწყვეტილებაზე იმოქმედა ეკროკომისიის პრეზიდენტის ჟ. მ. ბაროზუს განცხადებამ სეპარატისტების ევროკავშირში მიუღებლობაზე და შოტლანდიის ევროკავშირის გარეთ დარჩენის საშიშროებამ, რაც შოტლანდიას, გაონომიკურთან ერთად, პოლიტიკურ პრობლემებსაც შეუქმნის. ამის შემდეგ, ლონდონის მიერ „ბრექსიტის“ გამოცხადებამ სეპარატისტების აქტივობები საბოლოოდ დაქსაქსა; 3. მნიშვნელოვანი იურ შოტლანდიელი ბიზნესმენების, მსხვილი ინვესტორების, ბანკების, კომპანიების პოზიცია, რომლებიც შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავიდნენ გამომდინარე იქიდან, რომ ეს გამოიწვევს დიდ ფინანსურ გართულებებს და რეგიონის გადარიბებას; 4. უჭვებს იწვევდა აგრეთვე რეგიონში გირვანქა სტერლინგის მიმოქცევაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი. არ გამორიცხავდნენ შოტლანდიის გირვანქიდან ევროზე გადასვლას, რაც აგრეთვე უმტკიცნეულოდ არ მოხდებოდა.

საინტერესო განცხადება, რომლითაც 2014 წლის 7 სექტემბერს, ანუ შოტლანდიის რეგიონდუმადე რამდენიმე დღით ადრე ჯ. ოსბორნი, გაერთიანებული სამეფოს ფინანსთა მინისტრი გამოვიდა. ის შოტლანდიელებს სამეფოში დარჩენის შემთხვევაში დაუფარავად სთავაზობდა მეტ ფისკალურ ავტონომიას: „ოქენე უფრო მეტად შეგეძლებათ საკუთარი ბედის მართვა“ - აცხადებდა იგი [10].

„ბრექსიტის“ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ევროპელი ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ შოტლანდიელებმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენა აირჩიეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არც სამეფოში და ადარც ეკროკავშირში ადარ იქნებოდნენ. „ბრექსიტი“ ორმხრივი პრაგმატული ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურობის შენარჩუნებას - ევროკავშირის დატოვებით ლონდონმა ქვეყნის მოლიანობა, ხოლო შოტლანდიაში ეკონომიკური სარგებელი მიიღო. მეტიც, სამეფოს შემადგენლობაში არ ილახება შოტლანდიელთა ეთნიკური იდენტობა, მოსახლეობას აქვს გამოყოფის საკითხზე რეფერენდუმის გამართვის უფლება, პყავს საკუთარი წარმომადგენლობითი, სასამართლო და ზოგიერთი აღმასრულებელი ორგანო.

შოტლანდიის აღნიშნული, 70-იანი წლების მაგალითი ცხადყოფს ფისკალური სეპარატიზმის მეორე სახეობის - „მდიდრების“ სეპარატიზმის არსებობას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ისეთი რეგიონები, რომლებიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით განვითარებული, ანუ მდიდრები არიან და ცდილობენ თავისი ფისკალური შემოსავლები ცენტრს არ გაუყონ. ასეთი რეგიონებია, მაგალითად, ბასეკეთი და კატალონია ესპანეთში, ფლანდრია ბელგიაში. ასეთი სეპარატიზმი ასევე აქტიურდება ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც სამხრეთ ხე მდიდარია. ყველა ეს რეგიონი ქვეყნის მდიდარი ნაწილია და ამ შემთხვევაში

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე მდიდარ რეგიონებს არა აქვთ სურვილი არჩინონ, დარიბი რეგიონები - ეს „მდიდრების“ სეპარატიზმია. ამგარი სეპარატიზმის კლასიკური მაგალითი დღევანდელი კატალონიაა.

საქართველოს მსგავსად, ესპანეთიც ფედერაციაა, და გაერთიანებული სამეფოს მსგავსად - ისიც დემოკრატიული სახელმწიფოა. თანაც, ესპანეთს საქართველოს მანერული ეკონომიკა აქვს. ავტონომიების უფლებების გაზრდით დღეს იგი ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ოუმცა, ამ ქვეყანაში ბოლო წლებში არსებული სიტუაცია ადასტურებს, რომ საქართველოს მსგავსად, ფედერალიზმიც არ ყოფილა გამოსაგალი სეპარატისტული განწყობის მოსათვად. როგორც ჩანს, ესპანეთში გაერთიანებული სამეფოს მსგავსი მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გატარდეს.

ამჟამად კატალონიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ითხოვს დამოუკიდებლობას. ისინი იზიარებენ მოსაზრებას, რომლითაც დღევანდელ მსოფლიოში, სადაც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობებია, პატარა ქვეყნებს შეუძლიათ ძალიან წარმატებული იყვნენ [Pantovic A., 2014].

კატალონიულების სეპარატისტული მისწოდებები გამყარებულია საქმაოდ სერიოზული ეთნოლოგიური არგუმენტებით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს კ.წ. „მდიდრების“ სეპარატიზმია დ ესპანური სახელმწიფოდან გამოყოფა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული აროვინციის ელიტის ნაწილს სურს. 2003 წლის კატალონიის გენერალიტეტის არჩევნების და მასში პასკუალ მარაგალის გამარჯვების შემდეგ კატალონიაში შეიცვალა სეპარატისტული მოძრაობისადმი მიღდომები. ოუ აღრე კ.წ. კატალონიზმი ასოცირდებოდა ქვეყნის აშენებაზე, რომელიც კულტურულად იქნებოდა დიფერენცირებული დანარჩენი ესპანეთისგან, 2003 წლის შემდეგ კულტურის როლი ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა და მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფისკალური პოლიტიკა [Illas E. 2014].

ახლა კატალონიური ელიტა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრთხილობს. მას არ სჭირდება დესტაბილიზაცია, რომელიც შეიძლება დამოუკიდებლობის მოპოვებას დაუკავშირდეს და კორნომიკური კეთილდღეობა იმსხვერპლოს. ისინი არ არიან მზად დამოუკიდებლობის გამო ხანგრძლივი ბრძოლისათვის დ მათ ეკონომიკური პოლიტიკის ეშინიათ. მართალია, კატალონიაში არის ხალხი, რომელიც რადიკალურ მოქმედებას მოითხოვს და ეკონომიკაზე ნაკლებად ფიქრობს, მაგრამ ავტონომიის ხელისუფლებაზე მათ გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. ამასთან, დღევანდელი კატალონიური სეპარატიზმი, შოტლანდიურის მსგავსად, მოითხოვს არა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არამედ ევროკავშირის ახალი წევრის შექმნას; ხშირ შემთხვევაში სეპარატისტები ცდილობენ, უბრალოდ, ამოაგდონ „ზედმეტი როლი“ (მადრიდი, ლონდონი) და პირდაპირ ბრიტანელის ევროპიუროკატიას დაექვემდებარონ.

კატალონია საქმაოდ დიდი რეგიონია 7 მლნ-ზე მეტი მოსახლეობით. ეს უფრო მეტია ვიდრე ევროკავშირის წევრი 12 პატარა სახელმწიფოს მოსახლეობა ერთად აღებული. კატალონიის მშპ უტოლდება ჩეხეთის, ირლანდიის, პორტუგალიის მთლიანი შიდა პროდუქტების ჯამს. კატალონია ესპანეთის 17 რეგიონს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია - მისი წილი ესპანეთის მშპ-ში 20%-ია. კატალონიაში შექმნილი მშპ 192 მლრდ ევროს უდრის, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე ამ ავტონომიაში 27 ათ. ევროს აღწევს, რაც მთლიანი ესპანეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 13%-ით აღემატება.

ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას და კატალონიის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იმაში მდგომარეობს, რომ ესპანეთის მშპ-ში

შეტანილი 20%-დან კატალონია უკან იღებს ძალიან მცირეს, - დაახლოებით 1 გადახდილი ევროდან კატალონიელები უკან იღებენ 57 ცენტს [13].

ამ ავტონომიური რეგიონის წლიური ბიუჯეტიდან 26 მლრდ ევრო. ბარსელონაში ხაზს უსვამეს, რომ რეგიონი ყოველწლიურად ცენტრს გადასახადების სახით 11-დან 15 მლრდ ევრომდე უხდის, მაშინ როცა მადრიდში ამტკიცებენ, რომ კატალონიიდან წლიურად მხოლოდ 8.5 მლრდ ევროს იღებენ [14]. კატალონიაში აწარმოებენ ესპანეთის ექსპორტის მეოთხედს. გარდა ამისა, ესპანეთის 46 ბანკიდან 10 ბანკი კატალონიაში მდებარეობს. ადსანიშნავია, რომ აქ უმცურვლების დონე 1%-ია, დანარჩენ ესპანეთში კი 12-13% [15].

გარდა ამისა, კატალონია მიმზიდველი რეგიონია უცხოელი ინვესტორებისთვის - ბოლო 5 წელია აქ ყოველწლიურად 3-4 მლრდ ევროს დირებულების ინვესტიცია შედის [16]. კატალონია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეგიონია ტურისტული თვალსაზრისითაც. ამიტომ ცენტრისა და ამ რეგიონის ურთიერთობას კატალონელები „ფისკალურ ქურდობას“ ეძახიან და ხშირად აპელირებენ ლოზუნგით „ესპანეთი ჩვენგან იპარვეს“. ფისკალური დამოუკიდებლობა არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოთხოვნადი ალტერნატივა კატალონელთა მხრიდან.

ერთი შეხედვით, კატალონიის ეკონომიკა ესპანეთისაზე ძლიერია, თუმცა ევროკავშირის და ევროზონის დატოვება მასაც სავალალო შედეგებს მოუტანს. რეგიონული მთავრობა გალებშია და ევროპული ფონდების ფინანსური დახმარება მისთვის გადამწყვეტია. გარდა ამისა, ჩრდილი შეისხეს კალევის მიხედვით, გამოყოფის შემთხვევაში, კატალონიის მთლიანი შიდა პროდუქტი 20%-ით დაიკლებს.

ფისკალურ სფეროს განსაკუთრებული როლი ენიჭება ფედერაციულ სახელმწიფოებში, რამდენადაც ფედერალურ საფინანსო სისტემაში, ისე როგორც არც ერთ სხვა სფეროში, მყაფიოდაა გამოსახული ანტიგონისტური დამოკიდებულება ფედერალურ ცენტრსა და მის სუბიექტებს, ასევე თვითონ ფედერაციის სუბიექტებს შორის. როგორც ხატოვნად ამბობენ - „დამისახელე შენი საფინანსო წესრიგი და მე გერყვევი როგორია შენი ფედერალიზმი“ [17].

საქმე ისაა, რომ კატალონიას არ გააჩნია სრულფასოვანი ფისკალური დამოუკიდებლობა ცენტრიდან, განსხვავდით ორი სხვა ესპანური ავტონომიური რეგიონისაგან - ნავარასა და ბასკეთისაგან. მიუხედავად ამისა, ევროპელი პოლიტოლოგები და ეკონომისტები თანხმდებიან, რომ „კატალონია იგივეა ესპანეთისთვის, რაც გერმანია ევროკავშირისთვის“. სამართლებრივი თვალსაზრისით, სეცენიის პრაგმატული თეორიის მიხედვით ეთნიურ ჯგუფს მაშინ აქვს უფლება, მოთხოვოს სეცენია, თუ ცენტრალური ხელისუფლება სისტემატიურად ახორციელებს ამ რეგიონის ეკონომიკურ „ძარცვას“, ანუ თუ ადგილი აქვს შიდა კოლონიზაციას [Illas E. 2014].

ამ მხრივ ძნელი საოქმედია, აქვს თუ არა ესპანეთის მხრიდან ადგილი კატალონიის შიდა კოლონიზაციას. საგარაუდოდ, საგსებით შესაძლებელია კატალონიის ეკონომიკური დაპირისპირების მოგვარება ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ფისკალური რეფორმების, ანუ შემოსავლების გადანაწილების გზით.

ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ როდესაც რეგიონების ცხოვრების დონეებს შორის სხვაობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ან ისეთი მოვლენა ხდება, რაც შემოსავლების ზრდის მოლოდინებს აჩენს (მაგალითად, ქვეყნის რომელიმე რეგიონში ნახშირწყალბადების საბადოს აღმოჩნდა), მაშინვე ლობისტური, ხოლო შემდეგ სეპარატისტული შეხედულებები ვრცელდება. მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის და ბუნებრივი აირის აღმოჩნდამ მნიშვნელოვანი გავლენა

მოახდინა შოტლანდიური სეპარატიზმის რეანიმაციაზე; ამავე აღმოჩენას დაემთხვა ბელგიიდან და პოლანდიდან ჩრდილოეთის ზღვისპირა რეგიონის - ფლანდრიის გამოყოფის მოთხოვნაც. საინტერესოა, რომ ამჟამად ფლანდრია ბელგიის ტერიტორიის მხრივ მესამედს მოიცავს, თუმცა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს გამოიმუშავებს.

ამ საუკუნის დასაწყისიდან ნავთობის ფაქტორი განსაკუთრებულ როლს ერაყის ქურთისტანში და სამხრეთ სუდანში ასრულებს. ბოლო რამდენიმე თვეში ის მნიშვნელოვანი მიანმარის არაკანის შტატშიც გახდა, სადაც საბადოები აღმოჩინება.

ასეთივევა ქურთისტანის დამოუკიდებლობის საფუძველიც. კერძოდ, აქ რევერნდუმის ჩატარებისთანავე ერაყი, თურქეთი, ირანი და სირია ქურთისტანს სამხედრო-ეკონომიკური სანქციებით დაუმუქრნებს. ისინი მზად არიან “დიდი ქურთისტანის” ამბიციები იარაღის ძალით გაანეტრალონ. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის პირველ ნახევარში თურქეთსა და ერაყის ქურთისტანს შორის საქონელ-ბრუნვა 7 მლრდ დოლარი იყო, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაეპ ერდოღანი ერაყის ქურთისტანს დღეს კირკუქი-ჯებანის ნავთობსადენის გადაკვებით ემუქრება. ამ მილსადენით ქურთისტანის ავტონომია, ერაყის ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, ყოველდღიურად 500 ათ. ბარელი ნავთობის ექსპორტს ახორციელებს, რაც ამ სეპარატისტულად განწყობილი ავტონომიის საბიუჯეტო შემოსავლების 95%-ია.

2014 წლამდე ერაყის ქურთისტანი ცენტრალური მთავრობიდან დღეში 250 ათ. ბარელი ნავთობის სანაცვლოდ, ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტის წლიური შემოსავლების 17%-ს, დაახლოებით 15 მლრდ დოლარს იღებდა. შემდეგ ეს შეთანხმება დაირღვა, რამაც, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, რეფერენცუმიც დააჩქარა. შესაბამისად, რეფერენცუმის შემდეგ, ნავთობით მდიდარი ქურთული კირკუქის გარშემო დავა უფრო გამწვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი “ისლამური სახელმწიფოსაგან” სწორედ ერაყელმა ქურთებმა დაიცვეს, ახლა ერაყი მზად არის, თუ საჭირო გახდა, კირკუქი ქურთული გავლენისგან ირანის სამხედრო დახმარებით გაათავისუფლოს [19]. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, თუმცა, როგორც ვეხდავთ, ეკონომიკურმა ინტერესმა ყველგან ერთნაირი “კატალიზატორის” როლი შეასრულა. საინტერესოა, რომ კატალონიაში, ჩრდილოეთი იტალიასა და სამხრეთ ბრაზილიაში „დარიბი ნათესავებისაგან გაქცევის“ იდეა ნავთობის ფაქტორის ზემოქმედების გარეშე, ძირითადად ფისკალური მონიტორინგის მექანიზმის არარსებობის მიზეზით გაჩნდა.

ამასთან, სიფრთხილე “მდიდრების” სეპარატიზმის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ნაციონალისტური რიტორიკა და გამოყოფისკენ სწრაფვა ხრიკია დამატებითი ფინანსების მოსაპოვებლად და დეცნტრალიზაციის გასაზრდელად. ასე მაგალითად, 2017 წლის შემოდგომაზე, როდესაც ყველას ყურადღება კატალონიისკენ იყო მიმართული, ბრაზილიის სამმაშტაბში: სანქტ-კატარინამ, პარანამ და რიუ-გრანანდი-დუ-სულმა (სამივეს მოსახლეობა 29 მილიონია) ჩაატარა ე.წ. მოქალაქეთა საყოველთაო კონსულტაციები. ფაქტობრივად, ეს იყო არაოფიციალური რეფერენცუმები დამოუკიდებლობის თემაზე; 2016 წელს ანალოგიური გამოკითხვები შედარებით მცირე მასშტაბით იყო ჩატარებული. ჯერჯერობით სამხრეთ ბრაზილიაში არავინ აცხადებს საყოველთაო დაუმორჩილებლობას და შეიარაღებული ფორმირებების შექმნას, თუმცა სეპარატისტული იდეები სულ უფრო უართოდ ვრცელდება. ექსპერტების ნაწილი მიზნებს, რომ ეს ძალიან ხელსაყრელია დღვენდებული მსოფლიოს ზესახელმწიფოებისთვის, რადგან ბრაზილიის უზარმაზარი პოტენციალი მომავალში მას შესაძლებლობას მისცემს, ზესახელმწიფო გახდეს და, მაგალითად, აშშ-ს ან

„ბრიკსის“ სხვა წევრებს გაუწიოს კონკურენცია. სამხრეთ ბრაზილიის აღნიშნულ მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ იბადება ე.წ. „მდიდრების“ სეპარატიზმი.

ევროპა-აზიის ისტორიის საზომით, ბრაზილია ძალზე ახალგაზრდა სახელმწიფოა. ვიდრე იგი ჩამოყალიბდებოდა, მოხდა არაერთი სეპარატისტული ამბოხება როგორც სამხრეთის, ისე სხვა რეგიონებში. ამ ისტორიული მოვლენებიდან წლების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, ქვეყნის სამხრეთის შტატებში ჩამოსული იმიგრანტებისა და შიდა მიგრანტების დიდი ნაწილი გადაემისამართებინა, რათა ისინი უფრო ადრე ჩასულ ადგილობრივ ფერმერებთან დაეხსლოვებინა. მაგალითად, რიუ-გრანდი-დუ-სულსა და სანტა-კატარინში გერმანელი ემიგრანტები, მათი ენა და კულტურა დომინირებდა. პარანაში, გერმანელებთან ერთად, ბევრი პოლონელი ცხოვრობდა. საბოლოოდ ეს შტატები, სან-პაულუს შტატთან ერთად, სადაც აგრეთვე, არსებობს სეპარატისტული მოძრაობა „რესპუბლიკა სან-პაულუ“, ბრაზილიის „ეკონომიკურ გულად“ ჩამოყალიბდნენ. იქ ქვეყნის მშპს სამი მეოთხედი იქმნება და ტრადიციულად მაღალია ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე კულტურის დონე.

ბრაზილიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო ცუდი კომუნიკაციები პროვინციებს შორის, ხშირ შემთხვევაში მათ ერთმანეთთან არა სახელმელო, არამედ საზღვაო მარშრუტები აკავშირებდა, ხოლო სახელგარი უცხოეთთან აქვთ. ამის გამო ცალკეულ შტატებში თითქმის დამოუკიდებელი ანკლავების, „ცალკე სამყაროს“ ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა. ამ რეგიონების განვითარება ყოველთვის არათანაბარი იყო და მთავრობა ამაზე ნაკლებად ზრუნავდა, ხოლო ბიზნესი მაქსიმალურ მოგებას უქმდდა. ამიტომ, უპირველესად ვითარდებოდა პორტები და მათი მიმდებარე ტერიტორია სამხრეთში, სადაც წარმატებული ეკონომიკური საქმიანობისთვის შედარებით ხელსაყრელი პირობებია. შედეგად, ეკონომიკური სხვაობა წარმოშობდა კულტურულს და მარტივად რომ ვთქვათ, მდიდრებს შეუძლიათ შვილებს უკეთესი განათლება მისცენ. მათ ძალიან აღიზიანებთ, რომ დარიბებს, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლიათ იგივე ან (დემოგრაფიული უპირატესობის გამო) უფრო დიდი გავლენა მოახდინოს დოვლათის განაწილებაზე.

აღნიშნული ამტკიცებს, რომ ზოგჯერ „მდიდრების“ სეპარატიზმის საბოლოო მიზანია არა ახალი სახელმწიფოს შექმნა, არამედ ფრთხილი ნაბიჯების გადაღმით ცენტრალური ხელისუფლებისგან მაქსიმალური პრეფერენციების მიღება. ექსპერტების ნაწილი კატალინის ხელისუფლების მოქმედების უკან სწორებ ამ სურვილს ხედავს და მიიჩნევს, რომ მხარეები ასე შორს ეროვნული მენტალიტების თავისებურებიდან გამომდინარე წავიდნენ, რაღაც ემინოდათ, რომ ამომრჩეველი ზომიერებას სისუსტეში ჩაუთვლიდა. შესაბამისად, ესპანეთის ამ რეგიონში ესკალაციას პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მიზნების ერთობლიობა განაპირობებდა. სწორედ ამიტომ (შესაძლოა, დროებითი) კატალინიაში კონფლიქტის დარეგულირება გაცილებით გვიან მოხერხდა, ვიდრე შოტლანდიაში ან თუნდაც სამხრეთ ბრაზილიაში, სადაც ადგილობრივი ელიტა ცდილობს, აიძულოს ცენტრი, მისი ინტერესები გაითვალისწინოს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ორი რეგიონის მაგალითზე ნათლად ჩანს ის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფისკალურ ფაქტორს სხვადასხვა რეგიონის სეპარატისტულ მოძრაობაში. აღნიშნული ასევე ადასტურებს, რომ მართალია ფედერალური რეგიონალიზმი ანელებს სეპარატისტულ განწყობებს, მაგრამ შემოსავლების გადაუნაწილებლობის, ანუ პასიური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, სეპარატისტული მისწრატებები მაინც ჩნდება. ასე რომ, სეპარატიზმს წარმოშობს ან შიმშილი, ან დიდი სიმდიდრე.

## ეპონომიკური ფედერალიზმის მოდელი

ფედერალური საფინანსო სისტემა ეკონომიკურ ლიტერატურაში განმარტვბულია როგორც იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საფინანსო ურთიერთობებს სახელმწიფოს სხვადასხვა დონეებს შორის. საფინანსო სისტემა მოიცავს კომპეტენციათა დანაწილების სისტემას (იმდენად, რამდენადაც მას საფინანსო ხასიათი აქვს), საბიუჯეტო სამართალს და ფინანსური წყაროების განაწილების სისტემას [Albert B., 1998].

ფედერაციული სახელმწიფოს ფინანსური წესრიგისათვის, ისე როგორც არც ერთი სხვა სფეროსათვის, დამასხასიათებელია მუდმივი ცვლილებები [Ivo Duchacek, 1970]. ამ მხრივ, დღეს არსებული რომელიმე ფედერაციული სახელმწიფოს „საფინანსო კონსტიტუცია“ არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად [Frenkel, M]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებით, საფინანსო ურთიერთობები ფედერაციულ სახელმწიფოში გამოირჩევა განსაკუთრებული წინააღმდეგობრიობით და დინამიკურობით [Usteri, M., 1954]. ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების და არსებული საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, ფედერალური პრინციპებით მოწყობილ საბიუჯეტო სიტემებში ერთი და იმავე სუბიექტის ხელში უნდა იყოს გართიანებული, როგორც გარკვეული უფლებამოსილების განხორციელებისათვის მათი კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის/ეკონომიკურობის ჩათვლით. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელმაც უნდა შეასრულოს განსაზღვრული ამოცანა, ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს მის დაფინანსებაზე, რამდენადაც დანახარჯების განხორციელების სახე განსაზღვრავ ამ მიზნით გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობას [Fagagnini, H. P., 1974].

თანამედროვე ფედერაციული სახელმწიფოების უმრავლესობაში საფინანსო სფეროს მარეგლამენტირებელი კანონმდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია დამოუკიდებლობა - სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა (თუ ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნები ქვეყანაში არის) და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე დროს, ფედერაციული სახელმწიფოს საფინანსო სისტემის დერმს აყალიბებს დამოუკიდებლობის საპირისპირო პროცესი - შემოსავლების ცენტრიდან გადანაწილება, რომლის ძირითადი პარამეტრები მოცემულია 1 ცხრილში:

სახელმწიფოს ტიპი	ცენტრის შემოსავლები	ცენტრის სარჯები
ა. ფედერაციული სახელმწიფოები: შევიცარია ავსტრია აშშ გერმანია	27.0 51.8 41.0 33.4	30.6 56.0 45.8 30.6
ბ. არაფედერაციული სახელმწიფოები:		

დანია	66.9	71.4
დიდი ბრიტანეთი	73.9	83.1
იტალია	60.8	72.3
ნიდერლანდი	56.4	56.7
საფრანგეთი	48.9	44.6

წარო: Organisation for Economic Co-Operation and Development. National Accounts: Detailed Tables Volume II 1983-1995, Paris, 1997. შემოსავლები საშუალოდ 1973, 1983 1992 წლებისათვის, გასავლები, ასევე საშუალოდ 1995 წლისათვის. იხ. Linder, W., Schweizerische Demokratie. Institutionen-Prozesse-Perspektiven, 1999, S. 150.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტები, რამდენადაც მათ დამოუკიდებელი საგადასახადო წეროები აქვთ, ფლობენ შემოსავლების საკმაოდ მაღალ წილს ცენტრთან შედარებით; ანუ დამოუკიდებლობა და გადანაწილება დაპირისიორებულობა ისეთი ერთიანობაა, რომელიც მუდმივ მონიტორინგს მოითხოვს იმ მიზნით, რომ ერთი არ დაზარალდეს მეორის ხარჯზე. ეს ერთიანობა მიიღწევა ცენტრსა და რეგიონებს შორის შემოსავლების კონტინუი ნორმატივების მიხედვით ისე განაწილებით, რომ არ დაირღვეს კიდევ ერთი პრინციპი - უნივერსალობა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის ყველა შემოსულობის არამიზნობრივად მიმართვას საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად (გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა).

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ ფედერაციული სახელმწიფოებიდან შემოსავლებისა და ხარჯების ყველაზე დეცენტრალიზებული სტრუქტურა აქვს შვეიცარიას, სადაც ფედერალური ხელისუფლება - ცენტრი აკონტროლებს შემოსავლების მხოლოდ 27 პროცენტს და ხარჯების მხოლოდ 30 პროცენტს. მიუხედავად ამისა, ამ ეთნიკურად საკმაოდ „ჭრელ“ ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების ხელში შემოსავლების და ხარჯების დაბალი კონცენტრაცია არ წარმოშობს რეგიონების (ქვეყანა 6 ეთნიკურ კანტონადაა დაყოფილი) ეთნოპოლიტიკურ სეპარატიზმს. მით უმეტეს, რომ ოფიციალურად შეეიცარია არა ფედერაცია, არამედ რეგიონული ავტონომიის უფრო მაღალი ფორმა - კონფედერაციაა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ჩვენს ცხრილში განხილულ ავსტრიასა და გერმანიაზეც, სადაც რეგიონები უფრო მეტ ფისკალურ ბერკეტებს ფლობენ, ვიდრე ცენტრი. ეს ბერკეტები ავტომატურადაა უზრუნველყოფილი ხაზინის ელექტრონული სისტემით (e-Treasure), რომელიც ყოფს ფედერალური ცენტრის კუთვნილ და რეგიონების ბიუჯეტებში დასატოვებელ შემოსულობებს „საბიუჯეტო კოდექსით“ დადგენილი ნორმატივებით.

მეორე მხრივ, ზემოაღნიშნულ ქვეყნებს თუ შევადარებთ ფინანსური თვალსაზრისით ასეთივე ფედერალური მოწყობის ქვეყანას - საქართველოს, მიუხედავად ცენტრის ხელში კონცენტრირებული გაცილებით მეტი ფისკალური ძალაუფლებისა („საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ დანართი 1-ის მოთხოვნით ცენტრში აკუმულირებულია შემოსავლების და ხარჯების თითქმის 80%-90%), დღესაც სეპარატიზმის პრობლემა აქვს. ამით იმის თქმა გვიჩვალა, რომ ქვეყნის სეცესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფისკალური სფეროს ფედერალური პრინციპებით მოწყობა, და თუნდაც ცენტრის ხელში შემოსულობების უმეტესობის ფორმასურე ელექტრონული სისტემით გარანტირებული აკუმულირება, ყოველთვის არ არის გამოსავალი.

მაშ რა ხდება? რატომაა, რომ მაშინ როცა ზემოაღნიშნული გამოკვლევების უმრავლესობაში (ა. ბრეტონი, ა. სკოტი, მ. ბორგ, ტ. რ. გური და სხვ.) ფისკალური სეპარატიზმი პოლიტიკური სეპარატიზმის საფულვლადაა აღიარებული, ზოგიერთ დეცენტრალიზებული საფინანსო სისტემის მქონე ქვეყანაში, მაგალითად მრავალ-

ეთნიკურ შევიცარიაში ან აშშ-ში, არ არის სეპარატიზმი? როგორც ცხრილი 1-იდან განხილული მაგალითები გვიჩვენებს, ყველაფრის მიზეზი არა ფისკალური სფეროს მოუწესრიგებელი ნორმატიული ბაზა, არამედ ფედერალური ცენტრის მიერ რეგიონებში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა.

### ეკონომიკური სეპარატიზმის მონიტორინგი

ფისკალური ფედერალიზმის განხორციელების მექანიზმი ძირითადად ამა თუ იმ ქვეყნის საბიუჯეტო კანონმდებლობითაა უზრუნველყოფილი. მაგალითად, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ დანართ 1-ში გამოყოფილია კანონმდებლობით განსაზღვრული ქვესივე საბიუჯეტო გადასახადის, აგრეთვე სხვა ფისკალური და არასაგადასახადო შემოსულობების სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში განაწილების პროცენტული თანაფარდობები [25].

იმისათვის, რომ ფედერალური ცენტრი მუდმივად ახორციელებდეს კუთვნილი შემოსულობების რეგიონების ბიუჯეტებიდან დროულად გადმორიცხვის მონიტორინგს და ამით აღკვეთოს ფისკალური სეპარატიზმის მცდელობები, ხაზინაში შექმნილია ელექტრონული პროგრამა ე-თრეასურე. ის ემყარება ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ავტომატურად ცვლის კალენდარულ დღეებს. ასეთ პროგრამულ უზრუნველყოფად ბევრ ქვეყანაში გამოყენებულია შ ან Visual Fox Pro.

მაგრამ ვიდრე ამ სისტემას შემოიღებდნენ, შემოსულობების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის გასანაწილებლად იყენებდნენ ყოველწლიურ ნორმატივებს. მათი დაცვის მონიტორინგი ნებისმიერი ფედერალური მოწყობის მქონე ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, რასაც საკმაო რესურსები სჭირდებოდა. ამჟამად, ელექტრონული სისტემის გამოყენებით, მონიტორინგი ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება და მონიტორინგზე ხარჯიც მინიმალურია.

თუმცა, იმისათვის, რომ მონიტორინგი ყოვლისმომცველი იყოს, საჭიროა, „საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული ნორმატივების გარდა, პროგრამაში გამოიყოს ინდიკატორების (ცვლადების) მეორე ჯგუფი, კ.წ. კატალიზური მაჩვენებლები. ასეთი მაჩვენებლები ყველა რეგიონისთვის სპეციფიკური იქნება, ვინაიდან რეგიონები ერთმანეთისგან ბევრი თავისებურებით გამოირჩევიან. ასე მაგალითად, თუ აფხაზეთს ქვეყნის გარეთ - მეზობელ რუსეთთან უფრო მეტი ენერგეტიკული კავშირები ჰქონდა ვიდრე დანარჩენ საქართველოსთან, ცხინვალის რეგიონს რუსეთთან, ან მთიან ყარაბაღს სომხეთთან სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციები აკავშირებდა. ხოლო იგივე აჭარა 2004 წლამდე თურქეთთან ზოგადად ყველანაირი, მათ შორის კონფლიქტით კავშირების (თევოლოგიური განათლება, სამედიცინო, კულტურული და ეკოლოგიური ტურიზმი, ელექტროგადამცემი საზები და სატრანსპორტო კომუნიკაციები, და.შ.) განვითარებით გამოირჩეოდა.

ამიტომ შიგვაჩნია, რომ სეპარატიზმის ტენდენციების ადრეული გამოვლენის ელექტრონულ პროგრამაში „საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული შემოსულობების „საბაზისო“ ნორმატივების გარდა, უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის (შემოსულობების გადახაწილების) ინდიკატორებიც. მაგალითად, ცენტრსა და რეგიონს შორის საგრომობილო გზების ქსელის (სიხშირის) თანაფარდობა მეზობელ ქვეყანასთან დამაკავშირებელ გზებთან ან მეზობელ ქვეყანასთან ელექტროგადამცემი საზების სიხშირე ცენტრთან დამაკავშირებელ სადენებთან შედარებით, ან ცენტრს დაქვემდებარებული სახელმწიფო წილობრივი

საწარმოების რაოდენობრივი თანაფარდობა ადგილობრივ სახელმწიფო საწარმოებთან და ა.შ. საბოლოოდ, რეგიონის ქონიმიერის სპეციფიკის გათვალისწინებით ეკონომიკური სეპარატიზმის ადრეული გამოვლენის პროცესას, ჩვენი აზრით, უნდა პქონდეს მატრიცის (ცხრილი 2) სახ. მასში ვერტიკალური სვეტები იქნება „საბიუჯეტო კოდექსის“ დანართი 1-ით განსაზღვრული ფისკალური და ორასაგადასახადო შემოსულობების ცენტრისა და რეგიონის ბიუჯეტებს შორის განაწილების „ძირეული“ (B - Basic) ნორმატივების შესრულება. ნორმატივის 100%-ით შესრულება შესაბამისი უჯრიდან გამომავალი ვერტიკალური ხაზების მაქსიმალური სის შირით იქნება წარმოლგენილი. ანალოგიურად, პორიზონტიკალური სტრიქონები იქნება ის „კატალიზტური“ (C - Catalyst) ინდიკატორები, რომლებიც ამ რეგიონის სპეციფიკას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში, ხოლო ამ უჯრიდან გამომავალი შესაბამისი პორიზონტიკალური ხაზების კველაზე დიდი სის შირი ამ ინდიკატორის მაქსიმალური, 100%-იანი სიღირდე. მაგალითად, რეგიონის ცენტრთან დამაკავშირებელი გზების ან გადამცემი ხაზების თანაფარდობა რეგიონიდან უცხოეთან დამაკავშირებელი გზების, რეინიგზების, ელექტროგადამცემი ხაზების და ა.შ. რაოდენობასთან. ან ცენტრის დაფუძნებული სახელმწიფო საწარმოების რაოდენობრივი თანაფარდობა რეგიონული მმართველობის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფო საწარმოების რაოდენობასთან, ან რეგიონის წიაღისეული საბადოების თანაფარდობა ცენტრის კუთვნილ საბადოებთან და ა.შ.

ცხრილი 2

	B1	B2	B3	B4	B5	B6	B7	B8	B9	RBN
C1										
C2										
C3										
C4										
C5										
.										
.										
Cn										

ქვეყნის ფედერალურ ცენტრში მატრიცის ოპერატორს პერიოდულად შეაქვს ბ და ც ინდიკატორების მოცემული რეგიონიდან მიღებული სხვადასხვა უწყების მონაცემები როგორც ვერტიკალურ, ისე პორიზონტიკალურ შესაბამის უჯრებში და ამის შემდეგ იწყება სეპარატიზმის ხარისხის ელექტრონული შეფასება.

კომპიუტერული პროგრამა დისპლეიზე განსხვავებული ფერით (კოქათ, წითლად) გამოანათებს იმ ვერტიკალური და პორიზონტიკალური ხაზების მაქსიმალური სის შირით გადაკვეთის წერტილებს, რომლებიც ყველაზე მეტი ხდომილობით ხასიათდება მოცემულ პერიოდში (კოქათ, თვეში).

პროგრამის მიერ გამოვლენილი ყველაზე მოწყვლადი ინდიკატორების ჭარბი სის შირით გამოირება იძლევება იმ ძირეული და კატალიზტური ინდიკატორების კომბინაციის, რომელიც გარკვეული კრიტიკული „წონების“ მიღწევის შემთხვევაში იწვევს დისპლეიზე შესაბამისი გადამკვეთი აღგილის წითლად ნათებას ე. ი. ავლენს ძალისმიერი დაპირისპირების მაღალ ალბათობას ცენტრსა და რეგიონს შორის მოცემულ სფეროში. ელექტრონული პროგრამის მიერ გამოვლენილი გადაკვეთის ეს კრიტიკული უჯრები ცენტრალურ ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმდებს საშუალებას აძლევს, წითელი წერტილების გამრავლებამდე, ანუ კონფლიქტის გამწვავებამდე, მოწვიოს ოპერატიული თაობირი სხვადასხვა

ცენტრალური და რეგიონული უწყებების (გაწითლებული უჯრის გადამკვეთი ვერტიკალური და პორტონტონტალური ხაზების შესაბამისად) წარმომადგენლების მონაწილეობით და მოახდინოს სეპარატული კონფლიქტის აღრეული გამოვლენა და მასზე რეაგირება.

## დასკვნები

ამრიგად, ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების ანალიზმა გვაჩვენა, რომ:

- ზოგიერთი მდიდარი რეგიონის სეპარატიზმისაკენ სწრაფვას ფედერალური მოწყობის ქვემა ქვეყნის მოუწესრიგებელი ფისკალური სისტემა განაპირობებს. თანამედროვე კატალონური სეპარატიზმი ესპანეთში ამის მაგალითა;

- ზოგიერთი სეპარატიზმის ული რეგიონის სეპარატიზმისაკენ სწრაფვა განპირობებულია რეგიონის მიერ ფისკალური ნორმატივების არაჯეროვან შესრულებაზე ამის მაგალითითა ამ საუკუნის დასაწყისის პარა საქართველოში;

- რეგიონების სეპარატიზმულ მისწრაფებებს აძლიერებს იქ აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულით, კოქათ, ნახშირწყალბადების მოპოვებით, ან სატრანსპორტო მარშრუტების მათ ტერიტორიაზე გავლით მისაღები შემოსავლების პერსპექტივა. მაგალითად, შოტლანდიის, ფლანდრიის, სამხრეთ სუდანის, ქურთისტანის სეპარატიზმი ამ რეგიონებში ნახშირწყალბადების მოპოვებას, ხოლო სამხრეთ ბრაზილიის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის (საქართველო) სეცენიისაკენ სწრაფვა მათ ტერიტორიაზე ცენტრიდანული/ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციების აგებას დაემთხვა;

- ფედერალურ ცენტრსა და რეგიონებს შორის შემოსულობებისა და სარჯების განაწილების კანონიერი, მოწილი ფისკალური მექანიზმები ასუსტებს სეპარატიზმს. ამის მაგალითებია შოტლანდია და ჩრდ. ირლანდია გაერთიანებულ სამეფოში;

- მეტიც, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების საპირისპიროდ, ცხრილ 1-ში ჩამოთვლილი განვითარებული ფედერაციული ქვეყნების მაგალითები გვაჩვენებს, რომ შემოსულობების და ხარჯების უმეტესობის რეგიონების სასარგებლოდ გადანაწილებაც კი არ წარმოქმნის მათში სეპარატიზმს;

- ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობების ასეთი პარმონიზაცია მაშინ მიიღწევა, როდესაც ფედერალური ცენტრი ელექტრონული (e-Treasure) ფისკალური მონიტორინგის გარდა, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების (კომუნიკაციების, ინვესტიციების, ბანკების ფილიალების, ტურისტული ინფრასტრუქტურის და ა.შ. გადანაწილების) მონიტორინგსაც ახორციელებს;

- ფედერალური ცენტრიდან „საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრულ „ძირეულ“ (B) ნორმატივებთან ერთად საჭირო მათზე ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. „კატალიზური“ (C) ცვლადების გავლენის გათვალისწინებაც;

- სტატიაში ამ ურთიერთობავლენის უწყებათაშორისი მექანიზმის მოდელია შემოთავაზებული. მისი გამოყენებით ფედერალური ცენტრი მოახდენს ეკონომიკური სეპარატიზმის აღრეულ გამოვლენას და პრევენციული ღონისძიებების - აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებების და რეგიონების ხელმძღვანელებთან ოპერატიული თათბირების, ყველა ღონის წარმომადგენლობით ორგანოში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ეკონომიკური სანქციების პროექტების ინიცირებას, სხვა გადაუდებელი ღონისძიებების დაუყოვნებელ განსორციელებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Christopher j. 2010. Borgen - from Kosovo to catalonia: separatism and integration in Europe – st. john s University-New York.  
[https://scholarship.law.stjohns.edu/faculty\\_publications/114/](https://scholarship.law.stjohns.edu/faculty_publications/114/). P.1010;
2. Ted Robert Gurr and Will H. Moore. Ethnopolitical Rebellion: A Cross-Sectional Analysis of the 1980s with Risk Assessments for the 1990s. American Journal of Political Science; Vol. 41, No. 4 (Oct., 1997, pp. 1079-1103). p. 1081;
3. Pujol scandal fractures Catalonia’s ruling coalition. August 17, 2014.  
<https://www.ft.com/content/8f009054-22c4-11e4-8dae-00144feabdc0>;
4. იხ. მაგალითად: საქართველოს კანონი „სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ.“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1230411>;
5. ხელისუფლება, საბიუჯეტო სეპარატიზმის ბრალდებით, განტივაბის ვაცის ძიებას იწყებს. ოქტომბერი 19, 2002  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1524080.html>;
6. Papava, Vladimer. “Tax Federalism Concept: Consensus versus Separatism.” *Georgian Economic Trends*, 2001, N 2. p. 72
7. Дорожная карта Кебедова. 18 июля 2014,  
<https://lenta.ru/articles/2014/07/17/kebedov/>;
8. მაცაბერიძე. 2004. ლობიზმი და ხელისუფლება; ქურნ. „ბიზნესი და მენეჯმენტი.“ N 3(3); <http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=1682>;
9. Statistics. [www.gov.scot/Topics/Statistics/Browse/Economy/QNA2014Q4](http://www.gov.scot/Topics/Statistics/Browse/Economy/QNA2014Q4);
10. Scottish independence: Osborne reveals 'no vote' action plan.  
<http://www.bbc.com/news/av/uk-scotland-29098887/scottish-independence-osborne-reveals-no-vote-action-plan>;
11. Andjelka Pantovic – the economic impact of the European union on subnational separatist sentiment – university of Colorado, boulder 2014;
12. Edgar Illas – is catalan separatism a Progressive cause? – Indiana university – Bloomington 2014,  
<https://digitalcommons.bowdoin.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=1145&context=dissidences>. p.7;
13. The Economic Consequences of European Separatism - [http://world-economic.com/articles\\_wej-226.html](http://world-economic.com/articles_wej-226.html);
14. Pujol scandal fractures Catalonia’s ruling coalition. August 17, 2014.  
<https://www.ft.com/content/8f009054-22c4-11e4-8dae-00144feabdc0>;
15. The Economic Consequences of European Separatism- [http://world-economic.com/articles\\_wej-226.html](http://world-economic.com/articles_wej-226.html);
16. The Economic Consequences of European Separatism - [http://world-economic.com/articles\\_wej-226.html](http://world-economic.com/articles_wej-226.html);
17. Ibid;
18. Edgar Illas – is catalan separatism a Progressive cause? – Indiana university – Bloomington 2014  
<https://digitalcommons.bowdoin.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=1145&context=dissidences>. p 6;
19. ახალი სეპარატისტული წარმონაქმნები მსოფლიოში და საფრთხე საქართველოსთვის. <http://www.ambebi.ge/samkhedro/215312-akhali-separatistuli-tsarmonaqmnebi-msoflioshi-da-safrthkhe-saqarthvelosthvis.html>;

20. Albert B., Vom Sinn und Zweck des Demokratieprinzips. Ein Beitrag zur teleologischen Auslegung des Staatsorganisationsrechts, 1998, S. 163;
21. Ivo Duchacek: Comparative Federalism, New York 1970, S. 1;
22. Frenkel, M., Föderalismus und Bundesstaat, S. 83;
23. Usteri, M. 1954. Theorie des Bundesstaates. Ein Beitrag zur Allgemeinen Staatslehre ausgearbeitet am Beispiel der Schweizerischen Eidgenossenschaft, Zürich, S. 249;
24. Fagagnini, H. P. 1974., Kanton und Gemeinde vor ihrer Erneuerung, Bern, S. 5;
25. „შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, დანართი 1. თბ., 2014, გვ. 84-95;

**Solomon Pavliashvili**

Ph.D;

**Zurab Garakanidze**

Ph.D;

**Nata Garakanidze**

Ph.D Candidate

## **EARLY WARNING OF THE ECONOMIC SEPARATISM IN GEORGIA**

### **Expended Summary**

According to the data in scientific literature, there are about 25 active separatist movements in Europe. In this term the demand for part of the rebel regions is the secession, while other part claims fiscal rights - economic independence.

Collective economic interests in the condition of federal arrangement of state are primarily revealed in the fiscal interests of individual regions - administrative-territorial or ethnic-autonomous subjects of the federation. There are two types of fiscal separatism – “Poor” and “Rich”.

Historical experience demonstrates that two major factors have a significant influence on provoking “Poor’s” separatism: support the region by a stronger foreign state and a dictate of the center over the region. Such separatism is more radical, because the poor usually act more radically rather than rich people for at least one simple reason: they do not have anything to lose.

თაობათაშორისი ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გარკვეული ასაკიდან მშობლების თაობის წარმომადგენლები უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებენ, ვიდრე იმავე პერიოდში მათი შეიღების თაობის წარმომადგენლები. შესაბამისად, საბოლოო შემოსავლებისა და მოხმარებისათვის განკარგვითი რესურსები შეიღების თაობას უფრო მეტი აქვს, ვიდრე ეს ფიქსირდება პირველადი განაწილებისას ჩამოყალიბებული შემოსავლების დროს. ასევე, მშობლების შემოსავლებთან შვილებისათვის გაწეული დახმარების წილი გაცილებით მაღალია, ვიდრე პირიქითი პროცესებისას.



გრაფიკი 2

ასაკთან მიმართებაში შვილებისაგან მშობლებისადმი დახმარება - დადებით, ხოლო მშობლებისაგან შვილებისათვის გაწეული დახმარება - უარყოფითი კორელაციაშია. - 35-39 წლიანი შვილებისათვისაც კი დახმარების მასშტაბი მშობლების ხარჯებში უფრო მაღალია, ვიდრე პირიქით (მშობლებისადმი დახმარება ამ ასაკის შვილების ხარჯებში). ამასთან, 24 წლამდე ასაკის შვილებთან მიმართებაში, მშობლებიდან მათვის გაწეული დახმარების მოცულობა საგრძნობლად აღემატება ოჯახის თითოეულ წევრზე საშუალო შემოსავლების სიდიდეს. კერძოდ, ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობიდან გამომდინარე, მის ერთ წევრზე ოჯახის შემოსავლების დაახლოებით 27 პროცენტი მოდის, მაშინ როდესაც ფაქტობრივი მოხმარება ოჯახის ყოველ 20 წლამდე წევრზე, შედაოჯახური ტრანსფერტების გამო - 39%, ხოლო 20-დან 24 წლამდე წევრზე - 30%-ია. ბუნებრივია, რომ რაც უფრო მატულობს რეციპიენტის ასაკი, მით უფრო ნაკლებ დახმარებას იღებს ის საკუთარი მშობლებისაგან. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოყვანილ გრაფიკიდან.



გრაფიკი 3

ეკონომიკური დოგიკიდან და კანონზომიერებიდან გამომდინარე, ყველაზე გულუხვი დახმარება სტუდენტების მიმართა გამოხატული (358.1 ლარი), ყველაზე ნაკლები კი - შრომითი საქმიანობით დაკავებულების - დაქირავებით დასაქმებულებისა (134.1 ლარი) და თვითდასაქმებულების (126.7 ლარი) მიმართ.

შვილებისა და მშობლების ერთობლივი თანაცხოვრებისას, ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაში მხოლოდ მშობლების წვლილი გაცილებით მაღალია, ვიდრე მხოლოდ შვილებისა (შესაბამისად, 31% და 1%). ამასთან, შეუძარებლად მაღალია მხოლოდ მუშალეების წვლილი, რომელიც თითქმის 2/3-ს აღწევს (62.5%).

იმისდა მიხედვით, თუ ვის როლში გამოდიან მშობლები და შვილები - დონორების (დახმარების გამდებების) თუ რეციპიენტების (დახმარების მიმღებების), რამდენადმე განსხვავდება დახმარების სიხშირის მასშტაბები, თუმცა როგორც მშობლების, ისე შვილების კატეგორიაში გამოკითხულთა მესამედი დახმარებას შესაბამისი თხოვნის საფუძველზე ასრულებს და საქმაოდ მცირეა მათი წილი, ვინც ასეთ დახმარებას წელიწადში ერთხელ მაინც ახერხებს.

ცხრილი 3  
მშობლებისა და შვილების ურთიერთდახმარების სიხშირე  
(პროცენტი)

	ყოველდღიურად	კვირაში ერთხელ	ყოველთვიურად	წელიწადში ერთხელ მაინც	თხოვნის მიხედვით	სულ
მშობლები ეხმარებიან შვილებს	9.4	9.6	44.8	4.7	31.6	100
შვილები ეხმარებიან მშობლებს	16.1	16.9	29.9	3.8	33.2	100

საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ ასაცში მყოფი მოსახლეობის თითქმის 2/3-ს (63.4%) ბებია-ბაბუა გარდაცვლილი ჰყავს. დანარჩენების აბსოლუტური უმრავლესობა (85.2 პროცენტი), როგორც წესი, ამა თუ იმ პერიოდულობით არა

მარტი ნახულობს საბუთარ ბებია-ბაბუას, არამედ მათ საკუთარ მეგობრებსაც აცნობს. ამასთან, შვილიშვილების 1/3 (32.7%) არავითარ დახმარებას არ უწევს საკუთარ ბებია-ბაბუას; 13.5% ბებია-ბაბუას ეხმარება ფინანსურად ან მატერიალურად. დანარჩენები შემოიფარგლებიან ფიზიკური ან მორალური დახმარებით.

შვილიშვილების მიერ ბებია-ბაბუებისათვის გაწეული დახმარების საშუალოთვიური დირებულება შეადგენს 57.4 ლარს. ასეთი სახის ყველაზე დიდი დახმარება უმაღლესი განათლების მქონე შვილიშვილებისგან ხორციელდება (74.6 ლარი).

ბებია-ბაბუების 28.4% ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს თავიანთ შვილიშვილებს. 30.2% უწევს ფინანსურ, 12.9% - მატერიალურ დახმარებას; დანარჩენები შემოიფარგლებიან ფიზიკური ან მორალური მხარდაჭერით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოაჩენს შვილიშვილებისა, ერთი მხრივ, და ბებია-ბაბუის, მეორე მხრივ, ურთიერთდახმარების ხასიათსა და ინტენსივობას.

ცხრილი 4  
შვილიშვილებისა და ბებია-ბაბუის ურთიერთდახმარების ხასიათი  
(პროცენტი)

	შვილიშვილები-ბებია-ბაბუას	ბებია-ბაბუა - შვილიშვილებს
არავითარი	<b>32.7</b>	<b>28.4</b>
ფინანსური	<b>5.6</b>	<b>30.2</b>
მატერიალური	<b>7.9</b>	<b>12.9</b>
ფიზიკური	<b>23.5</b>	<b>6.1</b>
მორალური	<b>30.2</b>	<b>22.3</b>
დახმარების საშუალოთვიური სიდიდე, ლარი	<b>57.4</b>	<b>71.4</b>

სანდაზმულებზე ზრუნვაზე პასუხისმგებლობას მხოლოდ სახელმწიფოზე გადაკისრებას სამართლიანად მიიჩნევს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (1.7%). აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ეს შვილებისა და შვილიშვილების (35.4%), ან თანაბრად სახელმწიფოსა, ერთი მხრივ, და შვილებისა და შვილიშვილების, მეორე მხრივ (63.0%), მოვალეობაა.

როგორც მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, მიუხედავად მთელი რიგი, მათ შორის ეკონომიკური ხასიათის სირთულეებისა, საქართველოში თაობათა-შორისი კავშირი მაინც საკმაოდ მყარია და გამოიხატება ორმხრივი მხარდაჭერით (უფროსებისაგან - უმცროსი თაობის წარმომადგენლებისა და პირიქით). თანაც, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მშობლებისა და შვილების დამოკიდებულებით, საქმაოდ მყარია კავშირი ბებია-ბაბუასა, ერთი მხრივ, და შვილიშვილების შორის, მეორე მხრივ. ამასთან, ბუნებრივია, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ეკონომიკური კავშირები და დახმარების მასშტაბები და ინტენსივობა უფრო მაღალია, ვიდრე ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის, რაც წარმოჩენილია მე-5 ცხრილში.

## ცხრილი 5

### თაობათაშორისი დახმარების ინტენსივობა და საშუალოთვიური დირებულება (პროცენტი)

	უმცროსი თაობა - უფროსს	უფროსი თაობა - უმცროსს	შვილები-გშობლებს	შვილიშვილები - ბებია ბაბუას
	შვილები-გშობლებს	შვილიშვილები - ბებია ბაბუას		
არავითარი	32.2	32.7	14.9	28.4
ფინანსური	10.6	5.6	33.9	30.2
მატერიალური	10.0	7.9	21.7	12.9
ფიზიკური	13.3	23.5	3.3	6.1
მორალური	31.3	30.2	21.9	22.3
გველანაირი	2.6	0.1	4.3	0.1
დახმარების საშუალოთვიური სიდიდე, ლარი	110.9	57.4	189.5	71.4

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ შვილებისაგან მშობლებისადმი გაწეული დახმარების ფულადი გამოხატულება 1.9-ჯერ აღემატება მათ მიერვე ბებია-ბაბუებისათვის გაწეული დახმარების ლირებულებას; ასევე, მშობლების მიერ შვილებისათვის გაწეული დახმარების სიდიდე მნიშვნელოვნად – თითქმის 2.7-ჯერ აღემატება ბებია-ბაბუების მიერ შვილიშვილებისათვის გაწეულ დახმარებას. ზოგადად, ფინანსური და მატერიალური დახმარების მოცულობა მშობლებისადმი დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო ინტენსიურია, ვიდრე ბებია-ბაბუებისადმი (შესაბამისად, 20.6% და 13.5%); ასევე, საგრძნობია უპირატესობა მატერიალურ და ფინანსურ დახმარებაში მშობლებისა შვილებისადმი, იმავე მიზნით ბებია-ბაბუების მიერ გაწეულ დახმარებასთან შედარებით (შესაბამისად, 55.6% და 43.1%). ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასალგაზრდა თაობაში უფროსებისადმი ფიზიკური დახმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჭარბობს უფროსი თაობის მიერ ახალგაზრდა თაობისადმი ანალოგიური მხარდაჭერის მაჩვენებელს (დაახლოებით, 4-ჯერ).

### დასკვნა

ამრიგად, სახეზეა რიგი კანონზომიერებები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას, კერძოდ:

- საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ნარჩენდება თაობათაშორისი ეკონომიკური და ემოციური კავშირები; შინამეურნეობათა დიდი ნაწილი წარმოდგენილია ორი და მეტი თაობით;

- ეკონომიკური დახმარების მასშტაბებს აქვს ორმხრივი, ურთიერთსაპირისპირ ვექტორები - დახმარების ნაკადები მიემართება როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან უმცროსი თაობის წარმომადგენლებისაკენ, ისე საპირისპირო მიმართულებითაც;

- ეკონომიკური დახმარების მოცულობა უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან უმცროსი თაობის წარმომადგენლების მიმართ მცირდება რეციპიენტების (დახმარების მიმღებების) ასაკის მატებასთან ერთად, მაშინ როდესაც უმცროსი

თაობის წარმომადგენლებიდან უფროსი თაობის წარმომადგენლების მიმართ დახმარების სიდიდე იზრდება რეციპიენტების ასაკის მატებასთან ერთად;

- დახმარების სიდიდე უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან უმცროსი თაობის წარმომადგენლებზე ჯერადად აღემატება დახმარების სიდიდეს საპირის-პირო მიმართულებით; 25 წლამდე ასაკის მოსახლეობის ფაქტობრივი მოხმარება არა მარტო აღემატება ამ ასაკობრივი ჯგუფის მიერ მიღებულ შემოსავლებს, არამედ ოჯახების საშუალო სულადობრივი მოხმარების მაჩვენებლებსაც. საქართველოს მოსახლეობის და შინაგურნეობების რიცხოვნობის გათვალისწინებით, უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან უმცროსი თაობის წარმომადგენლებზე ნებაყოფლობით გადაცემული რესურსების მოცულობა წელზე გაანგარიშებით აღემატება 1.1 მილიარდ ლარს, რაც მთლიანი ფულადი სახსრების თითქმის 10 პროცენტს შეადგენს;

- ორმხრივი ეკონომიკური კავშირები და დახმარების დირებულება შეიძლება და მშობლებს შორის უფრო ინტენსიური და ჯერადად დიდია, ვიდრე შვილიშვილებსა და ბებიაბაბუას შორის;

- შემოსავლების სიდიდის მიხედვით მაქსიმალურ ასაკობრივ ინტერვალს აქვს მკაფიოდ გამოხატული შემცირების ტენდენცია; 1990-იან წლებთან შედარებით აღნიშნული სიდიდე შემცირდა დაახლოებით 15-20 წლით;

- ადგილი აქვს პირველადი შემოსავლების გადანაწილებას უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან უმცროსი თაობის წარმომადგენლების სასარგებლოდ; ამასთან, აღნიშნულ პროცესს გარკვეულად ანიველირებს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს შიდა ოჯახეური მოხმარებით, და მეორე, სახელმწიფოს მიერ სოციალური დახმარების ცალკეული კომპონენტების (მაგ., ჯანდაცვის) მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება უფროსი თაობის წარმომადგენლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, დღევანდელ პირობებში აშკარად იკვეთება ახალგაზრდა თაობის დომინირება მოსახლეობის პირველადი შემოსავლების გამოყენებაში, რის კომპენსირებას უფროსი თაობის წარმომადგენლები გარკვეულწილად, თუმცა არასრულად, „ახერხებებ“ კოლექტიური მოხმარების სოციალურ პაკეტში (ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა) საკუთარი წილის მაქსიმიზაციით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. იოსებ არჩვაძე. 2000. მოსახლეობის ინდივიდუალური შემოსავლების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ. - ი. არჩვაძე. ეკონომიკა დრო. თბილისი, გვ. 114-116.
2. იოსებ არჩვაძე. 2009. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრატიგიკაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. - კრებული: ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 155-169.
3. ავთანდილ სულაბერიძე. 2007. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. – თბილისი.
4. მზია შელია. 2017. თაობათაშორისი ტრანსფერტის საკითხის კვლევა საქართველოში. - პროფესორ გიორგი წერეთელის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, გვ. 181-183.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

6. ილიაუნის დემოგრაფიის ინსტიტუტის მიერ თბილისში, ქუთაისსა და გასპარ 2013 წელს ჩატარებული კვლევის – „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდეკრნიზაციის თავისებურებანი“ – მასალები.
7. Evandrou et al., 2016 – Evandrou, M., Falkingham, J., Gomez-leon M., Vlachantoni, A. (2016). **Intergenerational flows of support between parents and adult children in Britain.** Journal Aging & Society. Cambridge University Press. pp. 1-31.
8. Mzia Shelia. 2017. **Ageing of Population in a Transitional Society: Case of Georgia** a Institute of Demography. - European Journal of Social and Human Sciences, 4(2).
9. Sulaberidze, 2016 – Sulaberidze A. (2016). **Economic Transformation of the Family at the Transitional Stage in Georgia.** Problems of Demography and Sociology. Collection of works. Tbilisi. pp. 102-107.

ბიზნესი  
BUSINESS

ემზარ ჯულაყიძე

ეკონომისტის აკად. დოქტორი, პროფესორი,  
აკაკი წერეთლის ხახლმწიფო უნივერსიტეტი

ეცემაში გადაწყვეტილება და ორგანიზაციათა მართვებულების  
ზრდის თანამედროვე პროგლემები

**რეზიუმე**

ეფექტური გადაწყვეტილება - ეს არის ისეთი ალტერნატივის შერჩევა, რომლის მიხედვითაც იზრდება ორგანიზაციის მწარმოებლურობა. იმ მიზნით, თუ რამდენად ყაირათიანად იყენებენ თანამედროვე მენეჯერები ხელი არსებულ რესურსებს, ჩვენ მიერ ქ. ქუთაისში ჩატარებული გამოყითვების შედეგად შეიძლება დაგასაკვნათ, რომ დღეს ბიზნესის განვითარების პრობლემა უფრო მეტად „მენეჯმენტის დეფიციტია“, ვიდრე „უძმარისობა ფინანსურ რესურსებში“. თუმცა, რაც უფრო ახალგაზრდად მენეჯერი, მით უფრო რისკიანია იგი და წარმატების მიღწევაში უფრო გრძელს კვალიფიციური ცოდნის აუცილებლობას.

**საქანძო სიტყვები:** ეფექტური გადაწყვეტილება; ალტერნატივები; ყაირათიანობა; კონკურენტული უპირატესობა.

**შესავალი**

ეფექტური გადაწყვეტილება - ეს არის ისეთი ალტერნატივის შერჩევა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია აღწევს წარმატებას. ფაქტია, წარმატების მიღწევის სურვილი დამახასიათებელია ყველა ორგანიზაციისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ გავარჩევით მიაღწია თუ არა ორგანიზაციამ წარმატებას, საჭიროა ჯერ დავადგინოთ რას ნიშნავს წარმატება ამის საპასუხოდ, ბუნებრივია, ბევრი დაგვისახელებს მაღალი იმიჯის, გიგანტ კომპანიებს და მართლებიც იქნებიან. თუმცა, ამ პოზიციით გამოდის რომ მხოლოდ ორგანიზაციის სიდიდე ან/და მოგების მაქსიმიზაცია ყოფილა წარმატება. არადა, ყველა ორგანიზაცია არსებობს განსაზღვრული მიზნისათვის და თუ ორგანიზაციამ მიაღწია თავის მიზანს, ის უკვე წარმატებულია. ამასთან, მიზანი შეიძლება გამოიხატოს როგორც მოგების ზრდაში, ასევე ახალი პროდუქციის ათვისებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში, სარეალიზაციო ბაზრის გაფართოებაში, ორგანიზაციული პრობლემის ლიკვიდაციაში და ა.შ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ წარმატება არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის სიდიდესთან და ყველას, მათ შორის მცირე ბიზნესსაც, შეიძლება პქონდეს თავისი წარმატება.

ჩვენი აზრით, წარმატება, პირველ რიგში, დაკავშირებულია მიზნის მიღწევასთან. ყველაზე მთავარი მიზანი კი, რომლის მიღწევასაც უნდა ცდილობდეს ორგანიზაციათა მენეჯმენტი, ეს არის მომხმარებლისთვის ისეთი პროდუქციის (მომსახურების) შეთავაზება, რომელიც ზრდის ამ ორგანიზაციის მწარმოებულობას. ანუ, ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავება, რომლის მიხედვითაც ორ-

განიზაციის სამოქმედო პარამეტრები მიუახლოვდება სასურველს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მიზნების სწორი დასახვა ორგანიზაციის პროგრესის უცილობელი წინაპირობაა. როგორც მენეჯმენტის მეცნიერების უდიდესი თეორეტიკოსი, თანამედროვე მენეჯმენტის მამად წოდებული პიტერ დრუკერი აღნიშნავს - „მართვა უნდა იწყებოდეს მიზნების შემუშავებით და მერე გადადიოდეს იგი ფუნქციების, ურთიერთმოქმედების სისტემისა და პროცესების ფორმირებაზე“ [Друкер, 2007: 13].

ორგანიზაციის მწარმოებლურობა - ეს არის იმის საზომი, თუ რამდენად ყაირათიანად იყენებს ორგანიზაცია მის ხელო არსებულ რესურსებს და რამდენად ეფექტურია მისი მენეჯმენტი. ანუ, ორგანიზაცია არის მაღალმწარმოებლური თუ მასში კეთდება საჭირო, მოთხოვნადი საქონელი (მომსახურება), რომელიც კარგად იყიდება და ეს ყველაფერი სწორად, წარმატებულად კეთდება. ორივე (ყაირათიანობა და ეფექტურობა) სასიცოცხლოდ აუცილებელია ორგანიზაციის მწარმოებლურობისათვის. კერძოდ, თუ რესურსთა ყაირათიანობა არის იმის საზომი, რამდენად კარგადაა შესწავლილი მომხმარებელი, რას ითხოვს და რამდენად რაციონალურად იქნა გამოყენებული ორგანიზაციული რესურსები აღნიშნული მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად, ეფექტურობა - ეს არის დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების საუკეთესო თანაფარდობა [Мескон.... 2004: 465], ანუ ეფექტურია ორგანიზაციის ისეთი მენეჯმენტი, რომელიც ირჩევს სწორ მიზანს და რეალურად აღწევს (აჭარბებს) მას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება და საერთოდ, ორგანიზაციათა ეფექტური მართვა, მეტ-ნაკლები დოზით, მოიცავს სამ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს. ესენია: მიზანი, ალტერნატივები და მენეჯერთა მოტივი. კერძოდ, თუ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზანი, ასეთი არჩევანი არც შეიძლება განვიხილოდ როგორც გადაწყვეტილება; თუ არაა ალტერნატივათა გარკვეული რაოდენობა, არჩევანიც არ არსებობს და, მაშასადამე, შეუძლებელია წარმატებული გადაწყვეტილების შემუშავება; და მესამე - როგორც წესი, ყოველი გადაწყვეტილების ფორმირება ხდება მენეჯერთა სხვადასხვა მოტივების დაპირისპირება-შეფასების შედეგად.

სასურველ მიზანს გაზომვის სათანადო კრიტერიუმი უნდა გააჩნდეს. შეცდომაა, როცა ორგანიზაციის მწარმოებლურობის შეფასებას ახდენენ წარმოებული პროდუქციის მოცულობით ან მის სისტემაში არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებით (თუმცა, ორივე მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია). ჩვენი აზრით, მასში უნდა დაგინახოთ, ერთი მხრივ პროცესი, რომელიც ორიენტირებულია კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაზე და მეორე მხრივ ის მოსალოდნელი შედეგები, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ და რომელიც კონკრეტულ მაჩვენებლებში გამოიხატება, ანუ უნდა განისაზღვრებოდეს მისი ღირებულება.

ამრიგად, მწარმოებლურობა - ეს არის ორგანიზაციის შესაძლებლობა, აჯობო კონკურენტებს იმით, რომ უშევებ მომხმარებლისთვის უფრო სასურველ პროდუქციას უფრო ყაირათიანად და მასთან ერთად იზრდება ორგანიზაციიდან გასული პროდუქციისა და შემოსული რესურსების დირებულებებს შორის სხვაობა. ამიტომ, ყველაფერი რაც დაბავშირებულია ამ ფორმულასთან, ამავე დროს, არის ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები.

შესაბამისად, მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა და მათი გადაწყვეტილებების წარმატებაც უნდა შეფასდეს სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგებზეა ორიენტირებული იგი [ჯულიანიძე, 2016: 24].

იმისათვის, რომ შეგმოუშაოთ წარმატებული გადაწყვეტილება, აუცილებელია მისი ობიექტური შემადგენლები (მიზანი, ალტერნატივები და მოტივები) მიგიღოთ ადეკვატურად, რაშიც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია მენეჯერის სტრატეგიულ ხედვას, ცოდნას, უნარებს, ჩვევებს, გამოცდილებას, განწყობას, ემოციებს, ინტელექტსა და სხვა პროფესიულ თუ პიროვნულ თვისებებს, რომელებიც ერთანობაში ქმნიან მის ინდივიდუალურ მეობას, ანუ გვინდა თუ არ გვინდა, თითოეულ მენეჯერს ფასეულობათა საკუთარი სისტემა აქვს, რომელიც განსაზღვრავს მის ქმედებას და გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილების წარმატებაზე. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯერის ასეთი დირსებები თითქოსდა კომპრომისის როლში გამოდის, რომელიც ეხმარება (ან ხელს უშლის) მას სასურველი ალტერნატივის შერჩევაში.

იმ მიზნით, თუ რამდენადაა განვითარებული ზემოაღნიშნული თვისებები თანამედროვე მენეჯერებში და რამდენად სწორად იყენებენ ისინი ასეთ, ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემას, ჩვენ ქ. ქუთაისში გამოვკითხეთ მცირე და საშუალო საწარმოთა მესაკუთრეები (მენეჯერები), მის განკარგულებაში (მმართველობაში) არსებული ბიზნესის პერსპექტივებსა და წარმატებებზე.

გამოკითხული იყო 300-ზე მეტი რესპონდენტი. კერძოდ, კითხვაზე - გაქვთ თუ არა სურვილი, გააფართოოთ ოქვენი ბიზნესი, ანუ მიიღოთ მეტი შემოსავალი, დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 99%-შა, რაც ბიზნესგარემოს შეფასების ერთ-ერთი დადგებით მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, მისეკენ ბიძგი უნდა მიეცა ასევე ბიზნეს-საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობის შეფასებასაც. კერძოდ, ის რომ გამოკითხულთა მხოლოდ 2%-თვის, რომ მალე დადგება ის დრო, როდესაც მისი ეს საქმიანობა აღარ იქნება მოთხოვნადი. ხოლო, 98% კი თვლის, რომ მისი ბიზნესი სტაბილურია და მეტიც - მზარდია.

საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება პასუხი კითხვაზე - „პირველ რიგში, რა გიშლით ხელს გააფართოოთ ოქვენი ბიზნესი?“ ჩვენი ვარაუდით, მისი ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო მათი ცოდნისა და გამოცდილების შეუსაბამობა წამოწყებული ბიზნესის პროფილთან, რადგან განათლებისა და კვალიფიკაციის შეუსაბამობა ბიზნესის პროფილთან შეადგენდა 77%-ს, ხოლო გამოცდილების შეუსაბამობა - 64%-ს. თუმცა, გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ (78%) უპასუხა, რომ მისთვის ხელშემშლელია - „ფინანსური რესურსების უკმარისობა“. ხოლო, ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მაგალითად - „მენეჯერული კომპეტენცია (გამოუცდელობა, არასაკმარისი ცოდნა)“, რესპონდენტთა მხოლოდ 6%-ს მიაჩნია ხელშემშლელ ფაქტორად და „პერსონალის დაბალ კვალიფიკაციას“ - ერგო 13%. არადა, კითხვაზე - „თქვენ მიერ საბრუნავ კაპიტალში დამატებით დაბანდებული (ინვესტირებული) ყოველი დარიდან რამდენი პროცენტი იქნება მისგან მიღებული წლიური მოგება“, იმავე რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა (84%) ასახელებს სულ მცირე 50%-ზე მეტი რენტაბელობის მოლოდინს.

## დასკვნა

ამრიგად, თუ რესპონდენტთა 99%-ს სურს გააფართოოს მისი ბიზნესი, მათგან 98% ალბათობით - ეს არის სტაბილური და განვითარებადი ბიზნესი და თუ ასეთი ბიზნესის მენეჯერების უმრავლესობა თვლის, რომ საბრუნავ კაპიტალში ინვესტიციებული ყოველი ლარი იძლევა სულ მცირე 50%-იან რენტაბულობას მაინც, რომელიც ბევრად აღემატება სადღეისო საბანკო კრედიტის პროცენტს, შეიძლება გაკეთდეს დასხვანა, რომ დღეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემა უფრო მეტად „მენეჯმენტის დაფიციტია“, ვიდრე „უკმარისობა ფინანსურებულებისათვის“.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოკითხვამ საქმაოდ საიმედო პერსპექტივებიც გამოკვეთა. კერძოდ ის, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით მეტია საბრუნავ კაპიტალში ინვესტიციებული ყოველი ლარის მოსალოდნელი რენტაბულობა და მეორეც - რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით უფრო მცირდება ხელშემშლელ ფაქტორებს შორის „ფინანსური რესურსების უკმარისობა“ და მით უფრო (უმნიშელოდ, მაგრამ მაინც) იზრდება მენეჯერული კომპეტენციისა და დაქირავებული პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის აუცილებლობა. ეს კი იმის საფუძველია, რომ ვთქვათ - მომავალი თაობა უფრო რისკიანია და წარმატების მიღწევაში უფრო გრძნობენ კვალიფიციური ცოდნის აუცილებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯულაყიძე ე. 2016: სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აშშ.
2. Друкер П. 2007: Задачи менеджмента в XXI веке, Учебное пособие.  
[http://www.koob.ru/drucker\\_peter/](http://www.koob.ru/drucker_peter/)
3. Мескон М.... 2004: Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. перевод с английского. М.: Издательство «ДЕЛО» <https://www.google.ge>

*Emzar Julakidze*  
Academic Doctor of Economics, Professor  
Akaki Tsereteli State University

## EFFECTIVE DECISION-MAKING AND MODERN PROBLEMS OF THE GROWTH OF PRODUCTIVITY OF ORGANIZATIONS

### Expanded Summary

Effective decision-making is the choice of the alternatives to which the organization achieves success. The desire to succeed is characteristic to all organizations. But in order to find out whether the organization has succeeded it is necessary to identify--what does the success mean? Naturally, many people will name the high image, giant companies on that question and they will be right. Although, with this position it means that only size of the organization and / or profit maximization is a success. However, every organization has a definite purpose and if the organization has achieved its goal, it is already successful. That is to 108

say, success is not related to the size of the organization and everything, including small business, can have its success.

The most important goal that the organization's management needs to achieve is to offer the product (service) that increases the productivity of this organization. That is, to make such decisions according to which the organization's operational parameters will approach to the desired ones.

Organization's productivity - is the measure of how economically the organization uses its available resources and how effective its management is. That is, the organization is highly productive if it produces required, demanding goods (services,) that are sold well and everything is done properly and successfully. In particular, if the resource economy is a measure of how well the consumer is explored, what are the requirements and how rationally the organizational resources have been used to satisfy these requirements, efficiency - is the best ratio of goals and achieved results. That is, effective is the management of the organization that chooses the right aim and actually achieves it.

The desired goal should have an appropriate criterion for measuring. It is a mistake when evaluation of the productivity of the organization is done according to the volume of manufactured products, or by rational use of resources existing in its system (Though, both are important components of productivity). In our opinion, we should see in it the process that is focused on obtaining a competitive advantage and on the other hand its expected results, which should be taken in time and which is expressed in specific indicators. That is, its value should be determined.

Therefore, productivity – this is the ability of the organization to surpass the competitors by producing more desired products for consumers in a thrifty way and with an increasing difference between the costs of the exported products from the organization and imported resources. Thus, everything that is related to this formula is at the same time supporting factor of the promotion of the productivity of the organization. Consequently, the managers' strategic vision and the success of their decisions should be assessed by the aim of determining how they are oriented on specific, time-consuming and realistic results.

In order to make a successful decision, it is necessary to get its objective constituents (Purpose, alternatives and motives) adequately, in which naturally an important role plays the managerial strategic vision, knowledge, skills, habits, experiences, moods, emotions, intellectuals and other professional or personal qualities, which totally create the individual identity. So, want it or not, each manager has its own system of values that determines its actions and influences on the success of decision making process.

For the purpose of finding how well the above-mentioned properties are developed in modern managers and how correctly they use such an individual system of values, in Kutaisi we have interviewed owners (managers) of small and medium enterprises on business prospects and successes in their disposal (management).

More than 300 respondents have been interviewed. In particular, on the question - whether you want to expand your business, or get more income, 99% of respondents responded positively, which should be considered one of the best positive indicators of evaluating the business environment. In fact, it has also should have pushed to assess the viability of business activity as well. In particular, only 2% of respondents expect that the time will come when their business will no longer be required, and 98% thinks that his business is stable and more - is growing.

The answer to the following question looks pretty interesting: - "First of all, what hinders you to expand your business?", the vast majority of respondents (78%) responded to the fact that it was "lack of financial resources", and for example, the factor as "managerial competence (inexperience, inadequate knowledge)", only 6% of respondents consider hindering; "Low qualification of personnel" - received 13%. However, on the question :"What will be the percentage of your annual profit from your invested working capital", the vast

majority of respondents (84%) expects at least more than 50% of profitability.

Thus, if 99% of respondents wants to expand its business by 98% of probability - this is a stable and developing business and if most managers of such business think that each Lari invested in the working capital gives at least 50% profitability, which is much higher than the current interest of a bank loan, one may conclude that the problem of small and medium business development today is "management deficit" rather than "failure in financial resources".

However, it should be noted that this survey has revealed quite reliable perspectives. Namely, the younger the respondent, the higher is the chance of profitability of each Lari invested in the working capital and second - the younger the respondent, the more reduced becomes "the lack of sources "among the obstacles and high qualification of managerial competence and hired personnel becomes more demanding (slightly but still) .And this is the reason to say that the future generation is more risky and feels the necessity of qualified knowledge in achieving success.

რეგაზ ჯავახიშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ლეგან ჯანგულაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შპელური გამოცდილება

### რეზიუმე

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევასა და მოსახლეობის მრავალფეროვანი და მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებაში. სტატიაში გაანალიზებულია შეეძლის ხელისუფლების მიერ განხორციელებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ორგანიზაციული, საფინანსო-საგადასახადო, რეგიონული პოლიტიკისა და საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფის ღონისძიები, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საერთო-ეკონომიკური განვითარების ეროვნული ინვაციური პოლიტიკის ნაწილს. სტატიაში განხსაკუთრებულია ურადღება ეთმობა შეეძლის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური პოლიტიკის ანალიზს, რომელიც ორიგენური განვითარების მიზნობრივი ჯგუფების მიერ (ახალგაზრდები, ქალი-მეწარმეები, უმუშევრები, იმიგრანტები და სხვ) მცირე მეწარმეობის წამოწევებასა და აღორმინების სტიმულირებაზე.

**საქვანძო სიტყვები:** მცირე და საშუალო საწარმო, ბიზნესგება, ბიზნესის მცირე ფორმები, ინვაციური პოლიტიკა, ტექნოლოგიური რენტა, შეღავათიანი კრედიტი, ვენტურული დაფინანსება.

### შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბევრადაა დამოკიდებული მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირებასა და აღორმინებაზე, მის სახელმწიფო მხარდაჭერასა და სტიმულირებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებისთვის, მცირე მეწარმეობის შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენებაზე.

მცირე ბიზნესი საბაზო ეკონომიკური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელექტრი, მეწარმეობის ყველაზე უფრო მოქნილი და ღინამიური ფორმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანსაღი საბაზო ეკონომიკური გარემოს ფორმირებასა და მონოპოლიზმის წინაღმდეგ პრძოლაში. მცირე მეწარმეობის სათანადო განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სამუშაო ძალის დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის დონის შემცირებას, მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებას. მცირე და საშუალო ბიზნესის აღორმინება დიდად უწყობს ხელს მატერიალური, მრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სანედლეულო წყაროებისა და გასაღების ბაზრების სიახლოების საფუძველზე საწარმოთ დანახარჯების მინიმზაციას, მათი შემოსავლებისა და მოგების ზრდას. სწორედ ამიტომა, რომ დღეს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო მეწარმეობის ფორმირებასა და აღორმინებას. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საყურადღებო ქვეყანაა შვედეთი, სადაც საწარმოთა მთლიან რაო-

დენობაში გადამწყვეტი ადგილი უკავია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს.

\* \* \* \* \*

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა შევდეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებაა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის განვითარებაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების აქტიური ჩარევით. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ქვეყნის საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მცირე და საშუალო საწარმოებს უკავია 90%-ზე მეტი, რომელთა წილად მოდის ეკონომიკაში დასაქმებულთა 1/3 და მშპ-ს დაახლოებით ნახევარი [1,3]. ბოლო პერიოდში მცირე ზომის საწარმოების მიმართ ყურადღება განსაკუთრებით ძლიერდება, რაც შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

1. ასეთი საწარმოები ასრულებენ გადამწყვეტ როლს მოსახლეობის დასაქმებაში;
2. მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანობა უფრო მეტად აზარებს ინოვაციურ ხასიათს, ვინაიდან ისინი უფრო მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის, ტექნოლოგიებისა და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილებებზე. რამდენადაც გლობალიზაციას შედეგად მოსდევს საგარეო ბაზრებზე რეალზებული ეროვნული პროდუქტის ხევდრიწილის გადიდება, ამიტომ შევდეთის მთავრობა ყოველმხრივ უჭერს მხარს ეკონომიკის ინოვაციური სექტორის განვითარებას, რომელიც დიდ ნაწილში წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის სახით. ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია ის ფაქტი, რომ ინოვაციური პროდუქტის ექსპორტით მიღებული ა.წ. „ტექნოლოგიური რენტა“ მნიშვნელოვნად აღმატება ბუნებრივ თუ სასოფლო-სამეურნეო რენტას, რომელიც მიიღება მსოფლიო ბაზრებზე ბუნებრივი რესურსებისა და სასურსათო საქონდის რეალიზაციის შედეგად;
3. მცირე საწარმოებს უფრო მეტად შესწევთ უნარი, უკეთ დააქმაყოფილონ ცალკეული კატეგორიის მომსარებელთა მოთხოვნები, რომელთაც ამჟამად აშკარად გამოხატული ზრდის ტენდენცია აქვთ;
4. სტრუქტურული ძვრები ეკონომიკურ სისტემაში (მაგალითად, მომსახურებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უფრო სწრაფი განვითარება), რაც იწვევს ბიზნესის მცირე ფორმების როლისა და მნიშვნელობის ზრდას;
5. შევდეთში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს საქმიანობის ტრადიციული დარგები: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, სხვადასხვა სახის მეწარმეობა, სადაც პროდუქციის დიდი ნაწილი მცირე და საშუალო საწარმოებში იქმნება;
6. შევდეთში წარმატებით ხორციელდება მსხვილი საწარმო-საყოფაცხოვრებო სისტემების შექმნა, სადაც გაერთიანებულია ათასობით სამეცნიერო, საწარმოო, საფინანსო-გამსახვებელი, საკრედიტო-საფინანსო და სხვა ერთეულები, რომელთაც გააჩნიათ უამრავი წვრილი რგოლი. ქვეყანაში იქმნება ახალი, ა.წ. „ქსელური ეკონომიკა“, რომელიც დაფუძნებულია „ქსელურ საწარმოთა“ კოოპერაციაზე. ბევრი საწარმო იძენს ახალ სიცოცხლეს, რომლებიც ერთიანდებიან მსხვილ ქსელურ სისტემებში და იწყებენ მსხვილი კომპანიებისა და ზოგჯერ ტნკების მომსახურებას. შევდეთში დიდი გაქანება მიიღო განსაზღვრულ საწარმოო ოპერაციებზე ან ბიზნეს-მომსახურებაზე (აუტსორინგი) სუბკონტრაქტების დადგებამ. ეს პროცესი ვითარდება შრომის ტექნოლოგიური დანაწილებისა და კოოპერირების საფუძველზე. ტნკები და წვრილი საწარმოები აღარ კონკურირებენ ერთმანეთთან, რამდენადაც ისინი ქმნიან გარკვეულ სიმბიოზებს. ამის ნათელი მაგალითია

- მსხვილი მანქანათმშენებელი და სატრანსპორტო საწარმოები, რომელთაც პკავთ ათეულ ათასობით დეტალისა და კგანგების სუბკონტრაქტული მომწოდებელი წვრილი საწარმოები;
7. ქვეყანაში სამეცნიერო გამოკვლევების კაპიტალტევადობის სისტემატური ზრდის გამო მათ დიდ ნაწილს ახორციელებენ მსხვილი საწარმოები, რომლებიც, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მხარდაჭერის მიზნით, დიდი ოდენობით იღებენ სახელმწიფო სახსრებს. სწორედ ამიტომ, წვრილი საწარმოები საჭიროებენ უფრო მეტ სახელმწიფო მხარდაჭერას. ამისი თეორიული დასაბუთება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში გაკეთდა. შემდგომში ის თანდათანობით იქცეოდა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად. აღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად ქვეყანაში გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:
- **ორგანიზაციული.** შეიქმნა წვრილი და საშუალო საწარმოების მხარდაჭერი ინსტიტუტები და ფონდები: 1973 წ. შევდეთის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ბიზნესის მართვის დირექტორატი და ბიზნესის განვითარების შვედეთის სააგენტო. მათი მთავარი ამოცანაა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, ანტიტრესტული რეგულირება, გადასახადებისა და აღმინისტრაციული ზეწოლის შემცირება, საფინანსო ანგარიშების გამარტივება, სამეცნიერო და საფინანსო (მ.შ. ვენებურული დაფინანსების) რესურსების ხელმისაწვდომობის გაიოდება, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;
  - **საკანონმდებლო.** 1998 წ. მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების მიერ ეკონომიკის განვითარების ნებისმიერი ფონისმიერის გატარებას, რომელიც არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს. ამასთან, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ამ საკანონმდებლო მოთხოვნის შესრულებას და ამასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად ანგარიშს აბარებს შვედეთის პარლამენტს. მცირე მეწარმეობის გამოკვლევის შვედური ფონდი ყოველწლიურად ორგანიზებას უკეთებს „მცირე ბიზნესის“ დღის ჩატარებას, სადაც განიხილება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აქტუალური პრობლემები, რომლის შედეგი და რეკომენდაციები გაითვალისწინება აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების დროს.
  - **საფინანსო და საგადასახადო.** ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო ფონდი „ალმი“, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასცემს შედავთიან კრედიტებსა და სუბსიდიებს (გრანტებს). პარალელურად მცირე საწარმოებს უფლება ეძლევათ, საბუღალტო აღრიცხვა-ანგარიშება აწარმოონ გამარტივებული ფორმით. მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ხდება ვენებურული დაფინანსებითაც. კველა გადასახადი, რომელიც შვედურმა საწარმომ უნდა გადაიხადოს (დღგ, სამუშაო ძალის დაქირავების გადასახადი, მოგების გადასახადი) მოცემულია ერთი გადასახადის სახით.
  - **ინფორმაციული მხარდაჭერის.** ბიზნესის დაწყებისა და ორგანიზაციისათვის საჭირო კონსულტაციები; აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. სიახლეთმცოდნეობაში) მიეწოდება სააგენტო „ანულექის“ მეშვეობით. სამრეწველო დიზაინის შვედური ფონდი (SVID) უწევს პრაქტიკულ დახმარებას და ავოცელებს ცნობებს სამრეწველო დიზაინის შესახებ, აგრეთვა, ამუშავებს საინფორმაციო პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ საწარმოთა ორგანიზაციასა და კომპერაციას. საინფორმაციო რესურსი „სტელინკი“, რომელიც ფონანსდება სახელმწიფოსა და ვალენბერგის ფონდის მიერ ერთობლივად, იძლევა

ინფორმაციას მცირე ფორმატის ახალი ბიზნესის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. „სტარტინგ დაინი“ ფლობს რეგისტრაციის პროცედურის, საგადასახადო დაბეგვრის, ლიცენზიების, ფორმალური მოთხოვნებისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციას. ფონდი „ალმი“, კონსულტაციებთან ერთად, წვრილ მეწარმეებს აღმოუჩენს დახმარებას ფინანსირებისა და სწავლების სფეროში. ამ ფონდის საინფორმაციო ბლოკი მცირე და საშუალო მეწარმეებს აწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელიც მათ ეხმარებათ მსოფლიო ბაზარზე გასვლაში.

• **რეგიონული პოლიტიკის სრულყოფის.** მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება რეგიონული პოლიტიკისა და განათლების სფეროში პოლიტიკის გატარების პროცესში. რეგიონულ დონეზე, უნივერსიტეტებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, შეიქმნა ფონდი „ტექნიკური ხიდი“, მაღალი კომპეტენციის ცენტრები, აგრეთვე, ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერის 11 რეგიონული ცენტრი [2,5].

• **კოოპერაციის მხარდაჭერის.** განსხვავებული ზომის მცირე საწარმოები, აგრეთვე, განვითარების სხვადასხვა სფეროებსა (მეცნიერება, განათლება, წარმოება) და ინოვაციურ საქმიანობას შორის სამცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო კოოპერაციის ხელშეწყობა ხორციელდება შევდეთის ინოვაციური ცენტრისა და შევდეთის ინოვაციური სისტემების სააგენტოს მეშვეობით. ადნიშნული სააგენტოები დიდ დახმარებას უწევენ ინოვაციურ საწარმოებს მათი განვითარების საწყის სტადიაზე და ეხმარებიან მათ ინოვაციური კლიმატისა და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის საქმეში.

• **მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ხელშეწყობის.** შევდეთის შრომის ბაზის ეროვნული ადმინისტრაცია ქმნის საწყის კაპიტალს უმუშევართათვის, თუ ისინი წარმოადგენს კონკურენტუნარიან ბიზნესგეგმას. ფონდი „ალმის“ განყოფილებები მცირე მეწარმეებს სთავაზობენ კრედიტს შემდეგ შემთხვევაში: ფირმას, რომელსაც აქვს შემდგომი განვითარების პოტენციალი; ახლად შექმნილ ფირმებს (კრედიტის მინიმალური ზომა-50 ათ. კრონი, მაგრამ არაუმეტეს აუცილებელი კაპიტალის 30%-ისა); მეწარმეებს 50ათ. კრონიდან 100 კრონამდე, მაგრამ აუცილებელი კაპიტალის არაუმეტეს 50%-ისა; ახალგაზრდა დამწყებ მეწარმეებს 25-დან – 50 ათას კრონამდე, არაუმეტეს აუცილებელი კაპიტალის 50%-ისა [2,6].

შევდეთის ინოვაციური ცენტრი სთავაზობს კრედიტს 400 ათ. კრონის ოდენობით ახალგაზრდა საწარმოებს (3წლამდე) იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ეკუთვნის ერთ პირს. ცენტრს შეუძლია გასცეს სუბსიდია ტექნიკურ ან კომერციულ გამოკვლევებზე. იგი ახორციელებს, აგრეთვე, ახალგაზრდა გამომგონებლებისა და ქალი-გამომგონებლების მხარდაჭერას და აფინანსების ინოვაციური ცენტრების შექმნას მთელ მსოფლიოში.

• **გენტურული დაფინანსების.** საწარმოები, რომლებიც საქმიანობენ ტექნოლოგიურად ინტენსიურ პირობებში, საჭიროებენ მაღალრისკიან დაფინანსებას. ვენტურულ დაფინანსებას ახორციელებს ბიზნესის განვითარების შევდეთის სააგენტო, მაგრამ კაპიტალის არაუმეტეს 50%-ისა, რომელიც აუცილებელია ასეთი საწარმოს საქმიანობის საწყის ეტაპზე. სააგენტო სთავაზობს, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურებას. კრედიტი გაიცემა 800 ათ. კრონის ფარგლებში, რომელიც შეიძლება გაიზარდოს 3 მლნ კრონამდე. პროცენტი შეესაბამება ჩვეულებრივ საბანკო პროცენტს. კრედიტი ბრუნდება მას შემდეგ, როცა საწარმო მიაღწევს კომერციულ წარმატებას. საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში კი კრედიტი ჩამოიწერება. ვენტურული დაფინანსების შევდეური ბაზარი არის ყველაზე მაღალგანვითარებული ჩრდილოეთ ევროპაში. სამრეწვე-

ლო დაფინანსების შვედური ფონდი არის ვენტურული განვითარების 6 ერთეული რეგიონული კომპანიის თანამფლობელი.

შვედეთში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ხორციელდება საერთო სამრეწველო რეგიონული და ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ასეთ საწარმოებზეა ფოკუსირებული. ორგანიზაციულად ამის პასუხისმგებლობა აკისრია მრეწველობის, დასაქმებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, აგრეთვე, მეწარმეობის განვითარების შვედეთის სააგენტოს, ინოვაციური სისტემების შვედეთის სააგენტოსა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის შემსწავლელ შვედეთის ინსტიტუცის.

უკელაზე მცირე საწარმოსათვის, ისე, როგორც ახალი კომპანიისათვის, ქვეყანაში დაწესებულია რეგისტრაციის შედარებით მარტივი პროცედურა. ამისთვის ნებართვა გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, ყველა ფორმალობის შესასრულებლად საჭირო დანასარჯები განისაზღვრება მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს 1%-ის ფარგლებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებისთვის კი – საკმარის მაღალ ღონებები (100 ათ. კრონი). რეგისტრაციის ყველა პროცედურა ხორციელდება ერთი სარქმლის მეშვეობით, სადაც საწარმო დგება საგადასახადო აღრიცხვაზე და გადის სახელმწიფო რეგისტრაციას.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის მეწარმეობის მხარდაჭერაზე: ახალგაზრდობაზე, ქალ-მეწარმეებზე, უმუშევრებზე, იმიგრანტებზე და სხვ. 6-დან 11-წლამდე მოსწავლეების პროგრამა ითვალისწინებს შემოქმედებითი აზროვნების, ინიციატივის, ინოვაციური უნარების, საკუთარ თავში დარწმუნების, აგრეთვე, სასიცოცხლოდ აუცილებელი მწვავე პრობლემების შესახებ დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავების მხარდაჭერას. პროგრამების რეალიზაციის პროცესში, მოსწავლეებთან ერთად, ხდება მშობლებისა და მეწარმეების ჩართვა სასკოლო მეცადინეობის განვითარების მიზანით. ამ პროგრამების შესრულებაზე, ჩვეულებრივ, გამოიყოფა კვირაში ერთი დღე.

გარდა ამისა, უნივერსიტეტებში არსებობს სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერის სხადასხვა პროგრამები 10-დან 20 წლამდე ახალგაზრდებისათვის. ქვეყანაში მოქმედებს პროგრამა „ახალგაზრდები მიღწევები“, რომლითაც ახალგაზრდებს წელიწადში ერთხელ ეძლევათ დახმარება, რათა მათ შეძლონ თავიანთი ახალი საქმიანობის დაწყება. პროგრამის მიზანია სწავლება და ახალგაზრდობის (მათ შორის ქალების), სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მხარდაჭერის მიზნით, სემინარების ორგანიზება, სადაც ხდება სწავლება და გამოცდილების გაზიარება. ამავე მიზნით 2000 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა „ბიზნესის დაწყება“.

შვედეთის ბევრ უნივერსიტეტში არსებობს „ბიზნესის სათბურები“, რომლებშიც ბიზნესის წარმოებისათვის შექმნილია შედავათიანი პირობები, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობენ სტუდენტები. მათი დაფინანსება უმეტესად ხდება ადგილობრივი რესურსებით. ბევრ უნივერსიტეტში გახსნილია სამეწარმეო საქმიანობის სპეციალური კურსები, ხოლო იონკეპინგის უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო პროგრამა იმათვის, ვისაც სურს მცირე და საშუალო საწარმოთა ორგანიზება. უმეოს უნივერსიტეტში კი სტუდენტებისათვის შექმნილია მეწარმეობის ინოვაციური ცენტრი.

შვედეთში მოქმედებს ქალების, უმუშევრებისა და იმიგრანტებისათვის სამეწარმეო აქტიურობის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები. ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 34-37 ათასამდე ასეთი საწარმო, რომელთა 30% მიღის ქალებზე, 20% – იმიგრანტებზე, 20% – 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებზე, 20%-უმუშევრებზე. საწარმოების დიდი ნაწილი წარმატებით მოქმედებს ბაზარზე და მათი მხოლოდ 4% კოტრდება [2,7]. ფონდი „ალმი“ სპეციალური

საკრედიტო სქემით ეხმარება ქალებს მეწარმეობის განვითარებაში, კრედიტს თან ახლავს კონსულტირება და სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა.

შვედეთის ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებს, რომ ბიზნესის წამოწყების მიზნით უმუშევრებზე გაცემული სუბსიდიები, იმავდროულად არის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მინიჭნებელოვანი საშუალება. მისი გაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა წარმატების მომტანი ბიზნესგეგმის დამუშავება. ქვეყანაში ახლად შექმნილი საწარმოების 1/4 მოდის ყოფილ უმუშევრებზე. სუბსიდის ზომა დაკავშირებულია თანხის სიდიდეთან, რომელიც შეიძლებოდა და მისცემოდა უმუშევარს დაზღვევის სახით 6-დან 12 თვის განმავლობაში. ეს თანხა საკრედიტო ერთი დასაქმებულით საწარმოს შექმნისათვის.

შვედეთის მთავრობა ეხმარება იმიგრანტებს (მკიდრი მოსახლეობის 10%) უმუშევრობის დონის (რომელიც 4-ჯერ უფრო მაღალია მკიდრი მოსახლეობის უმუშევრობასთან შედარებით) შემცირებაში. ამასთან, იმიგრანტების მიერ ბიზნესი ხორციელდება უმეტესად შრომატევად დარგებში (ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორანული მომსახურება). იმიგრანტთა მეწარმეობის მხარდაჭერა ხდება სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორთან ერთად. მათი მიზანია მეწარმეობის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, რაც მიიღწევა ეფექტური შრომის ბაზრის ორგანიზების, გადასახადების შემცირების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და ვენტურული დაფინანსების საფუძველზე. ქვეყანაში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით, ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობის ასეთი საწარმო, რომელთა დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომში წარმატებით განაგძობს თავის არსებობას.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის შევლური გამოცდილება ძალზე უნიკალურია, მაგრამ მისი პირდაპირი, მექანიზრი, ყოველგვარი კორექტირების გარეშე სხვა ქვეყანაში გამოყენება მიუღებელი და შეუძლებელიცა. სხვა ეკონომიკურ სივრცეში მისი გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის, როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების, ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერის ნება, რაც უნდა აისახოს მის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკასა და სტრატეგიაში. გარდა ამისა, მოცემულ ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული, ინფორმაციული, საფინანსო-საგადასახადო, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებები, რომელთა გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია მცირე და საშუალო საწარმოთა შექმნა და აღორძინება. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოთა შექმნისა და წარმატებული განვითარებისათვის საჭირო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ფორმირებასა და სრულყოფას, რომელიც სამართლებრივად დაიცავს მცირე და საშუალო ბიზნესში მონაწილე ცალკეული სუბიექტების ინტერესებსა და, იმავდროულად, განსაზღვრავს მათ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ეკონომიკურ ურითიერთობათა ჯაჭვში მონაწილე სხვა სუბიექტების მიმართ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გმლებაშვილი მ., შვედეთის ეკონომიკა. [www.Sociom.ge/index](http://www.Sociom.ge/index).
2. Иновационная политика, Швеции, <http://zefold.zu/look/270717>
3. Экономика Швеции: История успеха, <https://sweden.zu/lioli/> ekonomika-shvecii-istoriya-usnega

4. Удальцова Н. и др., 2015. Национальная инновационная система Швеции: стратегия развития и факторы успеха, журн. „Вопросы экономики и права“, N2.

**Revaz Javakhishvili**  
PhD in Economics,  
**Levan Jangulashvili**  
PhD in Economics

## **SWEDISH EXPERIENCE OF SMALL AND MEDIUM BUSINESS SUPPORT**

### **Expanded Summary**

The Swedish government has a deep understanding of the role of small and medium enterprises in the development of the country's economy, in recent years, the organizational, financial-taxation, information provision, scientific-technical cooperation, and the improvement of the labor market organization events had taken place.

Small and medium enterprises are supported in Sweden within the framework of Common Industrial Regional and Innovative Policies, which focus on such enterprises. The Ministry of Industry, Employment and Communications, Swedish Agency for Entrepreneurship Development, Swedish Institute of Innovative Systems and Swedish Institute for Economic Growth Policy are responsible for it organizationally.

There is a systematic improvement of legislative-normative basis for small and medium business development in Sweden. In 1998, the law was adopted that prohibits carrying out any economic development activities by central and local authorities that do not take into account the interests of SMEs. In addition, a special group was set up to monitor the implementation of this legislative requirement and in this regard, the report is submitted to the Swedish Parliament each year. The Swedish Foundation for Small Entrepreneurship Study organizes annual "Small Business" Day, where the current problems of small and medium business development are discussed, and the outcome and recommendations of these will be taken into account when making decisions on these issues.

For small enterprises, as well as for a new company, a simple procedure of registration is established in the country. The permit will be issued for a month, all expenditures for all formalities are defined as 1% of the GDP per capita per population, and for limited liability companies it is expensive (100,000 krone). All registration procedures are performed through one window. Where the enterprise is placed on tax registration and passes the state registration.

Successful programs in Sweden are focused on entrepreneurship support for target groups: youth, women entrepreneurs, unemployed, immigrants and others. The program for students from the age of 6 to 11 provides support for the development of creative thinking, initiative innovative skills, persuasive self-reliance, and independent decision-making skills on vitally acute problems. In the realization of programs, together with students, parents and entrepreneurs are involved in the school schedules. One day in a week is allocated for the performance of these programs.

In addition, there are various programs for supporting entrepreneurial activities for young people aged 10 to 20, the program "Youth Achievements" is being offered to young people every year to help them start their new activities. The aim of the program is to organize workshops in order to support the initiative of entrepreneurial activities (including women), where training and experience are shared. For the same purpose since 2000, a special program "Start of Business" operates in the country.

Over the years among tech crops in Georgia the production of essential oils, sunflowers, tobacco and others have been popularized.

Because the demand on sunflower seed produced in the country was low and its realization was breached, its production was reduced. The picture has changed recently. Increased prices on food products, including imported oil, will help boost local production:

- In order to press sunflower oil in Kakheti region, small enterprises, equipped with new technologies, should be built. The businessmen should be interested in this issue, as the sunflower seed produced in the country and the oil made from it is ecologically much cleaner than those products from other countries.

For many years, high quality tobacco is brought in Georgia, whose crops are mainly located in the highlands of Adjara in Keda, Shuakhevi and Khulo; Kvemo Kartli - Marneuli; Kakheti region - Lagodekhi districts.

Tobacco-growing is a high-income sector, so the interest of tobacco producers in the country is great for the development of the field. Tobacco produced in Georgia is distinguished by the best aroma, abundant harvest, high quality and low content of nicotine. Subsequent development of tobacco growing depends on the businessmen interested in this sector and their investment in the field.

Potato production is on one of the most honorable places in the world after wheat production. It is a product of strategic importance that is due to its high nutritional value and versatility.

For the sake of further development of potato growing, we consider it necessary to provide the population of the regions with high-profile varieties of this culture to improve potato production:

- For this purpose it is necessary to develop specialized seed and nursery farms.

- It is also necessary to create service centers that will purchase agricultural products on the site at the acceptable price of farmers, and they will be given the opportunity to pay them both in terms of material expenses and time-saving. In order to avoid the losses caused by the storage of potatoes, their transporting costs and their sustainability in the warehouse, we think - it is rational and appropriate to build, workshops equipped with new technique on the areas of this culture to produce starch and other products from potatoes.

In order to improve the situation in agriculture and further development of the field, the attention should be paid to the improvement of sectoral structure. In the near future, the share of the cultures and the fields that will maximize the demand of the country's population for food must be increased. At this stage, the growth of grain cultures should be of particular interest at all levels, as there are all conditions and opportunities for further development of this sector in Georgia. It is also added that in recent years the demand for grain has grown in the world and accordingly the price, too. This process is irreversible for various reasons. Therefore, by increasing the local production of grain crops, we must achieve the satisfaction of population demand for this type of food at a certain degree.

- At the modern stage of market economy the role of state must be defined in differential approach to agricultural sectors, which will be expressed in the concentration, formation and practical realization of measures and priorities from the state.

Due to the natural conditions, harvesting has been the most developed field in centuries in Georgia. The country with rich traditions of farming has since become an united garden of fruit trees, which in due course deserved admiration and appreciation of foreign travelers. The massive cultivation of the first industrial gardens in Georgia began in the 30s of the last century.

The field of horticulture, viticulture and winemaking was founded in Georgia in the direction of this sector, in which the Scra, Telavi and Kareli experimental stations were established. Together with solving a number of problems, these institutions have been actively involved in identifying local perspective varieties of fruit trees, tests of foreign varieties and new varieties. Together with the above organizations, the Research Institute of Botany of the Academy of Sciences and Chair of the harvesting of the Institute of Agriculture of Georgia

served the field. The Georgian breeders have grown high-quality apple varieties: Goruli Sinapi, Exhibition Iveria, Georgia's Pioneer; Pear Aisi, Scra Melted; Peach - Nobati, Goruli Early, Eristavi Pink, Pioneer and others. For the early 70s, 25 nursery farms were planted in Georgia, where about 4,5-5 million saplings were produced annually. In the fruit structure the share of the root of the seed fruit (apple, pear) is high. The native seed variety is characterized by stamina, transportability and storage.

For the development of the industrial varieties of fruit seedlings, there are a number of conditions required to meet: prior to growing; Have the ability to adapt to environmental conditions; Be distinguished with abundant and high quality crops; It should not be a year; Must have a high commodity output; Ability to fight against diseases and pests; Must Provide the normal size and color of the fruit and the tree crown must give its well-being. The protection of these conditions ensures high profitability of the industrial garden, high levels of labor productivity and low cost of production.

Due to the natural conditions, seed fruit (peach, plum, cherry, sweet cherry, wild plum) is common in almost all regions of the country. In recent years production of fruit (except peach) in Georgia decreases. Nut fruits are more or less spread in almost all regions of Georgia. Unlike other types of fruit, the nut fruit production in the country grew significantly in 2000-2016. last period hazel-nut has taken special significance as an export culture, mainly located in Guria, Imereti, Samegrelo and Zemo Svaneti and other regions. This process is visible in every nut producing region.

The natural conditions of Georgia create the possibility for fruit to be more or less common in almost every region of the country. We consider it appropriate for development of the harvest:- In areas of harvesting, the area of the fruit tree, must be mostly less, labor-intensive, with high-productive semi-dwarf plants the density of which must not exceed 320 trees per hectare. This kind of garden is in 4-5 years of operation. In terms of economy, cultivation of these gardens is expensive, because they require great attention to both-drip irrigation and permanent care in the direction with regard of timely agro-techniques. In spite of this, the kind of low-sized gardens of the kind should be given priority with respect to rapid recovery of harvesting.

- During the formation of fruit gardens, it is of great significance to cross the trees and give them less palatable palm-shaped form. In developed countries, special attention is paid to the process of formation of trees in such form. With masterly shaping, gardeners are more easily able to adjust the buds on the branches, regulate the size and shape of the buds.

- The service of rural farmers should be replaced in accordance with transition period to market economy. It is desirable to form consulting services by highly qualified staff that will introduce the latest achievements of scientists in this field together with various services to gardeners.

- The development of the sector should be conducted as a priority in the field of extensive and intensive basis of the fruit-growing area. One of the most important ways to increase intensification in breeding is to use optimal doses of organic and mineral fertilizers in the area of fruit, which will further enhance fruit yield and improve its qualitative indicator.

- It is necessary to provide farms with high quality standard staples. The work should be mainly directed to the selection of improved varieties of the rootstock resistant to various types of viruses and fruit diseases.

In the cultivation of fruit gardens, the preference should be given to the varieties of fruit trees that are rich in pre-harvest and have a rich and regular harvest and their fruits are high in dignity and are rich in aromatic and attractive color.

- In fruit growing, fruit production, fruit sorting, packing and storage repositories, as well as transportation to resolve the issue in the past, we consider it expedient a gardener by the widespread practice has possibility to establish cooperatives and condominiums on the basis of which he can own a small fruit processing plats.

Together with classical fruit-growing countries (Hungary, Moldova, Poland, etc.), Georgia should also take its place in the direction of producing fruit juices, concentrates, fruit puree, jams and other high quality products.

- We believe that it is necessary to connect scientific institutions employed in this field to scientific research centers of classical fruit-growing countries, for sharing and exchange of new scientific achievements in this field, which will facilitate further development of the harvest.

- In the nearest future industrial production and processing industry should be placed on the market economy of its infrastructure, which will facilitate attracting favorable investments, introduction of scientific achievements and the special love of Georgian mentor towards this traditional sector.

### References

1. Datunashvili L. 2010. ;Real situation and development possibilities of farm cultures production in Georgian regions. Proceedings of scientific works of P. Gugushvili institute of economics of TSU., Tb.
2. Datunashvili L. 2011. Peculiarities of plant-growing development in Georgia. Proceedings of scientific works of P. Gugushvili institute of economics of TSU., Tb.
3. J. `Agriculture Of Georgia~, 2009. National Statistics Office Of Georgia. Tb. 2010.
4. J. `Agriculture Of Georgia~, 2009. National Statistics Office Of Georgia. Tb. 2017.

### ლინა დათუნაშვილი გკონიმიუს დოქტორი

მიმღებარეობის ზოგიერთი პულტურისა და დარბის  
განვითარების ღონისძიებები საქართველოში

### ვრცელი რეზიუმე

საქართველოში ეროვნული მეურნეობის ძირითადი დარგებიდან სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული როლი და ადგილი უკავია. მიუხედავად დარგის სიცოცხლისუნარიანობისა, იგი ბოლო 15 წლის მანძილზე ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2002-2016 წლებში 577 ათასი ჰა-დან 240 ათას ჰა-მდე შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაოცესი ფართობი. პარალელურად იკლო აღნიშნული ფართობებიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობამ, 674,4 ათასი ტ-დან 429,8 ათას ტ-მდე, რაც, ვფიქრობთ, სხვა მიზეზებთან ერთად, ქვეყანაში საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ და ნაჩქარევად გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ განაპირობა. შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა წვრილი გლეხური მეურნეობები, რომელიც თავისი ნატურალური ხასიათით ორიგინტირებულია პირად მოხმარებაზე და არ იძლევა სასაქონლო წარმოების განვითარების შესაძლებლობას. პრობლემის შერბილების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია:

– მიწის პრივატიზაციის შედეგად დაქუცმაცებული ფართობების კონცენტრაცია კოპერატივების, ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებების და სხვა მეურ-

ნეობრივი ფორმების შექმნით, სადაც ევექტურად იქნება გამოყენებული თანამედროვე ტექნიკა, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეამცირებს ხელით შრომის მაღალ ხვედრით წილს და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ნატურალურ ფორმას თანდათან ჩაანაცვლებს სასაქონლო პროდუქციის წარმოება;

- სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების, ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებების და სხვა მეურნეობრივი ფორმების განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქნეს აღიარებული;
- მიწას, როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების ძირითად საშუალებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სხვადასხვა მიზეზით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. იმის გარდა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გამოიყენება ქვეყნის რიგი საჭიროებისათვის, როგორიცაა გზებისა და ხიდების, ასევე სხვადასხვა დანიშნულების შენობების მშენებლობისათვის, გაზისა და ნავთობის მიღებაყვანილობებისათვის და სხვა, დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების მდგრადირეობა არასახარბიეროა;
- სავარგულების დიდი ნაწილი დეგრადირებული, ეროზირებული, გატეიურგბული და გაუდაბნობებულია. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია – როგორც არსებული სარწყავი მიწების, ისე დამრობილი მიწის ფართობების რეკონსტრუქცია;
- დროული აგროტექნიკული დონისძიებების გატარება;
- მიგიწებული თესლბრუნვის სისტემის შესაძლებლობის მიხედვით ადგგნა;
- ორგანული და მინერალური სასუქების ღოზირებულად და გადების დაცვით გამოყენება;

ქვეყნაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირების მიუხედავად, ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის მოსავლის აღების შემდეგ საჭიროა:

– პროდუქციის შესანახი შენობა-ნაგებობების, დამხარისხებელი, შემფუთვევი, სამრეწველო გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა-ფუნქციონირება და მაღალორგანიზებული სადისტრიბუციო სამსახურების გამართული საქმიანობა.

ერთწლიანი კულტურებიდან მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი ქვეყნის რეგიონების მიხედვით 2000-2016 წლებში 386,4 ათასი ჰექტარიდან 240,0 ათას ჰექტარამდე შემცირდა.

მარცვლოვან და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებში ხორბლისა და სიმინდის კულტურას საქართველოს რეგიონებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

ბოლო 15 წლის განმავლობაში ხორბლის მოსავალი რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი იყო 2001 და 2003 წლებში, როდესაც საქართველოში 306,5 და 225,4 ათასი ტონა ხორბლი აწარმოეს, რასაც ხელი შეუწყო ხორბლის საშუალო მოსავლიანობის ზრდამ შესაბამისად 2,7/ჰა-თი და 1,9/ჰა-თი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ წლებში ხორბლის მაღალი მოსავლის პირობებში გამნელდა მისი რეალიზაცია, რაც ნაწილობრივ ქვეყნაში წარმოებული ხორბლის მაღალმა თვითდირებულებამ და შესაბამისად მაღალმა ფასმაც განაპირობა, რომელიც იმპორტული ხორბლისა და ფქვილის ფასზე მაღალი იყო, რის გამოც ქვეყანაში წარმოებული ხარისხიანი ხორბლის დიდი ნაწილი საფურაჟედ იქნა გამოყენებული. ამ და სხვა ფაქტორებმა გარკვეული ზო-

მთ ხორბლის მწარმოებელი ფერმერების იმედგაცრუება გამოიწვია და შემდგომ წლებშიც იქნია გავლენა ხორბლის წარმოების შემცირებაზე.

მთელი მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც დიდია მოთხოვნილება ხორბალსა და სიმინდზე, რომელც ძირიფას საკვებსა და საფურაჟე კულტურაზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე თბილისის ბაზარზე ერთი კილოგრამი სიმინდის ფერმერების ფასი 70-90 თეთრს არ აღმატებოდა. 2007 წლის გაზაფხულზე ერთი კილოგრამი სიმინდის ფერმერების ფასი 1,50 ლარი გახდა, ხოლო 2012 წლიდან დღემდე მისი ფასი ორ ლარს გაუტოლდა. სიმინდის ფერმერების ფასების მატება, კფიქრობთ, სიმინდის ნაოგესი ფართობისა და მისი წარმოების შემცირებამ, შესაბამისად: 104,5 ათასი ჰა-თი და 136,4 ათასი ტ-ით, ასევე მასზე მოთხოვნილების ზრდამ და ინფლაციურმა პროცესმაც განაპირობა.

ბოლო პერიოდში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მარცვლოვან კულტურებს ფართოდ იყენებენ მწვავე ენერგეტიკული პრობლემის შესაბილებლად, ენერგოსაწვავის – ეთანოლის მისაღებად, რომელიც შიდაწვის ძრავებში ძენზინის ნაცვლად გამოიყენება. მსოფლიოში ბოლო წლებში ბორბლისა და სიმინდის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ძირითადად აზიის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის მიერ მარცვლოვანი კულტურების მოხმარების ზრდამ და აღნიშნული პროდუქტების დიდი რაოდენობით ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებამ განაპირობა. ენერგეტიკული მიზნებით (საწვავის მისაღებად) ამ კულტურების გამოყენება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ კულტურებზე ფასების კიდევ უფრო გადიდებას. მარცვლოვან კულტურებზე ფასების ზრდა ისტოკების პროდუქტებზე ფასების შესაბამის გადიდებას.

საქართველოში 2001-2003 წლებში მარცვლოვანი კულტურების მაღალი მოსავალი გვაფიქრებინებს ამ კულტურების წარმოებაში დიდი რეზერვის არსებობას, რომელიც ეფექტურად უნდა გამოიყენონ მარცვლეულის მწარმოებელმა ფერმერებმა, რამდენადაც მარცვლეულის წარმოება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძვლად არის მიზნეული. ამიტომ ყველა ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ მარცვლეული კულტურების წარმოება საქართველოში, რათა გარკვეული ზომით დაგაკმაყოფილოთ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება აღნიშნულ სურსათზე. აუცილებელია, მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად, ფერმერებს გააჩნდეთ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისათვის მყარი გარანტიები, რასაც, კფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკონტრაქტო სისტემის დანერგვა.

წლების მანძილზე საქართველოში ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იქმ მზესუმზირის, თამბაქოსა და სხვათა წარმოება.

იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოებული მზესუმზირის თესლზე მოთხოვნა დაბალი იყო და მისი რეალიზაცია ფერხდებოდა, შემცირდა მისი როგორც ნაოგესი ფართობი, ისე წარმოება, შესაბამისად: 39,5 ათასი ჰა-თი და 18,0 ათასი ტ-ით. ბოლო პერიოდში სურათი შეიცვალა. სასურსათო პროდუქტებზე, მათ შორის იმპორტულ ზეთზე ფასების მატება ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლებას.

– მზესუმზირის ზეთის გამოსახდელად კახეთის რეგიონში უნდა აშენდეს მცირე სიმძლავრის, ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი სამქროები. ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ ბიზნესმენები, რადგან ქვეყანაში წარმოებული მზესუმზირის თესლი და მისგან დამზადებული ზეთი ეკოლოგიურად გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი აღნიშნული სახის პროდუქცია.

საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მოჰყავთ მაღალი ხარისხის თამბაქო, რომლის ნათესები ძირითადად გაადგილებულია აჭარის არ მაღალ-მთიან, ქედის, შუახევისა და ხელოს რაიონებში; ქვემო ქართლის – მარნეულის; კახეთის რეგიონის – ლაგოდეხის რაიონებში.

მეთამბაქოება მაღალშემოსავლიანი დარგია, ამიტომ ქვეყანაში თამბაქოს წარმოებელთა ინტერესი დარგის განვითარებისადმი დიდია. საქართველოში წარმოებული თამბაქო გამოირჩევა საუკეთესო არომატით, უხვი მოსავლით, მაღალი ხარისხითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით. მეთამბაქოების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ამ დარგით დაინტერესებულ ბიზნეს-მენეჯებები და მათ მიერ დარგში ჩასადები ინვესტიციების მოცულობაზე.

**კარტოფილის** წარმოება დღეისათვის მსოფლიოში ხორბლის წარმოების შემდეგ ერთ-ერთ საპატიო ადგილზეა. იგი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტია, რაც მისი მაღალი კვებითი ღირებულებით და მრავალმხრივი გამოყენებით არის განპირობებული. 2002-2016 წლებში შემცირდა კარტოფილის როგორც ნათესი ფართობი, ისე წარმოება, შესაბამისად: 17,4 ათასი ჰა-ტი და 166,3 ათასი ტ-ით.

მეკარტოფილების შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია: კარტოფილის წარმოების ასამაღლებლად გაუმჯობესდეს რეგიონების მოსახლეობის უზრუნველყოფა ამ კულტურის მაღალმოსავლიანი ჯიშებით.

– ამისათვის აუცილებელია, განვითარდეს სპეციალიზებული სათესლე და სანერგე მეურნეობები.

– ასევე საჭიროდ მიგვაჩნია სერვისცენტრების შექმნა, რომლებიც ფერმერისაგან მისაღებ ფასად, ადგილზე შეიძენენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქციას და ამით შეღავათს მისცემენ მათ როგორც მატერიალური ხარჯების, ისე დროის ეკონომიკის თვალსაზრისით. კარტოფილის სამრეწველო გადამუშავებისათვის, ასევე კარტოფილის გადასაზიდი ხარჯებისა და სასაწყობო მეურნეობებში მისი შენახვით გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ:

– რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება, ამ კულტურის მოსაყვანად გამოყენებულ ფართობებზე აშენდეს კარტოფილისგან სახამებლის და სხვა სახის პროდუქციის საწარმოებლად მინიჭარხნები ან მცირე სიმძლავრის ახალი დანაღვარებით აღჭურვილი სამქროები.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და დარგის შემდგომი განვითარების მიზნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას. ახლო მომავალში უნდა ამაღლდეს იმ კულტურებისა და დარგების ხევდრითი წილი, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე.

– ამ ეტაპზე მარცვლოვანი კულტურების წარმოების ამაღლებას ყველა დონეზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენადაც საქართველოში, გარკვეული ხელშეწყობით, ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის აგვალა პირობა და შესაძლებლობა არსებობს. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში გაიზარდა მარცვლეულზე მოთხოვნა და შესაბამისად ფასიც. ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია. ამიტომ მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი წარმოების გადიდებით უნდა მივაღწიოთ სურსათის ამ სახეობაზე მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით დაკმაყოფილებას.

– საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს როლი უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის დარგებისადმი დიფერენცირებული მიღებით, რაც პრიორიტეტების დადგენასა და მათზე სახელმწიფოს ხელშექმნების

დონისძიებათა თაგმოყრაში, ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში უნდა გამოიხატოს.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მეხილეობა საქართველოში საუკუნეების მანძილზე კარგად განვითარებულ დარგს წარმოადგენდა.

საქართველოში პირველი სამრეწველო ხეხილის ბადების მასიური გაშენება გაული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო.

გაული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა ხეხილის 25 სანერგე მეურნეობა, სადაც ყოველწლიურად დახლოებით 4,5-5 მლნ ნერგი მზადდებოდა.

ხელის სტრუქტურაში მაღალია თესლოვანი ხელის (ვაშლის, მსხლის) ხვედრითი წილი. ადგილობრივი ჯიშის თესლოვან ხელს გამდლების, ტრანსპორტის გარეულებულობისა და შენახვის კარგი უნარი ახასიათებს. საანგარიშო პერიოდში შემცირდა თესლოვანი ხელის წარმოება.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, კურკოვანი ხელი (ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ტყემალი) გავრცელებულია ქვენის თითქმის ყველა რეგიონში. ბოლო პერიოდში საქართველოში კურკოვანი ხელის წარმოება 20,2 ათასი ტ-ით გაიზარდა.

ძალოვანი ხელი მეტ-ნაკლები ზომით გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განსხვავებით ხელის სხვა სახეობებისაგან, კაკლოვანი ხელის წარმოება 2000-2014 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო 2016 წელს კი შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა.

ბოლო პერიოდში კაკლოვანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თხილმა, როგორც საექსპორტო კულტურამ, მაგრამ 2016 წელს მწერის – ფაროსანას გავრცელებამ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მნიშვნელოვნად შეამცირა მისი მოსავალი. ეს კულტურა გაადგილებულია ძირითადად გურიის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო საქანეთის და დანარჩენ რეგიონებში.

მეხილეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

– ხელის წარმოების, ნაყოფის დახარისხების, შეფუთვისა და მათი საცავებში შენახვის, აგრეთვე ტრანსპორტირების საკითხის დასარეგულირებლად მებალეების მიერ წარსულში გავრცელებული პრაქტიკის – კოოპერატივებისა და ამხანაგობების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება საქუთარი მცირე წარმადობის მქონე ხელის გადამამუშავებელი საამქროების ფორმირება და ფუნქციონირება.

– ხეხილის ბადების ფორმირებისას სასურველია ხეების გასხვლა და მათოვის ნაკლებ შრომისგადი პალმისებრი ფორმის მიცემა. მეხილეობის განვითარებულ ქვენებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხეების ასეთი ფორმით ჩამოყალიბების პროცესს. მაღალი ოსტატობით ჩატარებული გასხვლით მებალეები უფრო ადვილად აღწევენ ტოტებზე კვირცების განლაგების, ხელის ზომისა და ფორმის რეგულირებას.

– საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის შესაბამისად უნდა შეიცვალოს სოფლად ფერმერების მომსახურება. სასურველია, ჩამოყალიბდეს მაღალკალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო სამსახური, რომელიც, სხვადასხვა სახის მომსახურებასთან ერთად, ამ დარგში მეცნიერების უახლეს მიღწევებს გააცნობს მებალეებს.

– საჭიროა სოფლად მეურნეობების მაღალსარისხიანი სტანდარტული ნერგებით მომარაგების უზრუნველყოფა. მუშაობა ძირითადად უნდა წარმართოს ვირუსისა და ხეხილის ნარგავთა სხვადასხვა დაავადებების მიმართ გამდლე სამირებზე გაუმჯობესებული ჯიშების სელექციის მიმართულებით.

– მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში ამ დარგში დასაქმებული სამეცნიერო დაწესებულებების დაკავშირება მეხილეობის კლასიკური

ქვეყნების სამეცნიერო-პკლევით ცენტრებთან მათთან ამ დარგში მიღებული ახალი მეცნიერული მიღწევების ურთიერთგაზიარებისა და გაცელის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს მეხილეობის შემდგომ განვითარებას.

– ახლო პერსპექტივაში სამრეწველო მეხილეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა თავისი ინფრასტრუქტურით საბაზრო ეკონომიკის რელსებზე უნდა დადგეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვამ, მეცნიერული მიღწევების დაწერგვამ და ქართველი მეურნის განსაკუთრებულმა სიყვარულმა ამ ტრადიციული დარგის მიმართ.

060გაციური ეკონომიკა  
INNOVATIVE ECONOMICS

ნანული არეგაძე  
ეკონომიკის დოქტორი  
ნანა ბიბილაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი

პორტატივული ინოგაციური სისტემის თავისებულები

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია კორეის რესპუბლიკის ინოგაციური სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების თავისებულებები და განვითარების ეტაპები 1962-2016 წლებში. მოკლედ დახასიათებულია წარმატების განმაპირობებელი ძირი-თაღი ფაქტორები: სახელმწიფოს განმსაზღვრული, ეფექტური როლი რეფორმების განხორციელებაში; ჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს, ბიზნესსა და სამუცნიერო წრეებს შორის; ჩებოლების მნიშვნელოვანი როლი **ეს** შექმნასა და ჩამოყალიბებაში; მოსახლეობის განათლებულობა, იაფი და კვალიფიციური მუშახლი, შექმნილი ინსტიტუციური საფუძველი, ლიბერალური საბარეგო კანონმდებლობა; უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანა (ძირითადად არაფორმალური გზით); დიდი და მხარდი დანახარჯები მეცნიერებასა და განათლებაზე.

**საქანძო სიტყვები:** ეროვნული ინოგაციური სისტემა, ტექნოლოგიების ტრანსფერტი, სამუცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, ინოგაციური პოლიტიკა, საპატენტო კანონმდებლობა, ჩებოლები, კორუფცია, გლობალური ინოგაციური ინდუსტრია.

**შესავალი**

წარმატებები, რომელსაც კორეის რესპუბლიკამ სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიაღწია და რომელიც ცნობილია “კორეის სახელმწიფოს” სახელმწიფებით, არის ქვეყანაში არსებული ინოგაციური სისტემის ფუნქციონირების უშუალო შედეგი, რომლის შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორია სრულიად განხხვავებულია სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისაგან, თუმცა სწორედ ეს განხხვავებულობა იძლევა შესაძლებლობას ნათლად დავინახოთ რამდენად დიდი წარმატებების მიღწვევა შესაძლებელი, როცა სახელმწიფო, ბიზნესი და მეცნიერება ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ერთნაირი ძალისხმეული ცდილობს ეროვნული ინოგაციური სისტემის ფორმირებასა და ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას მეტად არახელსაყრელ სახელმწიფო პირობებშიც კი (დეფიციტური რესურსები პოტენციალი, მკაცრი კონკურენცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა).

\* \* \*

გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ქვეყანა აგრარული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნებოდა, მშპ მოსახლეობის ერთ სულ ზე 103 აშშ დოლარი იყო, მრეწველობის ხვედრითი წილი მშპ-ში 15% და იმპორტი ექსპორტს 7-ჯერ აღემატებოდა [კოლოთანa E. A].

ომის დასრულების შემდეგ, ქვეყანამ დაიწყო ეკონომიკის თანდათანობით ტრანსფორმაცია ინოგაციურ საფუძველზე. კაპიტალიზმისა და თავისუფალი ბაზრისადმი განცხადებული ერთგულების მიუხედავად, თავიდან კურსი აღე-

ბულ იქნა საბუთარი პატრონაჟის ქვეშ მსხვილი მონოპოლიების (ჩებოლების) შექმნაზე, რამდენადაც იგარაუდებოდა, რომ მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ინოვაციური ნახტომის განსახორციელებლად [3] და როგორც ქვეყანა ვითარდებოდა მკვეთრად გამოხატული გეგმური ეკონომიკის პირობებში. სწორედ სახელმწიფომ შექმნა მყარი საფუძველი ინოვაციური გარღვევისათვის შეიძიო ხუთწლიანი გეგმის მიღებისა და მისი შესრულების მკაცრი კონტროლის პირობებში.

სახელმწიფომ დაიწყო პირველი ხუთწლიანი გეგმის რეალიზაცია 1962 წლიდან, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის, ქვეყნის ელექტროფიკაციისა და ეკონომიკის ცალკეული პრიორიტეტების დარგების განვითარება.

ძალზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე იყო კორეის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის და კორეის წამყვანი სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტების შექმნა. 1967 წელს შეიქმნა კორეის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროც, რომლის ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია [2].

მეორე და მესამე ხუთწლებული პრიორიტეტები გახდა ნავთობქიმიური, საავტომობილო, გემთმშენებელი და სამომხმარებლო ელექტრონიკის, ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიისა და მასთან თან დაკავშირებული დარგების დაწერებული განვითარება.

მეოთხე (1977-1981) მიზნად ისახავდა საგარეო ბაზრებზე სამხრეთკორეული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აგრეთვე მოწინავე ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას წარმოების ავტომატიზაციის ბაზარზე [Мореходов М. А., 2012].

მეხუთე ხუთწლებში (1982-1986) ამოქმედდა სკსსს ახალი პროგრამა ახალი ტექნოლოგიური და მართვის ავტომატიზირებული სისტემები და უკვე მაშინ, ორიენტაცია აღებულ იქნა ქვეყნის განვითარების ინოვაციური მიღობების გაძლიერებაზე.

ამავე და შემდგომ პერიოდებში სამხრეთ კორეის მთავრობამ თავის თავზე აიღო კალევებისა და პროექტების განხორციელება მრეწველობის წამყვან დარგებში, რომელიც მანამდე კერძო სექტორისათვის ძალზე მნელი იყო (დანახარჯების 80%). პროექტების პერსპექტიულობისა და საიმედოობის კრიტიკულის წარმოადგენდა ტექნიკური სიახლე, უპირატესობა არსებულ საზღვარგარეთულ ანალიგებთან შედარებით, არსებული რესურსების ათვისების ხარისხი, სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინება. მათ შორის უშუალოდ მრეწველობაზე ორიენტირებული პროექტები ხორციელდებოდა კერძო, სახელმწიფო და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით, მთელი საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო – მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე.

მთავრობამ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება კერძო სექტორში წაახალისა სხვადასხვა შედავათებით, ფინანსური სუბსიდიებით, გადასახადებიდან განთავისუფლებით, დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხებით, სახელმწიფო მომარაგების გარანტიებით და სხვა. ამ ღონისძიებებმა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რიცხვი 28-ჯერ გაზარდა.

მეექვსე ხუთწლებში (1987-1991) შეიქმნა ახალი ეკონომიკური ზონები, როგორც სამხრეთ კორეის დრაივერები. ამავე დროს გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინტენსივიკაცია.

მეშვიდე ხუთწლებმა (1991-1996) უკვე მოიტანა პირველი ინოვაციური შედეგები. ქვეყანა საგარეო ბაზრებზე გავიდა ისეთ ინოვაციურ სფეროებში, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, ბიოინჟინერია, აეროკოსმოსური ტექნოლოგიები და მხოლოდ ასეთი მძლავრი საფუძვლის შექმნის შემდეგ, თანდათანობით

გადავიდა საბაზრო მოდელზე, თუმცა ზოგიერთ მოქმედებში ინარჩუნებდა სამეურნეო დაგეგმვის ელემენტებს [Мореходов М. А., 2012].

გაკვრით აღვნიშნავთ (ეს საკითხი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს), რომ მოდერნიზაციაზე სამხრეთ კორეაში დადგით ზემოქმედებას ახდენდა და ახლაც ახდენს კონკურენცია ჩრდილოეთ მეზობელთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (კანდი), რომელიც თავდაპირველად გარკვეულ კონკურენციულ ჟარისაც სოდებსაც ფლობდა.

კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა ქვეყნის ეკონომიკაში განაპირობა მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (ჩებოლების) წარმოქმნაც და ტოტალური კორუფციაც (რამდენადაც საკუთარი საბაზო სტრუქტურების უქონლობის გამო, ძლიერ იყვნენ დამოკიდებული დაფინანსების სახელმწიფო მონოპოლიაზე), რაც უძლიერესი კრიზისით გამოიხატა (1997-1998), რომლიდანაც გამოსვლა ქვეყანაში მოახერხა სახელმწიფო რეგულირების გამკაცრებით, აშშ-დან მიღებული სესხებით, სხვადასხვა რეფორმებისა და დონისძიებების დახმარებით, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს: შეზღუდვების გაუქმება უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ეროვნული ბიზნესის შექნაზე შერწყმისა და შთანთქმის გზით და იმ კანონის ამოქმედებით, რომელიც უცხოელი ინვესტორებისათვის სხვადასხვა შედავათებს ითვალისწინებდა; საწარმოებისა და კომპანიების ხელმძღვანელობის დონის მსოფლიო სტანდარტებამდე აწევა; კანონმდებლობაში შესწორებებისა და დამატებების შეგანა; საფინანსო-საბაზო სექტორის რეფორმირება, რომლის შედეგად 96 ფინანსური ინსტიტუტი დაიხურა ან ოპერაციები შეაჩერა; მოხდა ანგარიშების საერთაშორისო სისტემაზე გადასვლა, განმტკიცდა კორპორაციული კაპიტალები მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის, განხორციელდა რეფორმა შრომითი ურთიერთობების სფეროში, რომლის შედეგად ბაზარი უფრო მოქნილი გახდა; რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე იმ შესწორებებმაც, რომელიც ითვალისწინებდა დარგებში მასობრივ დათხოვნებსაც და ძლიერი პროცესების თრგანიზებასაც; ამის გარდა გადაიხედა ჩინოვნიკური აპარატის მუშაობის ეფექტიანობაც, გაუქმდა მთავრობის მიწოდებებისა და მოთხოვნების ნახევარი, ხოლო სახელმწიფო მოხელეების რიცხვი ყველა დონეზე 11%-ით შემცირდა და სხვა [Селезнев П. С., 2014].

1999 წლიდან კრიზისის შედეგების დაძლევის პოლიტიკის ჩარჩოებში, ამოქმედდა სტრუქტურული გარდაქმნის ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც თავდაპირველად ლოკალურ პროექტს წარმოადგენდა და ორიენტირებული იყო არა იმდენად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლაზე, რამდენადაც საკუთარი რესურსების მოძიებასა და ამოქმედებაზე, ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციასა და ადგილობრივი მრეწველობის მყარ ზრდაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში მრეწველობის ცალკეული დარბების სპეციალიზაციით (ფეხსაცმლის წარმოება, ოპტიკური ელექტრონიკა, საფეიქრო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა). შემდეგ მას მიუკროდა ცხრა დამატებითი მონაწილე და პროექტმა მიიღო სახელმწიფო „4+9“.

ეკონომიკის რეფორმირების ფორმულირებული ამოცანების ბაზაზე ქვეყნის სელმძღვანელობის მიერ განისაზღვრა ახალი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია, მისი რეალიზაციის რამდენიმე ეტაპად განხორციელების გზით, რომლის მიხედვით პირველი ითვალისწინებდა ეროვნული ეკონომიკის ინვაციურ განვითარებას; მეორე – განვითარებისათვის საფუძვლების ფორმირებას დეპრესიულ რეგიონებში და ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ორჯერად ზრდას დოტაციურ რეგიონებში.

მესამე – ახალი ტერიტორიული სტრუქტურების ფორმირებას, ურთიერთებების განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან „დია კარის“ პოლიტი-

კის შესაბამისად; საწარმოო ძალების რეგიონთაშორისი განლაგების ოპტიმიზაციის მიზნით ისეთი სატრანსპორტო სისტემის აშენებას, რომელიც შესაძლებელს გახდის რესპუბლიკის ახალ ადმინისტრაციულ დედაქალაქში ჩასვლას ორი საათის განმავლობაში ქვეყნის ნებიშერი რეგიონიდა.

**კორეის რესპუბლიკის ინოვაციური სტრატეგია,** საკუთარი ტექნოლოგიური პოტენციალის უქონლობის პირობებში, თავდაპირველად ეფუძნებოდა ტექნოლოგიების უცხოურ წყაროებს და ქვეყნის შიგნით მის გავრცელებას, პარალელურად საკუთარი ინოვაციური პოტენციალის განვითარებას მიღებული ტექნოლოგიების ფაქტური ათვისების, გამოყენებისა და სრულყოფის გზით.

მისი ინოვაციური სტრატეგიის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ქვეყანა ხელს კი არ უწყობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუ) მოზიდვას, არამედ პირიქით წინააღმდეგობებაც უქმნიდა მას, რასაც ისეთი ღონისძიებით ახორციელებდა, როგორიც იყო: საკუთრების უფლების შეზღუდვა, მოგების რეაბირიაცია, მოთხოვნის დაწესება ტექნოლოგიების გადაცემასა და პროდუქციის ექსპორტზე და სხვა. ასეთი შემზღვდველი პოლიტიკა აუცილებელი იმის გამო გახდა, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ტრანსეროვნული კომპანიების (ტუ) მიმართ უარყოფითი იყო, რამდენადაც ისინი ოვლიდნენ, რომ ტუ საზღვრების გახსნა იწვევს განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დამოკიდებულებას მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებზე. ამიტომ კორეის მთავრობამ უცხოური ინვესტიციები მოიზიდა ძირითადად კრედიტების სახით საკვანძო დარგებში, საწარმოო დანიშნულების საქონლის შესაძლებად. ამასთან მთავრობა განსაზღვრავდა არა მხოლოდ მრეწველობის იმ დარგებს სადაც დაბანდებები უნდა განხორციელებულიყო, არამედ იმ მეწარმეებსაც, რომლებსაც უნდა განხორციელებინათ ახალი ინვესტიციური პროექტები (მათგან ზოგიერთი შემდგომში ჩებოლების მფლობელი გახდა). შედეგად პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კორეის კონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა გერ მოახდინა, რამდენადაც მისი ხევდრითი წილი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში მხოლოდ 4%-ს შეადგენდა, ანუ თუ 1962-1971 წლებში პუ-ს მოცულობა კორეის რესპუბლიკაში 264 მლნ დოლარს უდრიდა, სამრეწველო დანიშნულების საქონლის იმპორტი 2,9 მილიარდი დოლარი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყნისათვის ტექნოლოგიების შეძლის არხები უპირატესად არაფორმალური იყო ანუ უფრო იაფი, რამდენადაც მათი შეძლის შუამავლების გარეშე ხორციელდებოდა [კოლოთია E. A.]

**საკუთარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნა.** ხელისუფლების ძალისხმეულის შედეგად ქვეყანამ აუცილებელ საგანმანათლებლო დონეს დიდი ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად ჯერ კიდევ 2003 წელს მიაღწია, როცა მოსახლეობის საერთო წიგნიერება 98%-მდე ამაღლდა და კანალისა და აშშ შემდეგ მსოფლიოში მესამე აღგილზე აღმოჩნდა. ამაში საკმაოდ დიდი როლი კონფუციურმა ტრადიციამაც ითამაშა, რომლის მიხედვით განათლება და მეცნიერება ძალზე დიდ ფასეულების გარეშე ხორციელდებოდა.

სამეცნიერო კალეგებისა და ტექნოლოგიების საკუთარი ბაზის განვითარებით ქვეყნაში დაკავებულია კორეის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი და მთავრობის მიერ მხარდაჭერიდი 20 სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელთა შორის აღსანიშნავია კორეის მანქანათმშენებლობისა და ლითონების ინსტიტუტი, ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების კვლევითი ინსტიტუტი, ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტი, სტანდარტიზაციისა და მეცნიერების კვლევითი ინსტიტუტი, კვლევითი ინსტიტუტი ენერგიის სფეროში, ოკეანის კვლევის ინსტიტუტი და სხვა. 1974 წელს დაწყებულ იქნა სამეცნიერო ქალაქ დედუკის მშენებლობა, რომელშიც ამჟამად თავმოყრილია ბევრი სახელმწიფო და კერძო სამეცნიერო ინსტიტუტი. სადაც

XXI ს. დასაწყისისთვის სამეცნიერო დამუშავებები ძირითადად წარმოადგენდა ან წარსული (და არსებული) ტექნოლოგიების სრულყოფას, ან იმპორტირებული ტექნოლოგიების მისაღაებას ადგილობრივ პირობებთან [აბდურასულა ქ., 2009]. უცხოური გამოცდილების გამოყენება ხორციელდებოდა უმთავრესად ერთობლივი გენერული კომპანიების შექმნის გზით იაპონელ პარტნიორებთან. ამასთან ერთად სახელმწიფო მხარეს უჭირს ტექნოლოგიების ტრანსფერტის ცენტრების შექმნას უნივერსიტეტებში, რომელთაც აქვთ უნივერსიტეტში განხორციელებული დამუშავების გამოყენების ლიცენზირების უფლება, ხოლო უნივერსიტეტებს საკუთარი წარმოების უფლება თავიანთივე აღმოჩენების კომერციალიზაციისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2007 წ. საერთო ინვესტიციებმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით 38.6 მლრდ. ამჟრისული დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 3.77% იყო. ამასთან, ქვეყანაში კაპიტალდაბანდებები ხორციელდებოდა იმ ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით, რომლებიც ხელს უწყობდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მრავალებრივი ახალი დარგების განვითარებას [კოლოთია E. A.].

2001 წელს მიღებული კანონის საფუძველზე ფორმულირებული იქნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების საბაზო გეგმები (2003-2007, 2008-2012 და 2013-2017 წლების). აღნიშნული გეგმა სამ ეტაპად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეული ფოკუსირებულია განსაზღვრულ მიზანზე.

- პირველ ეტაპზე 2005 წელს იგეგმებოდა კველა შესაძლო რესურსის მობილიზაცია კორეის რესპუბლიკის ასუფანად კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ლიდერების დონეზე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.
- 2015 წლისათვის დაგეგმილი იყო ლიდერად გახდომა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში.
- 2025 წლისათვის დაგეგმილია კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა კვლევებისა და დამუშავებების სფეროში, დიდი შეიდეულის ქვენების დონეზე.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნოლოგიების ხარისხს, ცხოვრების დონეს, გარემომცველი გარემოს დაბინძურების დონეს, ინოვაციების განვითარებას მედიცინაში, აგრეთვე, იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია რევოლუციებთან ინფორმაციულ და ბიოტექნოლოგიურ სფეროებში.

2008-2010 წლების გლობალურმა კონომიკურმა კრიზისმა არსებითად შეაფერება კორეის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარება და მისი კონომიკის ზრდის მაჩვენებლები. ამის მიუხედავად, მან შეძლო კრიზისის შედეგების დაძლევა და უკვე 2009 წელს მოახერხა 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ქვეყნის 4 უმსხვილესი მდინარის წყლის რესურსების შენახვისა და რეკონსტრუქციის პროგრამის ამოქმედების შედეგად.

მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას კორეაში დიდი ყურადღება ექცევა ახალი სამუშაო აღგილებისა და მყარი კონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე. ქვეყანაში (2005 წლის მონაცემებით) დაახლოებით 3 მლნ მცირე და საშუალო საწარმოა, რაც კომპანიათა საერთო რაოდენობის 99,5%-ია, მ.შ. მცირეთა ხედრითი წილი 97%-ია, და მათში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 87% (10 მლნ კაცზე მეტი), რომელიც აწარმოებს ქვეყნის

მშპ-ის ნახევარს (დაახლოებით 240 მილიარდ აშშ დოლარს) და ექსპორტის 43% [16].

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშანს უკანასკნელ წლებში წარმოადგენს ნახესხებ კაპიტალზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის უზრუნველყოფა და საბანკო დაკრედიტების პროცენტების გაფართოება. მცირე ბიზნესის საქმიანობაში საბაზო კომპონენტის გაძლიერების მიზნით მთავრობას განზრახული აქცეს კველაზე კონკურენტუნარიანი კომპანიების მხარდაჭერის გაძლიერება. შიდა ბაზრის დერეგულაციის დონისძიებების მიზანია კენტურული კომპანიების ფართო ქსელის ორგანიზება. ამ მიზნით მთავრობამ შექმნა საკრედიტო რისკების შეფასების სპეციალური სარეიგისტრო სააგენტო. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 1997 წლის მიღებული “სპეციალური აქცი კენტურული კაპიტალის განვითარებისათვის”. სამხრეთ კორეაში დარეგისტრირებულია 13 ათასი კენტურული კომპანია (2005 წლის მონაცემები), რომელთაგან 72% საქმიანობა დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, 13% – კენტურულ კაპიტალთან და 15% – მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებთან. კენტურული კომპანიების დიდი ნაწილი (65%) მუშაობს წარმოებაში, 27% – მომსახურების და ინფორმაციის სფეროში და მხოლოდ 0,2% – სოფლის მეურნეობაში [16].

## დასკვნა

დასასრულს, შედარების სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყნის ინოვაციური გარდაქმნების რეალიზაციის შედეგად, სამხრეთ კორეა ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი გახდა მთელი რიგი მაღალტექნოლოგიური ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორიცაა საავტომობილო და გემომშენებლობა, ელექტრონიკისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება, ფოლადსამსხმელო წარმოება და სხვა. “სამხრეთკორეული სახწაული” კი ისეთი ფაქტორების ერთობლიობაში განაპირობა, როგორიცაა:

- სახელმწიფო განმსაზღვრელი და ეფექტური როლი რეფორმების განხორციელებაში, განსაკუთრებით ინოვაციური სისტემის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, რომელიც არა მხოლოდ არეგულირებს ეის ჩარჩოების ფარგლებში წარმოქმნილ ურთიერთობებს, არამედ თვითონ წარმოადგენს მის უშუალო მონაწილეს;
- მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამეცნიერო წრეებს შორის;
- ჩებოლების მნიშვნელოვანი როლი ეის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, რამდენადაც სწორედ ისინი ახდენენ ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და კომერციალიზაციას;
- მოსახლეობის განათლებულობა, იაფი და კვალიფიციური მუშახელი;
- ლიბერალური საპატენტო კანონმდებლობა;
- უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანა;
- დიდი დანახარჯები მეცნიერებასა და განათლებაზე საერთოდ და კერძოდ, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკოს);
- საქმიანი აქტივობისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო კლიმატი [7].

უნდა ითქვას იმაზეც, რომ მიღწეული დიდი წარმატებების მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის აზრით (პარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი დ. როდრიკი), სამხრეთ კორეამ თითქმის მიაღწია თავისი “განვითარების ჭერს” და ახალი წარმატებები მოსალოდნელი აღარ არის. თუმცა აღიაშნული

მოსაზრება ჯერ-ჯერობით არ დასტურდება, რადგანაც გლობალური ინოვაციური ინდექსის (გიი) მიხედვით – 2016 წელს კორეის რესპუბლიკამ ინდექსის მაჩვენებელი წინა წლის მიმართ არა თუ გააუარესა, არამედ გააუმჯობესა კიდევ, თუ 2015 წელს მსოფლიოში მე-14 და რეგიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ოკეანია) – მესამე ადგილზე იყო, 2016 წელს შესაბამისად მე-11 და მე-2 ადგილზე გადაინაცვლა.

სრულიად აშერა წარმატებების მიოუხედავად, კორეის რესპუბლიკის ინოვაციურ სისტემას ნაკლოვანებებიც ახასიათებს, რომელიც გამოხატულია იმით, რომ:

- სუსტია კავშირი სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს (სკო)-სა და სახ-წავლო დაწესებულებებს შორის;
- განვითარების შედარებით დაბალ დონეზეა მაღალტექნოლოგიური მცი-რე და საშუალო მეწარმეობა;
- რეგიონების განვითარება არათანაბარია;
- ფუნდამენტური კვლევა შედარებით დაბალ დონეზეა;
- უპირატესია სიახლეების იმპორტზე დაფუძნებული ინოვაციური აქტივო-ბის დამწევი მოდელი. იმის გარდა კორეის ინოვაციური სისტემა და მთლია-ნად ეკონომიკა შეიძლება შეეჯახოს ისეთ სინერგებს, როგორიცაა:
- შობაღობის დაბალი დონე და ერთს დაბერება;
- მსოფლიო ბაზარზე უკეთესი ტექნოლოგიების მქონე კონკურენტების გამოჩენა;
- პრობლემები ნედლეულის მიწოდებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **6. არევაძე, 6. ბიბილაშვილი,** კორეის რესპუბლიკის ინოვაციური პოლი-ტიკა. ი. ჯავახიშვილის სახელობის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტი-ტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: “ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”. თბი-ლისი, 2016.
2. Глобальный инновационный индекс 2015 г.: в рейтингах лидируют Швейцария, Соединенное Королевство, Швеция, Нидерланды и США.  
[http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2015/article\\_0010.html](http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2015/article_0010.html)
3. Корейское чудо – уроки для России.  
<http://www.contrtv.ru/print/2641/>
4. **Мореходов М. А.** Южная Корея: секреты успеха // Азия и Африка сегодня. № 1, 2012, стр. 18.
5. **Гомбоев А. Б.** Инновационная политика Республики Корея: историческая и терри-ториальная специфика (1966–2009).  
<http://cyberleninka.ru/article/n/innovatsionnaya-politika-respubliki-koreya-istoricheskaya-i-territorialnaya-spetsifika-1966-2009-gg>
6. **Конина Н. Ю.** Реструктурирование деятельности финансово-промышленных групп Южной Кореи в условиях кризиса. Проблемы теории и практики управления. - 1999. - № 3. - С. 31-37.
7. **Селезнев П. С.** Инновационная политика современного государства: стратегии, модели, практика. Москва, 2014.

- <http://library.fa.ru/files/Seleznev.pdf>
- 8. Абдурасурова Д. Промышленная политика Южной Кореи. Экономист. – 2009. – № 01.
  - 9. [http://www.minpred.ru/contet/pya/pya\\_2012/pya/pya\\_2012-2011/m.98](http://www.minpred.ru/contet/pya/pya_2012/pya/pya_2012-2011/m.98).
  - 10. Cho Chung-un Korea Unveils Four-River Master Plan // The Korea Herald, 2009, April 28.
  - 11. Колотына Е. А. Особенности становления инновационной системы Республики Корея.  
<https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-stanovleniya-innovatsionnoy-sistemy-respubliki-koreya>
  - 12. OECD Reviews of Innovation Policy: Korea (2009).
  - 13. [http://smba.go.kr/eng/smes/statistics\\_01.do?mc=usr0001148](http://smba.go.kr/eng/smes/statistics_01.do?mc=usr0001148)
  - 14. Сахариева А. С., Национальная инновационная система Южной Кореи: со скамейки запасных в форварды. Kaznu Bulletin. Economics series, №6 (100), 2013.
  - 15. Рязанова А. Н., Политика республики Корея в формировании инновационной экономики, <http://journals.tsu.ru/uploads/import/852/files/339-078.pdf>
  - 16. По данным Администрации малого и среднего бизнеса ЮК на 2005 год.  
<http://www.kfsb.or.kr/english>
  - 17. Глобальный инновационный индекс 2016 г.: в рейтингах лидируют Швейцария, Швеция, Соединенное Королевство, Финляндия, Сингапур.

*Nanuli Arevaladze*  
Doctor of Economics  
*Nana Bibilashvili*  
Doctor of Economics

## INNOVATION SYSTEM PECULIARITIES OF THE REPUBLIC OF KOREA

### Expanded Summary

The article deals with the peculiarities of the creation and formation of the innovation system of the Republic of Korea and its development stages of 1962-2016. The success that the country has achieved in just a few decades and is known by the name of the "Miracle of Korea" is the immediate result of the innovative system functioning in the country, the history of creation and development of which is very interesting and completely different from other economically developed countries. This difference gives the ability to clearly see how much progress can be achieved, when the state, business and science are closely cooperating and trying to duplicate the efforts of formation of the national innovation system and the successful development even in the unfavorable starting conditions (scarce resource potential, the hardest competition, technological backwardness). Until the 60s of the last century, the country was in the ranks of states with agrarian economies, the GDP per capita was \$103, the share of industry share in GDP was 15% and the volume of goods import exceeded 7 times.

The gradual transformation of the economy into an innovative basis started in the 60s of XX century. In spite of the loyalty to capitalism and free market, the course has been undertaken to create large monopolies under their own patronage, as they were likely to have an opportunity to make an innovative leap and as the country would be developed in a sharply

